საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

გზამკვლევი

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

რედაქტორი:

ნინო ძიძიგური

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDesign

წიგნი გამოცემულია სსიპ „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ მიერ, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წელი

© 2017, სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“

ISBN 978-9941-449-97-0

შესავალი

საინფორმაციო ცენტრი 2005 წელს დაარსდა და, თავდაპირველად, ნატოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. 2013 წლიდან მას ევროკავშირის მიმართულებაც დაემატა და, ამჟამად, საინფორმაციო ცენტრი უკვე ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ავრცელებს სწორ ინფორმაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აქცენტი სწორ ინფორმაციაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთიდან მართული მასშტაბური ანტიდასავლური პროპაგანდის ერთ-ერთი სამიზნეა და, შესაბამისად, შეგნებულად ხდება მოსახლეობაში არასწორი შეხედულებების გავრცელება დასავლური დემოკრატიისა და გაერთიანებების მიმართ. სიცრუის ამ მანქანასთან ბრძოლის უტყუარი მეთოდი ცოდნის გავრცელებაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ცალსახად უჭერს მხარს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ამ პროცესის შესახებ ცოდნის გავრცელების კუთხით, კვლავ არსებობს გამოწვევები. განსაკუთრებით რთულია ნატოსა და ევროკავშირის თემატიკაზე თავმოყრილი ინფორმაციის მოძიება ქართულ ენაზე, სადაც ამ სტრუქტურების მნიშვნელობა და არსი საქართველოსთან მათი თანამშრომლობის ჭრილში იქნება განხილული.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, წარმოდგენილი გზამკვლევით თავი მოგვეყარა საბაზისო ინფორმაციისთვის ნატოსა და ევროკავშირზე და ფართო საზოგადოების-

თვის, უპირველესად კი – სტუდენტებისთვის, ლაკონიურად განგვემარტა თუ რას წარმოადგენს აღნიშნული გაერთიანებები, რა ღირებულებებზე დაფუძნებით და რა მიზნით მოხდა მათი შექმნა, როგორ განვითარდნენ და ამჟამად, რა ურთიერთობა აქვთ საქართველოსთან. ამასთან, შევეცადეთ ამომწურავად გაგვეცა პასუხები ნატოსა და ევროკავშირზე ფართოდ გავრცელებული მითებისა და ცრუ წარმოდგენებისთვის.

გზამკვლევის იდეის ხორცშესხმისთვის, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის გუნდის სახელით, მსურს მადლობა გადავუხადო პრეზიდენტის ადმინისტრაციას ფინანსური მხარდაჭერისთვის და ავტორთა კოლეგიას, რომლებმაც მცირე დროში შეძლეს მოცულობითი მასალის დამუშავება და თქვენამდე მოტანა.

ნინო ბოლქვაძე
*სსიპ „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა
და ევროკავშირის შესახებ“ დირექტორი*

სარჩევი

ნატოს შესახებ **11**

ევროპა და ამერიკა
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 13

ნატოს შექმნა 17

ნატო ცივ ომში – პირველი გაფართოება 23

ნატო ცივ ომში – სირთულეები 29

კომუნიზმის კრახი 33

ნატო კომუნიზმის დამარცხების შემდეგ –
ახალი გაფართოება და დაახლოება
საქართველოსთან 39

ნატო კონფლიქტებში –
იუგოსლავიიდან ავღანეთამდე 45

ნატო და საქართველო დღეისათვის 48

13 მითი ნატოს შესახებ 53

ევროკავშირის შესახებ 63

ევროკავშირის შექმნის ისტორია 65

ევროპული ინტეგრაციის განვითარების ეტაპები 68

რომის ხელშეკრულებიდან ერთიან ევროპულ აქტამდე 68

შენგენის შეთანხმება 70

ერთიანი ევროპული აქტი 72

მაასტრიხტის ხელშეკრულება 73

ამსტერდამის ხელშეკრულება 76

ევროს შემოღება 78

ნიცის შეთანხმება 79

საკონსტიტუციო ხელშეკრულება 80

ლისაბონის შეთანხმება 82

ევროკავშირის ღირებულებები და მიზანი 84

ევროკავშირში გაწევრების კრიტერიუმები (კოპენჰაგენის კრიტერიუმები) და პროცედურა 85

ევროპული კავშირიდან გასვლა 86

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა 88

1973 წლის გაფართოება – დიდი ბრიტანეთის გაწევრება 88

სხვა აპლიკანტები 91

საბერძნეთის გაწევრება 92

პორტუგალიის და ესპანეთის გაწევრება 93

გაფართოებების ეპოქა 94

ავსტრიული და სკანდინავიური გაფართოება 95

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება 96

კვიპროსის და მალტას გაწევრება 99

ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრება 99

ხორვატიის გაწევრება 101

ევროკავშირის ინსტიტუტები 103

ევროპის პარლამენტი (The European Parliament) 105

ევროკავშირის საბჭო (The Council of the European Union) 110

ევროპული საბჭო (The European Council) 113

ევროკომისია (The European Commision) 115

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (The European Court of Justice) 117

ევროპის აუდიტორთა სასამართლო (The European Court of Auditors) 119

ევროპის ცენტრალური ბანკი (The European Central Bank) 120

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა 123

საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება 126

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვს პოლიტიკა 129

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM) 136

ევროკავშირი და საქართველო 138

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (Partnership and Cooperation Agreement – CA) 138

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა – TACIS 141

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighborhood Policy/ENP) 143

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (European Neighborhood Policy Instrumanet/ENPI) 146

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი 2014-2020 წლებისთვის (ENI – European Neighborhood Instrument) 147

აღმოსავლეთ პარტნიორობა (Eastern Partnership – EaP) 148

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები 151

აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგი 2020 წლისთვის 153

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები 160

ასოცირების შესახებ შეთანხმება 165

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (Association Agenda) 173

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) 175

რამდენიმე მითი ევროკავშირის შესახებ 178

გზამკვლევი ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის 187

ბიბლიოგრაფია 192

ნატოს შესახებ

ავტორი

თორნიკე შარაშენიძე

ევროპა და ამერიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

როგორც ცნობილია, ნატო მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 4 წელიწადში, 1949 წელს შეიქმნა. ეს ცხადია იმას ნიშნავს, რომ იგი ამ ომის შედეგებთან იყო დაკავშირებული. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ნატოს შექმნა ამერიკელებს სჭირდებოდათ, რათა ომის დასრულების შემდეგ, ევროპაში ჯარები დაეტოვებინათ. რბილად რომ ვთქვათ, ეს ბოლომდე მართალი არ არის, რადგან ამერიკელები იქამდე არამცთუ ევროპაში ჯარების შეყვანას, არამედ ევროპულ საქმეებში ჩარევასაც კი, გაურბოდნენ. მათი შეიარაღებული ძალები ევროპაში მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც გერმანიამ ამერიკული სამოქალაქო ხომალდები ჩაძირა და ამგვარად, ამერიკის მთავრობას ომში ჩართვა აიძულა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც კი, პირველი მსოფლიო ომი დასრულდა, ამერიკელებმა კონტინენტი დატოვეს. აშშ არც მეორე მსოფლიო ომში აპირებდა ჩარევას, ვიდრე მათ ჯერ იაპონია არ დაესხა თავს, შემდეგ კი გერმანიამ არ გამოუცხადა ომი (ეს მოხდა 1941 წლის ბოლოს). ამერიკა ომში ჩაება და დიდი წვლილიც შეიტანა როგორც გერმანიის, ასევე იაპონიის დამარცხებაში, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი ომის დასრულებიდან მალე, ჯარების გაყვანას აპირებდა. მას მიაჩნდა, რომ ევროპაში მშვიდობას ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი დაიცავდნენ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რუზველტი ენდობოდა საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს, – „ძია ჯოს“ ეძახდა მას („სოსოს“ ინგლისური ვარიანტი), მიაჩნდა სიტყვის კაცად და პატივს სცემდა საბჭოთა ხალხების მიერ ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლაში გაღებულ მსხვერპლს.

ფრანკლინ რუზველტი და იოსეფ სტალინი

სტალინმა კარგად ისარგებლა რუზველტის ამ ნდობით და იგი მთელ რიგ დათმობებზე დაითანხმა, რის შედეგადაც გერმანიის დამარცხების შემდეგ პრაქტიკულად, მთელი აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში აღმოჩნდა. ამერიკელები ამას გაგებით ეკიდებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ გაღებული მსხვერპლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი იმსახურებდა გარკვეული გავლენის სფეროს, რომელიც ბუფერის როლს შეასრულებდა და ააცილებდა მას ისეთ საშინელ დარტყმას როგორიც იყო 1941 წელს გერმანიის მხრიდან თავდასხმა. ამერიკელები რატომღაც არ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა გავლენის სფეროში მოხვედრილ ქვეყნებს (პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის ნაწილი) არა მხოლოდ უბრალო სამხედრო ბუფერად გადაიქცეოდა, არამედ სტალინისეული, სასტიკი კომუნისტური რეჟიმის დამყარება ემუქრებოდათ, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

ომის დასრულებამდე რუზველტი გარდაიცვალა და იგი ვიცეპრეზიდენტმა ტრუმენმა შეცვალა, რომელსაც კომუნისტები თითქმის ისევე ეჯავრებოდა როგორც

ნაცისტები და შესაბამისად, სტალინს დიდად არ ენდობოდა. ნდობა კიდევ უფრო დაიკარგა, როცა ომის დასრულებიდან მალე, სტალინმა საჯაროდ განაცხადა, რომ კაპიტალიზმთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და საბჭოთა ხალხს წინ კიდევ დიდი შრომა და მსხვერპლშეწირვა ელოდა მტრის საბოლოოდ დასამარცხებლად. გასაგებია, რომ მტრებში ამერიკა და დიდი ბრიტანეთი იგულისხმებოდნენ – საბჭოთა კავშირის სულ ცოტა ხნის წინანდელი მოკავშირეები. სტალინს არ მოსწონდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები ფრონტზე ყოფნისას მის რკინის ხელს გადაეჩვივნენ და რომ ევროპაში კარგი ცხოვრება ნახეს. საჭირო იყო ამ ხალხის ხელახალი დამონება და მათთვის ახალი მტრის ხატის შექმნა.

საბჭოთა კავშირის ამ ქმედებებმა ამერიკელები თანდათანობით გამოაფხიზლა და ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომიდან სულ რაღაც, ორ წელიწადში ე. წ. ცივი ომი. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი უძლიერესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სახით, რომელიც მიხვდა, რომ ევროპის დატოვება ახლა უკვე ძალიან სახიფათო იქნებოდა, რადგან ომით განადგურებულ კონტინენტზე საბჭოთა კავშირი გაბატონდებოდა და იქ კომუნიზმს დაამყარებდა. ეს არა მხოლოდ ევროპის გაწირვას, არამედ უშუალოდ ამერიკის დიდ საფრთხეში ჩაგდებასაც ნიშნავდა – ევროპაზე კონტროლის დამყარება ხომ მოსკოვის არნახულ გაძლიერებას ნიშნავდა. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი უკვე ისედაც ძლიერი იყო – კომუნიზმი მთელ მსოფლიოში პოპულარული ხდებოდა როგორც იდეოლოგია, რომელმაც ჰიტლერი დაამარცხა და იდეოლოგია, რომელსაც „თანასწორობა და სამართლიანობა მოჰქონდა“ (ასე სჯეროდა ბევრს, ვინც კომუნიზმს მხოლოდ მარქსის წიგნებიდან იცნობდა და მისი შედეგები საკუთარი თვალით არ ჰქონდა ნანახი). მოსკოვიდან დაფინანსებული კომუნისტური პარტიები დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში გაჩნდა, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ ომები და გაჭირვება კაპიტალიზმის შედეგი იყო და რომ ერთადერთი ხსნა კომუნიზმში იყო.

დაინახეს რა, ეს საფრთხეები ამერიკელებმა, ომით დანგრეულ ევროპას 1948 წლიდან მოყოლებული, უზარმაზარი ფინანსური დახმარება გაუწიეს (დღევანდელი კურსით 132 მილიარდი დოლარის ოდენობის). მიზანი მარტივი და ნათელი იყო – ხელახლა გაძლიერებულ ევროპაში კომუნიზმი ფეხს ვეღარ მოიკიდებდა. გარდა ამისა, ძლიერი და მდიდარი ევროპის სახით ამერიკას კარგი მოკავშირე

და სავაჭრო პარტნიორი ეყოლებოდა. დახმარება მხოლოდ დასავლეთ ევროპით შემოიფარგლა მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მას აღმოსავლეთ ევროპას და თვით საბჭოთა კავშირსაც სთავაზობდნენ. სტალინმა მიიჩნია, რომ ამერიკულ დახმარებას ამერიკელების მხრიდან პოლიტიკური გავლენის ზრდაც მოჰყვებოდა და არა მხოლოდ თავად თქვა უარი, არამედ აღმოსავლეთ ევროპელებიც აიძულა უარი ეთქვათ ამ დახმარებზე. არადა, ომის დროს სტალინი უარს არ ამბობდა ამერიკელებისგან დახმარების მიღებაზე, რომელმაც დღევანდელი კურსით, 150 მილიარდი დოლარი შეადგინა და რომლის უდიდესი ნაწილი არც საბჭოთა კავშირს და არც რუსეთს არ გაუსტუმრებია. სტალინი თავად აღიარებდა, რომ ამერიკელებისგან მიღებული დახმარების გარეშე მის ქვეყანას გერმანიასთან ომში არანაირი შანსი არ ექნებოდა.

ფინანსური და ეკონომიკური დახმარების პარალელურად, ამერიკაში სერიოზულად დაიწყეს ფიქრი, რომ დასავლეთ ევროპას დაცვაც დასჭირდებოდა.

■ 24 ივნისი, 1948 წელი, ბერლინი, ცივი ომი

ნატოს შექმნა

ცხადია, მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს ამაოდ არც ევროპელებისათვის ჩაუვლია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მათ ახალი დიდი ომი კოშმარშიც კი ვერ წარმოედგინათ, მაგრამ კოშმარი შედგა. მან არა მხოლოდ უფრო მეტი მსხვერპლი და ზარალი მოიტანა ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა, არამედ ევროპა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშიც ჩააგდო, რადგან მას ემუქრებოდა აგრესიული საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის გარდა, კითხვები გაჩნდა გერმანიაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც ოთხ საოკუპაციო ზონად იყო დაყოფილი (საბჭოთა, ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული) და მართალია, იმ ეტაპზე პრობლემებს ვერ ქმნიდა, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი ჰქონდა და გერმანიის ოკუპაციაც სამუდამოდ ვერ გაგრძელდებოდა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, გერმანია ხომ სწრაფად დადგა ფეხზე და იმდენად გაძლიერდა, რომ მეორე მსოფლიო ომი წამოიწყო.

ხედავდა რა, ამ საფრთხეებს დასავლეთ ევროპამ გაერთიანებაზე ფიქრი დაიწყო და 1948 წლის 17 მარტს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ბრიუსელში თავდაცვითი ალიანსი გააფორმეს. ეს კარგი სიგნალი იყო ამერიკელებისათვისაც – ევროპა მზად იყო დიდი ალიანსის შექმნისათვის და ახლა უკვე მათი ჯერი იყო.

მაგრამ შეერთებული შტატების ალიანსში გაწევრება ასეთი იოლი საქმე არ გახლდათ. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის იზოლაციისკენ იყო განწ-

ყობილი და შესაბამისად, ასეთივე განწყობები სუფევდა ამერიკის კონგრესშიც, რომლის მხარდაჭერის გარეშეც რაიმე ალიანსში შესვლაზე საუბარი ზედმეტი იყო. დაახლოებით, 30 წლის წინ კონგრესმა მხარი არ დაუჭირა ერთა ლიგაში შესვლას (რომელიც სხვა არავის, თუ არა ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის, უილსონის ინიციატივით შეიქმნა), რადგან არ სურდა, რომ ერთა ლიგას ამერიკის ჯარის განკარგვის უფლება ჰქონოდა. შესაბამისად, საჭირო გახდა კონგრესმენებთან სერიოზული მუშაობა და დარწმუნება, რომ ევროპის დაცვა ამერიკის დაცვასაც ნიშნავდა. თუმცა, კონგრესმენთა ნაწილი მაინც ფეხს ითრევდა და მათ დასარწმუნებლად ნატოს წესდების ყველაზე ცნობილ მე-5 მუხლს (რომლის მიხედვითაც, შეიარაღებული თავდასხმა ნატოს ერთ წევრ ქვეყანაზე განიხილება როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრზე) შედარებით რბილი ფორმა მისცეს და მასში ჩაიწერა – თავდასხმის ობიექტს ნატოს სხვა წევრები დაეხმარებოდნენ „როგორც ეს საჭირო იქნებოდა."

ამ ფორმულირებამ დააკმაყოფილა კონგრესის იზოლაციონისტი წევრები და მათ ამერიკას ნატოში შესვლისათვის მწვანე შუქი აუნთეს. „როგორც ეს საჭირო იქნებოდა" თითქოს ნიშნავდა, რომ ამერიკას ჯარების გაგზავნას არავინ დააძალებდა. თუმცა, ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ამერიკა მაშინვე გაგზავნიდა ჯარს, თუ ნატოს რომელიმე წევრს რაიმე საფრთხე შეექმნებოდა. სხვა შემთხვევაში, ნატოს შექმნას ხომ უბრალოდ აზრი არ ჰქონდა. ის კი ფაქტია, რომ მოსკოვში ყველაფერი სწორად გაიგეს და ნატოს წევრ ვერცერთ ქვეყანას ვერც ცივი ომის დროს და ვერც ცივი ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა და მომავალში, რუსეთმა ვერაფერი გაუბედა.

1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონში შეიქმნა ნატო ანუ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, სადაც შევიდა შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, დანია და ისლანდია. თითოეულმა მათგანმა ხელი მოაწერა ვაშინგტონის ხელშეკრულებას, რომელსაც არაფორმალურად ნატოს წესდებასაც უწოდებენ. მე-5 მუხლის გარდა, ვაშინგტონის ხელშეკრულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ალიანსის წევრები აუცილებლად გამართავდნენ კონსულტაციას თუ რომელიმე მათგანი ჩათვლიდა, რომ

მას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. ასევე, საყურადღებოა მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, ალიანსის წევრებს ერთხმად (ყველას თანხმობის საფუძველზე) შეეძლოთ თავიანთ რიგებში მიეღოთ ახალი ქვეყანა. ყველა წევრის მხრიდან თანხმობა ანუ კონსენსუსი ნატოს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად იქცა და მის გარეშე ალიანსში არცერთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ხშირად გაისმის შეშფოთება, რომ თუ საქართველო ნატოში შევა, საქართველოს ტერიტორიაზე მაშინვე გაიხსნება რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზა ან ქართულ ჯარს მაშინვე სადღაც სასაკლაოზე გაუშვებენ. ეს ჩვეულებრივი ტყუილია, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს, როგორც ნატოს წევრის მხრიდან თანხმობის გარეშე, ალიანსი ვერცერთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს (ცხადია, თუ საქართველო არ ჩათვლის, რომ ეს გადაწყვეტილება მის ინტერესებშია). კონსენსუსის წყალობით, ნატოში დაცულია თანასწორობისა და დემოკრატიულობის პრინციპი და იგი ალიანსის ყველა ქმედებას ლეგიტიმაციას მატებს – არის რა, ეს ქმედება ყველა წევრის მიერ მხარდაჭერილი. ასევე, პოპულარულია კიდევ ერთი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ნატოს

პრეზიდენტი ჰარი ტრუმანი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე, 1949 წელი, ვაშინგტონი

წესდებაში წერია, რომ ნატოში მიღებისათვის აუცილებელი პირობაა კანდიდატ ქვეყანას თავის ტერიტორიაზე კონფლიქტები არ ჰქონდეს. სინამდვილეში, ვაშინ-გტონის ხელშეკრულების ტექსტში მსგავსი არაფერი ნახსენებიც კი არ არის.

ნატო რომ უნიკალური ალიანსია იქიდანაც ჩანს, რომ იგი დღემდე არსებობს. ასე-თი ხანგრძლივობით კი ვერცერთი სხვა ალიანსი ვერ დაიკვეხნის. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ნატო არ არის ჩვეულებრივი სამხედრო ალიანსი. თავისი ორ-განიზაციული სტრუქტურით ნატო საერთაშორისო ორგანიზაციას უფრო წააგავს. ნატოს შტაბ-ბინაში მუდმივად იმყოფებიან წევრი ქვეყნების წარმომადგენლები (ელჩები) ასევე, პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები. ნატოს გააჩნია უზარ-მაზარი აპარატი თავისი სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურებით და კიდევ სხვა განყოფილებებით, რომლებიც ათასნაირი მათ შორის, არასამხედრო საქმი-

ნატოს შტაბ-ბინა ბრიუსელში

ანობებით არიან დაკავებულები. ასე მაგალითად, ნატო აფინანსებს სამეცნიერო კვლევებსაც კი.

ნატოს არსებობის ხანგრძლივობის კიდევ ერთი საიდუმლო ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის თანამოაზრეთა გაერთიანება და დემოკრატიული ქვეყნების კლუბი. წევრ ქვეყნებს აერთიანებს არა მხოლოდ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ საერთო ფასეულობებიც. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ცივი ომის დროს ნატოს მსგავსი სხვა ალიანსებიც შეიქმნა, რომელთა მიზანსაც კომუნისტური აგრესიისგან თავდაცვა წარმოადგენდა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა დიდხანს ვერ გაძლო. ასე მაგალითად, 1955 წელს შეიქმნა სეატო (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია – ნატოს ანალოგიური სახელწოდებით და ჟღერადობით), რომელშიც შევიდა ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, პაკისტანი, ავსტრალია, საფრანგეთი, ფილიპინები, ტაილანდი და ახალი ზელანდია, მაგრამ 1977 წელს იგი დაიშალა. დაშლის მიზეზად დასახელდა, რომ ორგანიზაციამ საერთო მიზანი დაკარგა, მაგრამ იმავე ლოგიკით საერთო მიზანი ნატომაც დაკარგა 1991 წელს, როცა დამარცხდა კომუნიზმი და დაიშალა საბჭოთა კავშირი. ამასთან, როგორც ცნობილია, ნატო სეატოსგან განსხვავებით, არა მხოლოდ არ დაიშალა, არამედ გაფართოვდა კიდეც.

ნატოს ორგანიზაციული სტრუქტურა რთულია, მაგრამ ამის მიუხედავად, ნატოში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ერთი ორგანო იღებს, რომელიც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მიხედვით დაარსდა. ეს არის ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომელიც აერთიანებს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს. იგი რეგულარულად იკრიბება, კონკრეტულად კი, ორ კვირაში ერთხელ, წევრი ქვეყნების ელჩების დონეზე. საბჭოს შეხვედრები და სხდომები ასევე, იმართება წევრი ქვეყნების საგარეო ან თავდაცვის მინისტრების დონეზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ნატოს სამიტია, რომელიც წევრი ქვეყნების მეთაურთა დონეზე იკრიბება. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები (მაგალითად, გაფართოება) სწორედ სამიტების დროს წყდება, თუმცა თეორიულად, ელჩების დონეზე გამართულ საბჭოს სხდომებზეც ყველა საკითხის განხილვა და გადაწყვეტა შეიძლება, მათ შორის გაფართოებისაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს არაერთი ვიზიტი განუხორციელებია.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ნატოს გენერალური მდივანი, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს ნატოს აპარატს და ოფიციალურად ახმოვანებს ალიანსის პოზიციას. თუმცა, გენერალური მდივანი თავისი გავლენის მიუხედავად, გადაწყვეტილებებს ვერ იღებს – ეს ისევ და ისევ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ანუ ნატოს წევრი ქვეყნების პრეროგატივაა.

ნატოს ფარგლებში ასევე, ფუნქციონირებს ნატოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომელიც აერთიანებს წევრი ქვეყნების პარლამენტარებს. ეს კიდევ ერთი ელემენტია, რომლითაც ნატო საერთაშორისო ორგანიზაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ალიანსს (მაგალითად, საპარლამენტო ასამბლეა აქვს ევროსაბჭოსაც). ასამბლეის გადაწყვეტილებებს ნატოსთვის სავალდებულო ხასიათი არ აქვს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტარები საკუთარი ამომრჩევლის განწყობას და ნებას ახმოვანებენ, ასამბლეის გადაწყვეტილებებს ნატო ყურადღებით ეკიდება და რეკომენდაციად იღებს.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა, პარიზი, 1957 წელი

ნატო ცივ ომში – პირველი გაფართოება

1952 წელს, ნატოს რიგებს შეუერთდა ორი ახალი წევრი, რომელთაგან არათუ ერთ ალიანსში შესვლა, არამედ ერთმანეთში კარგი ურთიერთობების დამყარებაც კი, ძნელი წარმოსადგენი იყო. საუბარია საბერძნეთსა და თურქეთზე, რომელთაც ერთმანეთთან ომები და ცუდი მოგონებები აკავშირებთ. ის, რომ ამ ორ ქვეყანაში ახლა ნორმალური ცხოვრებაა და მათ ერთმანეთთან დიდი ხანია მშვიდობა აქვთ, სწორედ ნატოს დამსახურებაა. ნატოში გაერთიანების წყალობით, საბერძნეთში კომუნისტი მეამბოხეები დამარცხდნენ, ქვეყანა დამშვიდდა და განვითარების გზას დაადგა. რაც შეეხება თურქეთს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას საბჭოთა კავშირი დაუფარავად ემუქრებოდა და ბოსფორის სრუტის დათმობას სთხოვდა (ეს სრუტე შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვისგან ჰყოფს და მისი მიტაცება საუკუნეების განმავლობაში რუსეთის იმპერიის ოცნება იყო). კომუნისტურ რეჟიმსა თუ საბჭოთა აგრესიას ორივე ქვეყანა გადაურჩა. თუმცა, მათ შორის წინააღმდეგობები ბოლომდე არ გამქრალა. 1974 წელს, თურქეთმა კვიპროსზე ჯარი შეიყვანა, რამაც საბერძნეთთან მისი ურთიერთობები ისე დაძაბა, რომ შესაძლოა საქმე კონფლიქტამდეც მისულიყო, რომ არა ნატო. აქვე აღსანიშნავია, რომ 1950-52 წლებში ბერძნებმა და კიდევ უფრო მეტად თურქებმა თავი გამოიჩინეს კორეის ომში – ომში, რომელიც სტალინის წაქეზებით კომუნისტურმა ჩრდილო კორეამ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ წამოიწყო. ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების ჩარევის შედეგად, სამხრეთ კორეა გადარჩა.



1949

ბელგია

კანადა

დანია

საფრანგეთი

ისლანდია

იტალია

ლუქსემბურგი

ნიდერლანდების სამეფო

ნორვეგია

პორტუგალია

დიდი ბრიტანეთი

აშშ

1952

საბერძნეთი

თურქეთი

1955

გერმანია

1982

ესპანეთი

1999

ჩეხეთის რესპუბლიკა

უნგრეთი

პოლონეთი

2004

ბულგარეთი

ესტონეთი

ლატვია

ლიტვა

რუმინეთი

სლოვაკეთი

სლოვენია

2009

ალბანეთი

ხორვატია

2017

მონტენეგრო

ბერძნებმა და თურქებმა კი დაამტკიცეს, რომ მათ არა მხოლოდ თავის დაცვა, არამედ უსაფრთხოების განმტკიცებაში წვლილის შეტანაც შეეძლოთ. საბჭოთა კავშირის ქმედებებმა ამ ომის დროს დასავლეთი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ კომუნიზმი უზარმაზარ საფრთხეს წარმოადგენდა და ამიტომაც, ნატო აუცილებლად უნდა გაძლიერებულიყო. კორეის ომი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების (1953 წელი) შემდეგ დასრულდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ახალი წევრი ნატოს 1955 წელს შეუერთდა. ეს იყო დასავლეთ გერმანია. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დამარცხებული გერმანია ოთხ საოკუპაციო ზონად იყო დაყოფილი, მაგრამ დასავლეთში მალე მიხვდნენ, რომ ასეთი პოლიტიკა წამგებიანი იყო – გერმანიის მუდმივად გაკონტროლების მცდელობას ხარჯისა და გერმანელი ხალხის გაუცხოების მეტი არაფერი მოჰქონდა, მაშინ როცა მისი სახით კარგი მოკავშირის შეძენა შეიძლებოდა. შედეგად 1947-1948 წლებში, ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული საოკუპაციო ზონები გაერთიანდა. ამ გადაწყვეტილებამ საშინლად გააღიზიანა სტალინი, რომელმაც პასუხად დასავლეთ ბერლინის ბლოკადაში მოქცევა ბრძანა (ბერლინიც ზონებად იყო დაყოფილი, მაგრამ ქალაქი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მდებარეობდა და ამგვარად დაუცველი და მოწყვლადი იყო). მოსკოვში ალბათ ელოდნენ, რომ ბლოკადა დასავლეთ ბერლინსაც გასტეხდა და მთლიანად დასავლეთსაც ააღებინებდა ხელს გერმანიაში თავისი გეგმების განხორციელებაზე. მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა, ბრიტანელებმა, ფრანგებმა და კანადელებმა საოცრება ჩაიდინეს – 24-საათიან რეჟიმში თვეების განმავლობაში, ჰაერიდან ამარაგებდნენ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას საკვებით, საწვავით, მედიკამენტებით და გამოუცხადებელი ომი მოიგეს. მოსკოვი იძულებული გახდა ბლოკადა მოეხსნა და უკან დაეხია, 1949 წელს კი, სამი გაერთიანებული საოკუპაციო ზონისგან დასავლეთ გერმანია იშვა. საბჭოთა კავშირისათვის ეს უკვე მძიმე მარცხი იყო, მაგრამ უფრო მძიმე მარცხი – გერმანიის ნატოში შესვლა მოსკოვს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა. დასავლეთ ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს ამერიკელების მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსში შესვლა საბჭოთა კავშირისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მოსკოვმა ამე-

■ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის მომარაგება საკვებით, საწვავითა და მედიკამენტებით

რიკელებს გერმანიის სრულფასოვანი გაერთიანება შესთავაზა – აღმოსავლეთ გერმანიის (საბჭოთა საოკუპაციო ზონის) დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანება იმ პირობით, რომ ერთიანი გერმანია ნატოში არ შევიდოდა და ნეიტრალურ ქვეყნად იქცეოდა.

ეს დიდი ცდუნება იყო. გერმანელები გაერთიანებაზე ოცნებობდნენ და ეს გარემოება კარგად ესმოდათ ამერიკაშიც. მაგრამ საბოლოოდ, ამერიკაშიც და დასავლეთ გერმანიაშიც გადაწყვიტეს, რომ მოსკოვის წინადადება არ მიეღოთ. გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა მიიჩნია, რომ სჯობდა დასავლეთ გერმანია მოკავშირეებთან ერთად გაძლიერებულიყო, განვითარებულიყო და გაერთიანებისათვის უფრო ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა. ამერიკაშიც მიიჩნიეს, რომ გერმანიის ნეიტრალიზაცია სახიფათო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს ქვეყნიდან ამერიკული ჯარის გასვლას ნიშნავდა, რომელიც სადმე შორს უნდა გადაბარგებულიყო (ან სულაც ამერიკაში დაბრუნებულიყო). მაშინ, როცა საბჭოთა ჯარი იქვე ახლოს დარჩებოდა – პოლონეთში ან თავად საბჭოთა კავშირის

დასავლეთ ნაწილში და ხელსაყრელ მომენტში შეჭრილიყო მოკავშირეებისგან მიტოვებულ გერმანიაში. მოსკოვის მიერ ნეიტრალიტეტის თემით სპეკულაცია და მანიპულაცია ახალი არ არის. 1920 წელს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნო და სანაცვლოდ, საქართველო ნეიტრალიტეტზე დაითანხმა. ნეიტრალიტეტის გამოისობით, საქართველომ მოკავშირეების შეძენის თეორიულ შანსზეც კი უარი თქვა და ამის წყალობით, 1921 წელს იგი იოლად დაიპყრო რუსეთმა დაარღვია რა, ერთი წლით ადრე საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება.

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ცდუნებაზე უარი თქვეს და ალიანსს მეტად სერიოზული მოთამაშე შეემატა. მოსკოვმა ამის საპასუხოდ საკუთარი სამხედრო ალიანსი შექმნა – ვარშავის პაქტის ორგანიზაცია, სადაც თავისი ევროპელი სატელიტები შეიყვანა. ამ ქვეყნების მოქალაქეებს არაფერს არ ეკითხებოდნენ იმაზე, თუ რა ალიანსში აიძულეს გაერთიანება. ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველაფერს ადგილობრივი კომუნისტური პარტიები განაგებდნენ, რომლებიც ანგარიშს მოსკოვს აბარებდნენ. აქ არჩევნები ფიქციას წარმოადგენდა, რადგან სხვა პარტიები უბრალოდ არ არსებობდა. განსაკუთრებული სისატიკით აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმი გამოირჩეოდა, რომელსაც პრობლემებს უქმნიდა მის გვერდით განვითარებული, თავისუფალი დასავლეთ გერმანიის არსებობა, მით უმეტეს კი, დასავლეთ ბერლინში. აღმოსავლეთ ბერლინის მაცხოვრებლები მასიურად გარბოდნენ დასავლეთში და საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ შესაჩერებლად კომუნისტურმა ხელისუფლებამ კედელიც კი ააშენა, რომლითაც ორი ბერლინი ერთმანეთისგან გაჰყო. მაგრამ აღმოსავლეთ ბერლინის მაცხოვრებლებმა კედლის ქვეშ გვირაბების გაყვანა დაიწყეს და ასე ახერხებდნენ დასავლეთში გაპარვას. მოსკოვში ხვდებოდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის კონტროლი რთული იქნებოდა, მაგრამ უკან არ იხევდნენ. 1956 წელს კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ უნგრელები აჯანყდნენ და ვარშავის პაქტიდან გასვლის სურვილიც გამოთქვეს. მოსკოვმა პასუხად უნგრეთში ჯარები შეიყვანა, აჯანყება სისხლში ჩაახშო და ამით ყველას დაანახა, რომ მისი კონტროლიდან გასვლას არაფრით არ დაუშვებდა. დასავლეთში გაჩენილი ილუზია, რომ

ბერლინის კედელი

საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერი ხრუშჩოვი კომუნიზმს ცივილურ სახეს მისცემდა, სწრაფადვე გაქრა. ხრუშჩოვი შესაძლოა სტალინივით სასტიკი არ იყო, მაგრამ ეს მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა. უნგრეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის ფონზე დასავლეთ ევროპის სახელწიფოებისათვის ნატო კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა.

ნატო ცივ ომში – სირთულეები

1966 წელს ნატოს სამხედრო სტრუქტურა საფრანგეთმა დატოვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ამერიკელებს მოსთხოვა, მის ქვეყანას ალიანსზე ისეთივე გავლენა ჰქონოდა როგორც აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს. საფრანგეთი ნატოში დაჩაგრული ნამდვილად არ იყო – სხვა თუ არაფერი, ინგლისურთან ერთად ფრანგული ალიანსის ოფიციალურ ენას წარმოადგენდა. მაგრამ დე გოლს სურდა საფრანგეთის როლი და გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში მკვეთრად აემაღლებინა და ამგვარად, ფრანგი ხალხისათვის მეორე მსოფლიო ომში შერყეული თვითრწმენა დაებრუნებინა. ვერ მიიღო რა მოთხოვნაზე მისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი, დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი თავად მიხედავდა საკუთარ თავს და ატომურ იარაღსაც თავად შექმნიდა. ნატოს სხვა წევრებს (პირველ რიგში, ამერიკელებს) მან საფრანგეთიდან სამხედრო მოსამსახურეების გაყვანა მოსთხოვა. „საფრანგეთში, თქვენი თავისუფლებისათვის დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების საფლავებიც ხომ არ გავიყოლოთ?“ – მწარედ ჰკითხა საფრანგეთის პრეზიდენტს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა (საგარეო მინისტრმა). დე გოლის გადაწყვეტილებით, პარიზში გაუქმდა ნატოს შტაბ-ბინა, სადაც იგი 1952 წლიდან ფუნქციონირებდა (იქამდე შტაბ-ბინა ლონდონში იყო განთავსებული). სასწრაფო წესით ნატო ბრიუსელში გადაბარგდა და მისი შტაბ-ბინა დღემდე იქ არის. პარალელურად, დე გოლი შეეცადა საბჭოთა კავშირთან დამოუკიდებლად დაელაგებინა ურთიერთობები და მოსკოვი რაღაც დათმობებზე დაეთანხმებინა, საიდანაც არაფერი გამოვიდა. თუმცა, საფრანგეთმა საკუთარი ატომური ბომბი შექმნა და ამ მხრივ ცალკე მოთამაშედ იქცა. სრულფასოვან წევრად საფრანგეთი ნატოს 2009 წელს დაუბრუნდა.

შარლ დე გოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი (1956-1969)

1968 წელს, საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ. ეს ქვეყანა, ისევე როგორც უნგრეთი, რუსეთის გავლენის სფეროში არასოდეს ყოფილა და კომუნიზმს ვერაფრით ეგუებოდა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური ლიბერალიზაცია დაიწყო, ბრუნდებოდა სიტყვის თავისუფლება, ახლო კულტურული კონტაქტები მყარდებოდა დასავლეთთან. მოსკოვში ასეთი ცვლილებები კომუნიზმისათვის სახიფათო გამოწვევად ჩათვალეს და გადაწყდა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი ლიბერალიზაცია ისევე ჩაეხშოთ, როგორც უნგრელების აჯანყება – ტანკებით. დასავლეთი უმწეოდ უყურებდა როგორ უსწორდებოდა საბჭოთა ჩექმა კიდევ ერთ ევროპულ სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირის ლიდერმა, ბრეჟნევმა პირდაპირ განაცხადა, რომ მოსკოვი კომუნისტური ბლოკიდან არცერთი ქვეყნის გასვლას არ დაუშვებდა. ერთხელ გაკომუნისტება სამუდამოდ გაკომუნისტებას ნიშნავდა და აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებაზე არავის არ უნდა ეოცნება.

დასავლეთში, ამ მოვლენების შემხედვარე ბევრს გადაეწურა კომუნიზმის დამარცხების იმედი. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ საბჭოთა კავშირი შეურყეველი იყო,

კომუნიზმი კი მუდმივად იარსებებდა. ამიტომაც, უკეთესი იყო ამ რეალობიდან გამომდინარე მოსკოვთან მოლაპარაკება და ურთიერთობების ერთხელ და სამუდამოდ გარკვევა. ასე გადაწყვიტა დასავლეთ გერმანიის ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ინტენსიური დიალოგი წამოიწყო, შედეგად დაძაბულობა გაანელა და კომპრომისულად გადაწყვიტა აღმოსავლეთ გერმანიისა და ბერლინის საკითხები. ამის შემდეგ გადაწყდა ევროპაში უსაფრთხოების საკითხებზე დიდი კონფერენცია მოეწვიათ, სადაც დასავლეთსა და კომუნისტურ ბლოკს შორის ურთიერთობები დალაგდებოდა. კონფერენცია ჰელსინკში გაიმართა და მას ყველანაირად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ კონფერენცია ნატოს მეორეხარისხოვან ორგანიზაციად აქცევდა – დასავლეთ ევროპა მოსკოვისგან გარკვეულ გარანტიებს მიიღებდა და ამერიკელების მფარველობა აღარ დასჭირდებოდა. ამერიკელების ევროპიდან გასტუმრებას და ამის შემდეგ კონტინენტზე თავისი გავლენის გავრცელებას საბჭოთა კავშირი 1945 წლის მერე ოცნებობდა და ამ ოცნებას სწორედ ნატოს შექმნამ გადაუსვა ხაზი.

1975 წელს ჰელსინკის კონფერენციამ საბოლოო აქტი მიიღო, რომლითაც ევროპაში არსებული საზღვრები ხელშეუხებლად გამოცხადდა. ეს იყო ის, რაც საბჭოთა კავშირს სურდა – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიტაცებული ტერიტორიებისა

საბჭოთა ჯარების შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში, 1968 წელი

ჰელსინკის კონფერენცია, 1975 წელი

და მოპოვებული გავლენის სფეროების დაკანონება. მართალია, ჰელსინკის აქტ-მა ხელმომწერ ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვაც დააკისრა, რაც საბჭოთა კავშირისათვის დიდად სასიამოვნო არ იყო და მისთვის გარკვეული პრობლემებიც შეიძლებოდა შეექმნა, მაგრამ საბჭოთა კავშირი იმდენად ძლიერი ჩანდა, რომ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ 1970-იანი წლების დასაწყისიდან გაძვირდა ნავთობი (საბჭოთა კავშირის დღეს კი, რუსეთის მთავარი საექსპორტო საქონელი), რამაც დასავლეთის ქვეყნებს ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა, საბჭოთა კავშირი კი ძალიან გაამდიდრა. არც ისე დიდი ხნის წინათ ვიეტ-ნამში წაგებული ომის გამო, ამერიკა შოკიდან ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამო-სული. ხომ არ დადგა დრო დასავლეთს ცივ ომში დამარცხება ეღიარებინა? ყოველ შემთხვევაში, ჰელსინკის აქტი ხომ სულ ცოტა, იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთი შე-ეგუა კომუნიზმის სამუდამო არსებობას და რკინის ფარდის მიღმა მცხოვრები ხალხი მონობისათვის გაწირა? ასეთი კითხვები სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ნატოს დაშლა არავის უფიქრია. ალიანსი კვლავაც არსებობდა და მის წევრებს ვერავინ ეხებოდა. 1982 წელს, მის რიგებს ესპანეთი შე-ემატა. ამ ქვეყნის გაწევრება იმის გამო დაგვიანდა, რომ მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მას ფრანკო მართავდა. მართალია, იგი ანტიკომუნისტი იყო, მაგრამ ამავე დროს ქვეყანაში საშინელი დიქტატურა ჰქონდა დამყარებული და შესაბამისად, მის ხელში ნატოსთან დაახლოებაზე ლაპარაკიც არავის სურდა. მისი გარდაცვალების (1975 წელი) შემდეგ, ესპანეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგა და ნატოსაც შეუერთდა.

კომუნიზმის კრახი

1979 წელს, საბჭოთა კავშირმა ავღანეთში შეიყვანა ჯარები. ერთი შეხედვით, ეს კომუნიზმის კიდევ ერთ გამარჯვებას ჰგავდა. იმ დროისათვის ნავთობიდან მიღებული შემოსავლით მოსკოვი აქტიურად ავრცელებდა თავის იდეოლოგიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ავღანეთი კი, სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა იყო და მასზე კონტროლის დამყარებით მოსკოვის გავლენა წესით, კიდევ უფრო მეტად უნდა გაზრდილიყო. სინამდვილეში, ეს ავანტურა საბჭოთა კავშირის დასასრულის დასაწყისი იყო...

1980 წელს, ამერიკის პრეზიდენტად რონალდ რეიგანი აირჩიეს, რომელიც მისი რამდენიმე წინამორბედისგან განსხვავებით, სულაც არ თვლიდა, რომ კომუნიზმი დაუმარცხებელი იყო და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. რეიგანმა თავის ბრძოლაში სერიოზული მოკავშირე იპოვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ასევე შეურიგებელი ანტიკომუნისტის, მარგარეტ ტეტჩერის სახით. მათ ხელში ნატოს როლი კიდევ უფრო გაიზარდა. 1983 წელს, ალიანსმა გრანდიოზული სამხედრო წვრთნები გამართა სახელწოდებით „მარჯვე მოისარი," რომლის სცენარიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირთან და მთლიანად ვარშავის პაქტთან კონფლიქტსა და ბირთვულ ომს. წვრთნები იმდენად მასშტაბური იყო, რომ მოსკოვში შეშინდნენ, ჩათვალეს რა, რომ ამერიკელები მართლაც აპირებდნენ ბირთვული ომის დაწყებას. რეიგანი ამით არ დაკმაყოფილდა და ე. წ. ვარსკვლავური ომების პროგრამა წამოიწყო, რომელიც გულისხმობდა კოსმოსში ანტისარაკეტო სისტემების განთავსებას და საბჭოთა ატომური იარაღის იქიდან

■ რონალდ რეიგანი და მარგარეტ ტეტჩერი

განადგურებას. პროგრამა საბოლოოდ ვერ განხორციელდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მმართველები კიდევ უფრო მეტად დააფრთხო.

ეს კი, მაშინ ხდებოდა, როდესაც საბჭოთა კავშირის მმართველები ერთი მეორეს მიყოლებით კვდებოდნენ. ჯერ იყო და 1982 წლის ბოლოს გარდაიცვალა დაბერებული და დაავადმყოფებული ბრეჟნევი. იგი შეცვალა ასევე მოხუცმა, თუმცა ერთი შეხედვით კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფმა ანდროპოვმა, რომელიც მანამდე უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელობდა და დასავლეთში ფიქრობდნენ, რომ რეიგანს მისი სახით ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მაგრამ ანდროპოვი უეცრად მძიმედ დაავადდა (როგორც ამბობდნენ, ავღანეთში სტუმრობისას) და 1984 წლის დასაწყისში ისიც გარდაიცვალა. იგი შეცვალა ჩერნენკომ, „მოსიარულე გვამმა“, რომელმაც სულ ერთი წელი იცოცხლა. 1985 წელს, საბჭოთა კავშირი ახალგაზრდა მიხეილ გორბაჩოვმა გადაიბარა, რომელიც კარგად ხვდებოდა, რომ საბჭოთა კავშირს ცვლილებები ესაჭიროებოდა. ქვეყანაში ეკონო-

მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი (1990-1991)

მიკური სტაგნაცია იყო, რასაც ნავთობის გაიაფება დაემატა და ასეთ პირობებში ამერიკასთან გაჯიბრება მოსკოვს მეტისმეტად ძვირად უჯდებოდა. ვიდრე საბჭოთა კავშირი ნავთობიდან მიღებული ფულით კომუნიზმს ავრცელებდა, დასავლეთში ეკონომიკა და ტექნოლოგიები ვითარდებოდა. დასავლეთში გაჩნდა პერსონალური კომპიუტერები, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში საბეჭდი მანქანებიც კი, მკაცრ აღრიცხვაზე იყო აყვანილი (რათა ამ მანქანებზე ანტისაბჭოთა პროკლამაციები არ დაებეჭდათ). რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კომუნიზმის იდეალების საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად, აღარავის სჯეროდა, ქვეყანას კორუფცია ანადგურებდა და მოქალაქეები დასავლურ ცხოვრებას შენატროდნენ. ბზარები გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში, კონკრეტულად კი, პოლონეთში, რომელსაც მოსკოვისგან გათავისუფლება სურდა. ბრეჟნევი თავიდან პოლონეთშიც იგივეს გაკეთებას აპირებდა, რაც ჩეხოსლოვაკიაში გააკეთა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაბედა, მით უფრო, რომ საბჭოთა ჯარები ამ დროს სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდნენ ავღანეთის ჭაობში. ეს უკანასკნელი წარმატების ნაცვლად კატასტროფად იქცა – ამერიკელე-

ბი ავღანელებს იარაღით ამარაგებდნენ და საბჭოთა ჯარი უზარმაზარ მსხვერპლს ნახულობდა. პოლონეთის დასაშოშმინებლად მოსკოვი მას უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას უწევდა, რაც კიდევ უფრო მძიმედ ურტყამდა შემცირებულ საბჭოთა ბიუჯეტს.

ასეთი მემკვიდრეობა გადაიბარა გორბაჩოვმა, საბჭოთა ლიდერებს შორის ყველაზე ცივილურმა ადამიანმა. მას დიდი გეგმები ჰქონდა – საბჭოთა ეკონომიკის მოდერნიზება და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია. ეს მცდელობები, როგორც ვიცით, იმით დასრულდა, რომ კომუნისტური ბლოკი ჩამოიშალა, საბჭოთა ჯარები არა მხოლოდ ავღანეთიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპიდანაც გავიდნენ, გერმანია გაერთიანდა და დაიშალა თვით საბჭოთა კავშირიც (1991

■ ბერლინის კედელი, 10 ნოემბერი, 1989 წელი

წლის დეკემბერი). ნატოს საპირწონედ შექმნილი ვარშავის პაქტი ცოტა უფრო ადრე, 1991 წლის ივლისში დაიშალა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ვარშავის პაქტი აღმოსავლეთ ევროპას იძულებით მოახვიეს თავს და როგორც კი იძულება დასრულდა – პაქტიც გაქრა, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს იგი არაფერში სჭირდებოდათ.

ყველაზე საინტერესო ამ პროცესში გერმანიის გაერთიანება იყო. მოსკოვი ხვდებოდა, რომ ეს გარდაუვალი იყო და სანაცვლოდ, ისევ და ისევ გერმანიის ნატოდან გამოსვლა მოითხოვა. მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა გორბაჩოვი დაარწმუნეს, რომ გერმანიისნაირი ძლიერი და ამბიციური ქვეყანა ნატოს გარეთ გაცილებით უფრო საშიში იქნებოდა, ვიდრე ნატოს ფარგლებში, სადაც იგი ალიანსის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში კი, ამერიკელების პოზიციას გაუწევდა ანგარიშს. გორბაჩოვისათვის ეს არგუმენტი დამაჯერებელი აღმოჩნდა. ასე შედგა ის გაერთიანება, რომლის იმედზეც ადენაუერმა ოდესღაც გადაწყვიტა, რომ მისი ქვეყანა ნატოში უნდა დარჩენილიყო, თუნდაც აღმოსავლეთ ნაწილის გარეშე.

გერმანიის გაერთიანებასა და ნატოში დარჩენის თაობაზე საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებების დროს შედგა დიალოგი, რომელმაც მოგვიანებით, საფუძველი დაუდო მცდარ მოსაზრებას, რომ ვითომ ამერიკელები მოსკოვს შეპირდნენ, რომ ნატო აღარ გაფართოვდებოდა. სინამდვილეში კი, საბჭოთა მხარემ ამერიკელებს მოსთხოვა, რომ თუ გერმანია ნატოში დარჩებოდა, მაშინ ნატოს აღმოსავლეთით არ უნდა გადმოენაცვლა. ამერიკელებმა ამაზე თანხმობით უპასუხეს, რადგან გადაწყვიტეს, რომ საუბარი მიდიოდა ნატოს ინფრასტრუქტურაზე გერმანიის შიგნით. ამ დიალოგზე დაყრდნობით, დღემდე მოსკოვი ირწმუნება, რომ ამერიკისგან ნატოს არგაფართოების ზეპირი დაპირება მიიღო, რომელიც დაირღვა. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს გორბაჩოვს აბრალებს, რომელმაც „ამერიკელებს წერილობითი დაპირება არ გამოართვა.“ ძნელი სათქმელია რამდენად წავიდოდა ამერიკა ასეთი თანხმობის ფორმალურად მიცემაზე, მით უმეტეს, რომ ნატოზე მათი უზარმაზარი გავლენის მიუხედავად, მთელი ალიანსის სახელით მათ ასეთი დაპირების გაცემა მაინც არ შეეძლოთ.

რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ასევე, მიიჩნევს, რომ რადგან ცივი ომი დასრულდა, ვარშავის პაქტთან ერთად ნატოც უნდა დაშლილიყო. ეს აბსურდია, რადგან ვარშავის პაქტი დაიშალა მისი წევრების ნებით. ნატოს წევრ ქვეყნებს კი მისი დაშლის სურვილი არ გამოუთქვამთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნატო მათ თავიანთი ნებით შექმნეს და ისინი იქ ძალით არავის შეუყვანია. განსხვავებით ვარშავის პაქტისგან, ნატოში შესვლას დემოკრატიულად არჩეული მთავრობები წყვეტდნენ, რომლებიც საკუთარი ხალხების ნებას გამოხატავდნენ.

ნატო კომუნიზმის დამარცხების შემდეგ – ახალი გაფართოება და დაახლოება საქართველოსთან

მიუხედავად ამისა, დასავლეთში ბევრი ფიქრობდა, რომ კომუნიზმის საფრთხის გაქრობასთან ერთად ნატოს ფუნქციაც ამოიწურა. ალიანსის გაუქმებას სერიოზულად არავინ ფიქრობდა, მაგრამ დაიწყო საუბარი, რომ იგი ახალ მიზნებსა და პრიორიტეტებზე უნდა გადართულიყო, მაგალითად, სამაშველო ოპერაციებზე.

მაგრამ მალე გაირკვა, რომ არამცთუ ნატოს გაუქმება იყო ნაადრევი, არამედ ნატოს რიგებში შესვლას ძალიან ბევრი ესწრაფოდა, კონკრეტულად კი, სწორედ ნატოს საპირწონედ შექმნილი სამხედრო ალიანსის ყოფილი წევრები – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ისინი თავს არც ისე მშვიდად გრძნობდნენ შიშობდნენ რა, რომ როგორც კი რუსეთი ძალებს მოიკრებდა ისევ შეეცდებოდა მათი თავისი გავლენის სფეროში დაბრუნებას. გარდა ამისა, ნატო აღიქმებოდა როგორც არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ სტაბილურობის და შესაბამისად, განვითარების გარანტიც.

აღმოსავლეთ ევროპელთა შიში არც დასავლეთ ევროპაში ესმოდათ და არც ამერიკაში. აქ მიიჩნევდნენ, რომ კომუნიზმის დამარცხებით დასრულდა რუსეთის იმპერიული ამბიციებიც და შესაბამისად, სანერვიულოც არაფერი იყო. საკმაოდ დიდხანს ნატოს გაფართოებაზე ვაშინგტონში არაფრის გაგონება არ სურდათ, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სერიოზულად მოეკიდნენ აღმოსავლეთ ევროპის შიშსა და მოსაზრებებს და საკითხი თანდათანობით დაიძრა – ესენი იყვნენ დენიელ ფრიდი (შემდგომში საგარეო მინისტრის მოადგილე), რონალდ

■ გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი

ასმუსი (საქართველო-რუსეთის ომზე ცნობილი წიგნის ავტორი) და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი (წარმოშობით ქართველი, იმხანად ამერიკის გაერთიანებული სამხედრო შტაბის უფროსი). ეს არ იყო იოლი, რადგან გაფართოებას ეწინააღმდეგებოდა ბევრი გავლენიანი ამერიკელი პოლიტოლოგი. მათი აზრით, ეს აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთის გაღიზიანებას და შემდგომში მისი მხრიდან შურისძიებას. მით უმეტეს, რომ კრემლში დაჟინებით იმეორებდნენ ამერიკელების, ვითომდა დაპირებას, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კლინტონის ადმინისტრაცია ამ პრობლემას აცნობიერებდა. მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკა რუსეთს მილიარდობით დოლარის დახმარებას უწევდა, მოსკოვი ნატოს გაფართოებას ასე მარტივად მაინც არ შეხვდებოდა. ამიტომ კლინტონმა გადაწყვიტა, რომ ნატოს გაფართოება დელიკატურად, რუსეთთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების პარალელურად უნდა მომხდარიყო. რუსეთი ნატოსთან პარტნიორობის ყველა ფორმატს შეუერთდა, ხოლო 1997 წელს კი, გაფორმდა ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, რომელმაც ხაზი გაუსვა რუსეთს, როგორც უპრეცედენტოდ მნიშვნელოვან პარტნიორს. ნატოში გადაწყდა, რომ საჭირო იყო ყველაფრის გათვალისწინება, რათა რუსეთს ალიანსის გაფართოების გამო შიშები არ გასჩენოდა.

კერძოდ, ნატოს მომავალი წევრების (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) ტერიტორიაზე არ განთავსდებოდა ნატოს ინფრასტრუქტურა. ამ ქვეყნებში მხოლოდ ადგილობრივი შეიარაღებული ძალები იქნებოდა განლაგებული და არა ამერიკელები, ბრიტანელები თუ თურქები. ეს იმის გათვალისწინებით, რომ ნატო თავდაცვითი ალიანსია და მისი მე-5 მუხლი მხოლოდ ნატოს რომელიმე წევრზე თავდასხმისას რეაგირებაზე საუბრობს. რატომ უნდა ეშინოდეს რომელიმე ქვეყანას ნატოს გაფართოების თუ მას სამშვიდობო პოლიტიკა აქვს და არავისზე თავდასხმას არ აპირებს?

1999 წელს, ვაშინგტონში გამართულ ნატოს სამიტზე (ვაშინგტონის ხელშეკრულების გაფორმების 50-ე წლისთავზე) ნატოში მიიღეს პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი. ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის სამი ყველაზე განვითარებული ქვეყანა, რომლებიც ასე თუ ისე აკმაყოფილებდნენ საჭირო სტანდარტებს. თუმცა, მათ მიღებასაც კი, გარკვეული პრობლემები მოჰყვა და მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნატოში შეიმუშავეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა

ნატოს სამიტი, ვაშინგტონი, 1999 წელი

ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი (1995-2003) და ლორდი ჯორჯ რობერტსონი, ნატოს გენერალური მდივანი (1999-2003)

(ე. წ. მაპი (MAP)), სადაც გაწერილია ის რეფორმები, რომლებიც უნდა განახორციელოს ალიანსში გაწევრების მსურველმა ქვეყანამ. ეს რეფორმები არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია-გაძლიერებას, არამედ დემოკრატიზაციას და ფინანსურ-ეკონომიკური მდგრადობის მიღწევასაც გულისხმობს.

ამის შემდეგ გაფართოება კიდევ უფრო ძლიერი ტემპით წავიდა და რიგში ჩადგნენ რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. ეს ქვეყნები 2004 წელს, სტამბულის სამიტზე გახდნენ ნატოს წევრები. სამიტზე დემონ-

სტრაციულად არ ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, რომლის მმართველობისას რუსეთი უკვე თავის ტრადიციულ, აგრესიულ პოლიტიკას უბრუნდებოდა და შესაბამისად, ნატოს გაფართოებას იგი ღიად აპროტესტებდა, მაგრამ ეს ნაკლებად ადარდებდა ნატოს ახალ წევრ ქვეყნებს, რომლებიც თავს დაცულად გრძნობდნენ. ნატოში გაწევრების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ევროკავშირშიც იღებდნენ. ეს ერთგვარ ტრადიციად იქცა – ჯერ ნატო, შემდეგ ევროკავშირი – ჯერ უსაფრთხოება, შემდეგ განვითარება.

იქამდე ცოტა ხნით ადრე კი, საქართველოს ნატოსთან დაახლოების პროცესი დაიწყო. 2002 წელს, პრაღის სამიტზე საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილის შესახებ. საქართველოში ეს სურვილი ადრეულ 90-იანებში გაჩნდა – აღმოსავლეთ ევროპისგან განსხვავებით, რუსეთი საქართველოდან არ წასულა. ქვეყნის ტერიტორიაზე რჩებოდა რუსული სამხედრო ბაზები და საერთოდ, საქართველო ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირი ბალტიისპირეთის გამოკლებით, რუსეთის გავლენის სფეროში დარჩა (დასავლეთში მიაჩნდათ, რომ ახალი, „დემოკრატიული“ რუსეთი ამ რეგიონებში მშვიდობას შეინარჩუნებდა). მომავალში, ყოველივე ამან საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა. კერძოდ, აფხაზეთის ომში რუსები ფაქტიურად, ღიად იბრძოდნენ ქართული მხარის წინააღმდეგ და დიდი როლიც შეასრულეს, რომ ქართველებს ომი წაეგო და აფხაზეთი დაიკარგა. ამის მიუხედავად, 90-იანი წლების ბოლომდე, ვიდრე დასავლეთი საქართველოთი და კავკასიით არ დაინტერესდა, ნატოსთან დაახლოება ოცნებად რჩებოდა. ამასობაში შევარდნაძემ ყველაფერი სცადა, რათა რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

2004 წელს, საქართველო ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში ჩაერთო. რეალურად, ეს გეგმა იგივე სახის რეფორმებს გულისხმობდა, რასაც ე.წ. მაპი (MAP) ანუ საქართველო ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას იწყებდა. ერთ-ერთი პირველი რეფორმა, რაც ამ კუთხით გატარდა იყო თავდაცვის სამოქალაქო უწყებად გადაკეთება და მინისტრად სამოქალაქო პირის დანიშვნა, როგორც ეს ნატოშია მიღებულია. სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი და სამოქა-

ლაქო თავდაცვის სამინისტრო შეირაღებულ ძალებზე დემოკრატიული და საპარ-ლამენტო კონტროლის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია. ამით ნატოს წევრები ძალიან განსხვავდებიან იგივე რუსეთისგან, სადაც მინისტრი კვლავაც სამხედრო პირია და შესაბამისად, შეიარაღებული ძალები მხოლოდ პრეზიდენტთან არიან ანგარიშვალდებულნი.

ნატო კონფლიქტებში – იუგოსლავიიდან ავღანეთამდე

1991 წელს, იუგოსლავია საბჭოთა კავშირის მსგავსად დაიშალა, მაგრამ თუკი საბჭოთა კავშირის შემთხვევაში ეს დაშლა მშვიდობიანი იყო (რადგან იმ მომენტში მას შეეგუა რუსეთი), იუგოსლავიის დაშლა საშინელ ომში გადაიზარდა (რადგან მას ვერ შეეგუა სერბეთი). განსაკუთრებით სასტიკი სახე ომმა ბოსნიაში მიიღო, სადაც ბოსნიელებს ადგილობრივი სერბები დაუპირისპირდნენ. რთული სათქმელია როდის და როგორ დასრულდებოდა ეს კონფლიქტი, რომ არა ნატოს ჩარევა. 1993 წლიდან მოყოლებული, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე დაყრდნობით, ნატომ ბოსნიის თავზე არასაფრენი ზონა დააწესა. ამის მიუხედავად, კონფლიქტი მაინც გრძელდებოდა და თანდათანობით ნატოს სამხედრო მისიის ვადაც გაიზარდა, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და 1995 წელს რეგიონში მშვიდობა დამყარდა. ნატომ იქ 60-ათასიანი კონტიგენტი განალაგა, რომელიც მალე უფრო მცირერიცხოვანი სამშვიდობო ძალით ჩანაცვლდა.

სამწუხაროდ, იუგოსლავიის ამბები ამით არ ამოიწურა. სერბები თავად იუგოსლავიის დაშლას კი შეურიგდნენ, მაგრამ შემდეგ კონფლიქტმა სერბეთის შიგნით იფეთქა, ხოლო კოსოვოში – სერბებსა და ალბანელებს შორის. ძალადობითა და დაუნდობლობით ორივე მხარემ გამოიჩინა თავი, მაგრამ რახან ხელისუფლება სერბების ხელში იყო, საბოლოო პასუხისმგებლობა მათ ეკისრებოდათ, მით უმეტეს, რომ კონფლიქტი პრაქტიკულად, ალბანელების ეთნიკურ წმენდაში გადაიზარდა. საქმეში ისევ ნატოს ჩარევა გახდა საჭირო – ამ ტრაგედიის შეჩერება სხვას უბრალოდ არავის შეეძლო (ან ძალა არ ჰქონდა ან პოლიტიკური ნება).

ნატოს მისია კოსოვოში (KFOR)

1999 წელს დაიწყო ოპერაცია მშვიდობის დამყარებისათვის. ნატო იძულებული გახდა იერიში მიეტანა სერბეთზე, რომლის ხელისუფლებაც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა პროცესს. ნატო ჰაერიდან ბომბავდა სერბეთის სამხედრო ობიექტებს და ასევე, ინფრასტრუქტურის ნაწილებს. ოღონდ ისე, რომ წინასწარ აფრთხილებდა სერბეთის მოსახლეობას რომელ საათზე და სად განხორციელდებოდა იერიში, რათა მსხვერპლი თავიდან ყოფილიყო აცილებული. საბოლოოდ, კოსოვოში სამშვიდობო ძალები განლაგდა, სერბეთმა კი, ეს ტერიტორიაც დაკარგა (მოგვიანებით, ამჯერად მშვიდობიანად სერბეთს მონტენეგრო გამოეყო). მოგვიანებით, ამ მოვლენებმა საგრძნობლად გააფუჭა სერბეთის ურთიერთობები დასავლეთთან, თუმცა ბოლო დროს, ამ ქვეყანამ ევროკავშირთან დაახლოება დაიწყო და არაა გამორიცხული ნატოსთანაც დაახლოვდეს. კოსოვოში ოპერაციამ მეტად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რუსეთის მხრიდან, რომელიც თავს სერბეთის მფარველად აცხადებდა.

2001 წლის 11 სექტემბერს მთელი მსოფლიო გააოგნა შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა ტერაქტმა. ეს იყო უპრეცედენტო მასშტაბისა და შინაარსის ტერაქტი და ამასთან შეტევა ამერიკაზე – მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფო-

11 სექტემბერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში
განხორციელებული ტერაქტი, 2003 წელი

ზე. ცხადია, ამერიკის მთავრობამ მაშინვე გადაწყვიტა პასუხის გაცემა, რისი საშუალებაც თავადაც მშვენივრად გააჩნდა, მაგრამ გადაწყდა, რომ პასუხი განხორციელებულიყო ნატოს ფარგლებში და ასე ამოქმედდა (პირველად და ჯერჯერობით, უკანასკნელად) ცნობილი მე-5 მუხლი. ეს ერთგვარი ბედის ირონია იყო, რადგან მე-5 მუხლის ამოქმედებას ყველა ნატოს ევროპულ ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში ელოდა და არანაირად ამერიკაზე თავდასხმის გამო. ასე თუ ისე, 11 სექტემბრის შემდეგ, ნატომ დაიწყო ოპერაცია ავღანეთში (ISAF) და ამგვარად, ცივი ომის დასრულების შემდეგ ახალი დიდი ფუნქცია შეიძინა – ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. 2003 წელს, იგივე მიზეზით ამერიკა ერაყში შეიჭრა, მაგრამ ამ ოპერაციას მხარი არ დაუჭირეს ნატოს სხვა წამყვანმა წევრებმა (გერმანიამ, საფრანგეთმა) და შესაბამისად, ერაყში ომს ნატოსთან არაფერი აქვს საერთო.

ნატო და საქართველო დღეისათვის

ერაყში ომმა ამერიკას დიდი ზარალი მოუტანა, ამასთან ზიანი მიაყენა მის ურთიერთობებს გერმანიასა და საფრანგეთთან. თავის მხრივ, ამ მოვლენებმა საკმაოდ სერიოზული როლი შეასრულა იმაში, რომ 2008 წელს, ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ ვერ მიიღო გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. ამ ყველაფერთან ერთად, ერაყში ომის გამო გაძვირდა ნავთობი, რამაც ძალიან გააძლიერა პუტინის რუსეთი. ამ უკანასკნელმა ბუქარესტის სამიტზე ალიანსში ერთსულოვნების არარსებობა მისთვის სასიკეთო სიგნალად ჩათვალა, რასაც საქართველოში აგვისტოს ომი მოჰყვა.

ეს სერიოზული დარტყმა იყო საქართველოზე, რომელიც იქამდე სხვა ყველაფერთან ერთად, სწრაფი ტემპით მიდიოდა ნატოსკენ. 2006 წელს უკვე ითვლებოდა, რომ ქვეყანა მეტად წარმატებით ახორციელებდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (IPAP) და საჭირო იყო ნატოსთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა. გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) საქართველოს ჩართვა ნაადრევი ჩანდა და ამიტომ, ქვეყანა ნატოსთან ინტენსიური დიალოგის (ID) ეტაპზე გადავიდა. იგივე ეტაპზე იმყოფებოდა ნატოში გაწევრების კიდევ ერთი მსურველი ქვეყანა –უკრაინა. ამასთანავე, უკრაინის საქართველოსთან დაწყვილებამ პოზიტივთან ერთად გარკვეული ნეგატივიც მოიტანა, რადგან ამ ქვეყანაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი არ უჭერდა მხარს ნატოში ინტეგრაციას. ამას კი მშვენივრად იყენებდა რუსეთი, რომლისთვისაც უკრაინის ალიანსში გაწევრება კიდევ უფრო მეტად მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველოსი (გამომდინარე თუნ-

დაც, უკრაინის სიდიდიდან და ეკონომიკურ-სამხედრო პოტენციალიდან). აღსანიშნავია, რომ უკრაინა-საქართველოს ჯაჭვში უფრო სუსტ რგოლს საქართველო წარმოადგენდა და რუსეთმაც აგრესია სწორედ საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა. რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა მოგვიანებით, პირდაპირ აღიარა, რომ 2008 წელს რუსეთი საქართველოს იმიტომ დაესხა თავს, რომ ალიანსის გაფართოება არ დაეშვა.

ცხადია, ომის შედეგებმა (საქართველოს რეგიონების ოკუპაციამ) გაართულა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი. თუმცა, პროცესი ნამდვილად არ შეჩერებულა. სულ მალე, ომის შემდეგ შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია (NGC), რითაც ორმხრივი თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. იმავე წლის ბოლოს გადაწყდა საქართველოსთვის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავება, რომლის ფარგლებში განხორციელებული რეფორმებითაც ქვეყანა კიდევ უფრო მეტად უნდა დაახლოებოდა ნატოს. საქართველო შეუერთდა ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციას (ISAF), რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ალიანსის წევრებს (უპირველესად, ამერიკას) და თანამშრომლობა არა მხოლოდ გაგრძელდა, არამედ მას კონკრეტული, ხელშესახები შედეგებიც მოჰყვა. მაგალითად, 2015 წელს საქართველოში გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი (JTEC). მანამდე, ვიდრე საქართველოს ნატოში ინტეგრაცია განხორციელდება, ორმხრივი თანამშრომლობა ხორციელდება ფორმულით „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში.“ ნატოს ყოველ სამიტზე ალიანსი აცხადებს, რომ იგი კვლავაც ადასტურებს ბუქარესტის სამიტზე აღებულ ვალდებულებას, ოდესღაც საქართველო აუცილებლად მიიღოს თავის რიგებში. რუსეთის ყველა მცდელობის მიუხედავად, ორმხრივი თანამშრომლობა მაინც წინ მიდის. 2014 წლის უელსის სამიტზე საქართველომ ე. წ. არსებითი პაკეტი (SNGP) მიიღო, რომელიც ითვალისწინებს მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. 2016 წელს, ვარშავაში გამართულ სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებას, რაც ცხადია, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ასევე, 2015 წლიდან საქართველო ერთვება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) ქმედებებში. ნატოს დიდი ხნის განმავლობაში არ გააჩნდა ნატოს შეიარაღე-

ბული ძალები ცალკე, როგორც ასეთი. უბრალოდ, ნატოს შეიარაღებულ ძალებად მიიჩნეოდა ნატოს წევრი ქვეყნების ჯარები. მხოლოდ 2002 წელს, პრაღის სამიტზე დადგა ცალკე შენაერთების, ე. წ. სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის საკითხი, რომელიც დაექვემდებარებოდა უშუალოდ ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობას.

ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემ-

■ ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნა, 2015 წელი

დეგ. 2008 წლის ომის შემდეგ, უკრაინის ხელისუფლების სათავეში მოსკოვისადმი ლოიალური იანუკოვიჩი მოვიდა, რომელმაც ნატოსთან ინტეგრაციაზე უარი თქვა. მაგრამ მოსკოვი ამით არ დაკმაყოფილდა და უკრაინას ევროკავშირთან დაახლოებაზე უარის თქმაც მოთხოვა. იანუკოვიჩი ამასაც დათანხმდა – უკრაინელები ქუჩაში გავიდნენ და ხელისუფლების კაპიტულანტური ქმედება გააპროტესტეს. იანუკოვიჩი ქვეყნიდან სამარცხვინოდ გაიქცა, უკრაინა კი, დასავლეთისკენ მიბრუნდა. ამის პასუხად რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა.

ყირიმის ანექსია დასავლეთისათვის შოკი იყო, მაგრამ მას და უკრაინას კიდევ უარესი ელოდათ: რუსეთმა დონბასში გაგზავნა ჯარი და იქ გააჩაღა გამოუცხადებელი ომი უკრაინის წინააღმდეგ. ამ ქმედებებმა უკვე საბოლოოდ გამოაფხიზლა დასავლეთი, სადაც საკმაოდ ბევრი, 2008 წლის აგვისტოს ომს ნაწილობრივ მაინც საქართველოს აბრალებდა და რუსეთთან ცივილური ურთიერთობების დამყარების იმედი ჰქონდა. ნატოში გაიაზრეს, რომ ალიანსი პრაქტიკულად არ იყო მზად რუსეთის მხრიდან ბალტიისპირეთზე თავდასხმისათვის – როცა ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ალიანსში შეჰყავდა, მაშინ ამერიკასა თუ ბრიტანეთში სერიოზულად არ ფიქრობდნენ, რომ ეს ქვეყნები დასაცავი გაუხდებოდათ. ისინი შეჰყავდათ ალიანსში, რათა მათ მშვიდად ეგრძნოთ თავი და ამ ქვეყნებში სტაბილურობა ყოფილიყო. ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში სასწრაფოდ განლაგდნენ ამერიკელი, ბრიტანელი და გერმანელი სამხედროები. ასე მიიღო რუსეთმა, ის რისიც ეშინოდა – ნატოს ინფრასტრუქტურა თავის უშუალო სამეზობლოში და რასაც არასოდეს არ მიიღებდა, რომ არა მისი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ.

ნატოს კი გაფართოება არ შეუწყეტია. 2009 წელს მას შეუერთდა ხორვატია და ალბანეთი, ხოლო 2017 წელს მონტენეგრო. რუსეთი ამ ბოლო გაფართოებას მშვიდად არ შეხვედრია. ის კი არა, რუსულმა სპეცსამსახურებმა მონტენეგროს პრემიერ-მინისტრის მოკვლა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაც კი სცადა, მაგრამ ამაოდ.

სადღეისოდ, იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმის მსჯელობა, ხომ არ იყო შეცდომა ნატოს გაფართოება, მაგრამ ფაქტებს თუ შევხედავთ ნათელია, რომ შეცდომა იყო გაფართოების შეჩერება. ნატოს წევრ ქვეყნებში მშვიდობაა, ეკონომიკურად გან-

ვითარებული და დემოკრატიულია. სამწუხაროდ, მშვიდობა არ არის უკრაინაში, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანა არ არის. ოკუპირებულია საქართველოს ნაწილი, რომელსაც 2008 წელს უარი ეთქვა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP). დასავლეთში კი, საღად მოაზროვნე ადამიანები რუსული აგრესიის შემდეგ ალბათ, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ თავის დროზე ნატოს შექმნა, შემდეგ მისი შენარჩუნება და გაფართოება არა მხოლოდ სწორი, არამედ აუცილებელი ნაბიჯი იყო.

13 მითი ნატოს შესახებ

ავტორები
ქეთი კუპრაძე, მარიამ ჯაფარიძე

1. მითი, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერასოდეს გახდება, რადგან რუსეთი ამას არ დაუშვებს, მცდარია

საქართველოს ნატოში გაწევრებას ნატოს არაწევრი ქვეყანა, რუსეთის სახით, ხელს ვერ შეუშლის. ნატოში გაწევრება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი არჩევანია. ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის უფლება. ნატოში ქვეყნის გაწევრების გადაწყვეტილებას, ალიანსის წევრი სახელმწიფოები კონსესუსის საფუძველზე იღებენ.

2. მითი, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება, მცდარია

ნატოს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ხელს შეუშლის ნატოში გაწევრებას. ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტი, სადაც ნატოში გაწევრების აუცილებელ კრიტერიუმებზეა საუბარი, ალიანსის დამფუძნებელი წესდების ე. წ. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლია. ამ მუხლის მიხედვით, ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ

მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში. ამ კრიტერიუმებით, საქართველოს შეუძლია გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ნატოს ისტორიის მანძილზე, ალიანსში ქვეყნის გაწევრება მეზობელთან საზღვრების დაუდგენლობის შემთხვევაში მაინც მომხდარა. 2004 წელს, ნატოში გაწევრებისას ბალტიის ქვეყნებს საზღვრების დემარკაციის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული რუსეთთან, ამ უკანასკნელის მხრიდან პროცესის გაჭიანურების გამო. მიუხედავად ამისა, ნატომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბალტიის ქვეყნები ნატოში მიეწვიათ არსებული მდგომარეობით და შემდგომ, მოლაპარაკებების გზით, მოეგვარებინათ არსებული ტერიტორიული საკითხები რუსეთთან. ლატვიამ, გაწევრებიდან მალევე, 2007 წელს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან საზღვრის დადგენის შესახებ, ესტონეთმა ჯერ 2005 წელს, შემდგომ კი, 2014 წელს მოაწერა ხელი სასაზღვრო შეთანხმებას, თუმცა ხელშეკრულება ჯერჯერობით ძალაში არ შესულა.

3. მითი, რომ საქართველოს, ნატოში გაწევრების სანაცვლოდ, მოუწევს უარის თქმა ოკუპირებულ ტერიტორიების დაბრუნებაზე, მცდარია

ეს მითი მთლიანად აცდენილია რეალობას. **ნატოში გაწევრება არ ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარის თქმას!**

სინამდვილეში, **ნატო მყარად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.** ალიანსის პოზიციით, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან.

4. მითი, რომ ნატოში გაწევრიანების შემდეგ, საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზები ავტომატურად განთავსდება, მცდარია

ნატო თანასწორობისა და დემოკრატიულობის პრინციპით იმართება, სადაც გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე მიიღება. ალიანსში გაწევრების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების დროს, საქართველოს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას, ექნება თანაბარი ერთი ხმა.

გაწევრების შემდეგ, ქვეყანა თავად განსაზღვრავს, თუ როგორი სახის თანამშრომლობა სურს ნატოსთან, ამ თანამშრომლობის მიზანი კი, მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების გამყარება იქნება. **ნატოს სამხედრო ბაზის განთავსება წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომატურად არ ხდება და ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია თავად წევრი ქვეყნის სურვილზე.**

მაგალითად, ალიანსი ახორციელებს საჰაერო სივრცის მუდმივ პატრულირებასა და დაცვას იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არ აქვთ საჰაერო თავდაცვის სისტემა. კერძოდ, 2004 წლიდან, ნატოს თვითმფრინავები იცავენ ალბანეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და სლოვენიის ტერიტორიას წელიწადში 365 დღე, კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილება კი, ნატომ ამ ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე მიიღო.

5. მითი, რომ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით, საქართველოს შეიარაღებული ძალები სხვის ომში იბრძვიან, მცდარია

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით:

- საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.
- სამხედრო მოსამსახურეები **უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას** იძენენ, შედეგად ვითარდება საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები. დაახლოებით, 12 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ უკვე გაირა შესა-

ბამისი მომზადება. ამ გამოცდილებით საქართველოს ჰყავს **მაღალ დონეზე მომზადებული და ნატოს სტანდარტებთან სრულად თავსებადი ჯარი**. ეს კი, ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს.

- ქართველი ჯარისკაცები სამაგალითოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც საქართველოს **სანდო პარტნიორად** წარმოაჩენს.
- სანდო პარტნიორის სტატუსით, საქართველოს საკითხი მუდმივად აქტუალურია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ნატოს მხრიდან საქართველოსადმი მყარი მხარდაჭერის გაგრძელებას.

ნატოში გაწევრებისათვის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია.

6. მითი, რომ საქართველოს გამო ნატო რუსეთთან ომს არ დაიწყებს, მცდარია

ნატო არა თავდასხმითი, არამედ თავდაცვითი ორგანიზაციაა და მისი მთავარი პრინციპი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატო წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლით არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, ერთ წევრზე თავდასხმა მთლიანად ალიანსზე თავდასხმად განიხილება.

როცა საქართველო ნატოს წევრი გახდება, ნატოს მეხუთე მუხლი საქართველოზეც გავრცელდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოზე რუსეთის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მხრიდან სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, ნატო აიღებს ვალდებულებას, დაიცვას საქართველო და შესაბამისად უპასუხოს აგრესორს.

7. მითი, რომ საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტი ნეიტრალიტეტია, მცდარია

ნეიტრალიტეტის გამოცხადება საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, ნეიტრალური სახელმწიფო იქმნება მაშინ, როცა ძლიერი სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტსა და ამავდროულად, წარმოადგენენ ამ სტატუსის გარანტორებს. შვეიცარიამ, ავსტრიამ და თურქმენეთმა მუდმივი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო შეთანხმებებით მიიღეს.

რაც შეეხება გარანტიებს, საქართველოს შემთხვევაში, სულ მცირე, ერთ-ერთი მეზობელი – რუსეთი ვერ გახდება ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან თავად რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები.

ნეიტრალიტეტის შენარჩუნება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნეიტრალიტეტი გულისხმობს მთელ რიგ ვალდებულებებსაც: ქვეყანა არ უნდა მონაწილეობდეს არცერთ სამხედრო კონფლიქტში; ასევე, დაუშვებელია მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარის გატარება და მით უმეტეს, სამხედრო ბაზების არსებობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის თემით მანიპულაცია ახალი არ არის. 1920 წელს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო და სანაცვლოდ, საქართველო ნეიტრალიტეტზე დაითანხმა. ამ გზით, საქართველომ მოკავშირეების შეძენის თეორიულ შანსზეც კი უარი თქვა და ამის წყალობით, 1921 წელს იგი იოლად დაიპყრო რუსეთმა, დაარღვია რა, ერთი წლით ადრე საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება.

თანამედროვე ისტორიაშიც არსებობს მაგალითი იმისა, თუ როგორ უგულებელყო რუსეთმა ქვეყნის ნეიტრალიტეტი. 1994 წელს, მოლდოვის რესპუბლიკამ ნეიტ-

რალიტეტი კონსტიტუციით გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მოლდოვის რესპუბლიკას დნესტრისპირეთის რეგიონში გაყინული კონფლიქტის პრობლემა აქვს, სადაც სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული.

8. მითი, რომ ნატო აგრესიული და დესტაბილიზაციის მომტანი ორგანიზაციაა, მცდარია

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა. მისი ქმედებები რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არასოდეს ყოფილა. ალიანსი თავის წევრებს იცავს პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას და მიმართულია დავებისა და მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა. ნატოს დამფუძნებელი ქარტიის (ვაშინგტონის ხელშეკრულება) მე-5 მუხლში მოცემულია კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება, რომლის თანახმად, **ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოზე**. არსებულ შემთხვევაში, ალიანსი დახმარებას გაუწევს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყანას ან ქვეყნებს და განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას.

მითი, რომ ნატოს კარზე კაკუნი საქართველოს ინტერესებში არ შედის და არც ნატოში გვეღოდებიან, მცდარია

საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნა. ნატოს წევრობა კი ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა. ნატო ის ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რო-

მელმაც დროსა და მრავალ გამოწვევას გაუძლო. მთელი ამ ხნის განმავლობაში წევრ ქვეყნებს სამხედრო საფრთხე არ დამუქრებიათ თუ არ ჩავთვლით 9/11-ის მოვლენებს, რის პასუხადაც ნატომ მეხუთე მუხლიც კი აამოქმედა. **ნატოში გაწევრების შემთხვევაში, კრიზისული სიტუაციების დროს საქართველოს 29 მეგობარი ქვეყანა დაუდგება გვერდით**.

ამასთან, ალიანსთან თანამშრომლობით საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები და დემოკრატიული ინსტიტუტები ვითარდება, რაც ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში გვეხმარება.

ნატოს კარი კი ღიაა ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ქვეყნისთვის, რომელიც აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

10. მითი, რომ ალიანსს არსებობის მანძილზე არასდროს მოუგვარებია კონფლიქტი, მცდარია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უსაფრთხოების ახალი გამოწვევები გაჩნდა. ალიანსმა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო, განურჩევლად კონფლიქტის ადგილმდებარეობისა. **ფაქტი ერთია, რომ ნატოს ჩართულობით, 1990-იანი წლების ყველაზე სისხლიანმა კონფლიქტებმა დარეგულირება დაიწყო.** ბოსნია-ჰერცოგოვინასა და კოსოვოში მიმდინარე ეთნიკურმა წმენდებმა, მაკედონიაში კი შეიარაღებულმა კონფლიქტმა, ნატოს სამშვიდობო ოპერაციების დაწყებისკენ უბიძგა. ნატოს ოპერაციების შედეგად:

- ბოსნიაში გაფორმდა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება, რომელმაც ბოსნიელ სერბებსა და ბოსნიელ ხორვატებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაასრულა;
- კოსოვოში შეწყდა სერბეთის მთავრობის მხრიდან ალბანელების დევნა და მათი ეთნიკური წმენდა;
- მაკედონიაში კი, დაიდო სამშვიდობო შეთანხმება მაკედონიის მთავრობასა და ამბოხებულ ალბანელებს შორის, რის შედეგადაც ალბანელთა სეპარატიზმი დასრულდა.

11. მითი, რომ ნატო არაა ქართველი ხალხის არჩევანი, ის თავს მოხვეულია უცხოური ძალების მიერ, მცდარია

სინამდვილეში, **ნატოში გაწევრება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანია**. ამას ადასტურებს უამრავი ადგილობრივი თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული პლებისციტია, როცა მოსახლეობის 77%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოში გაწევრებას. ეს გადაწყვეტილება თაობათა არჩევანია. დღემდე ნატოში გაწევრება საქართველოს მთავრობის მთავარ საგარეო პრიორიტეტად რჩება და მას ყველა გამოკითხვით საქართველოს მოქალაქეების ორ მესამედზე მეტი უჭერს მხარს.

12. მითი, რომ ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატი საქართველოსთვის „თავდაუსხმელობის გარანტია" იქნება და ამავე ფორმატით საქართველო რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გზით დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს, მცდარია

მოსაზრება, რომ ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატი საქართველოს თითქოს ნატოსა და რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიისგან დაიცავს, აბსურდულია. ნატო თავისი არსით თავდაცვითი ალიანსია და ის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. რუსეთის მხრიდან „თავდაუსხმელობის" გამოცდილებას კი, საქართველო სულ მცირე, 1801, 1921 და 2008 წლებში უკვე ეზიარა. ასევე, აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველომ რუსეთთან მიმართებაში ცალმხრივად აიღო ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რუსეთი კი, უარს აცხადებს ამგვარი ვალდებულების აღებაზე.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე გადაწყვეტილებას ალიანსი და საქართველო დამოუკიდებლად იღებენ. მსგავსი ფორმატის შექმნა კი,

გულისხმობს ნატო-საქართველოს თანამშრომლობაში მესამე მხარის ჩარევას, რაც ეწინააღმდეგება აღნიშნული პარტნიორობის პრინციპს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. ამ საკითხებზე რუსეთთან დიალოგი უკვე წლებია მიმდინარეობს ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებში.

13. მითი, რომ 1992 წლიდან ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პროცესში პროგრესი არ აღინიშნება, მცდარია

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა მუდმივად პროგრესირებადია და ამ პროცესში საქართველო ყოველ ეტაპზე სულ უფრო უახლოვდება ალიანსს. დღეს, საქართველოს ასპირანტის ანუ გაწევრების მსურველი ქვეყნის სტატუსი აქვს. ოფიციალურად, საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) არ აქვს, თუმცა 2008 წლიდან ახორციელებს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც თავისი არსით სწორედ MAP-ის პრაქტიკული ნაწილია. ნატომ არაერთხელ აღნიშნა, რომ **საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტი აქვს**. ეს ნიშნავს, რომ ნატოს ე. წ. MAP-ის გადმოცემა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილად რჩება.

გარდა ამისა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ეს დაპირება ნატოს მომდევნო სამიტებზეც მრავალჯერ დადასტურდა.

2014 წელს, ნატომ საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი (SNGP) გადასცა, რაც საქართველოს უსაფრთხოების გამყარებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის თვისობრივად ახალი მექანიზმია. მაგალითად, აღნიშნული პაკეტის ფარგლებში, 2015 წლის აგვისტოში, საქართველოში ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი გაიხსნა (JTEC), რომელიც ნატოსა და საქართველოს შეირაღებული ძალების წვრთნებს მასპინძლობს. ეს

კი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციასა და თავდაცვისუნა-
რიანობის გაძლიერებას ემსახურება.

ნატოსთან თანამშრომლობის ყოველი მომდევნო ეტაპი აძლიერებს თანამშრომ-
ლობას და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას.

ევროკავშირის შესახებ

ავტორები

მარიამ დოლიძე

დევან მახაშვილი

გიორგი გოგუაძე

გოგიტა ღვედაშვილი

მიხეილ მირზიაშვილი

ნინო ბოლქვაძე

თავი I
ევროკავშირის შექმნის ისტორია

დღეისათვის ევროკავშირი 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. ის მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 508 მილიონი მოქალაქისთვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები უდიდესი ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ და მშვიდობაც საკმაოდ მყიფე იყო. ნათელი გახდა, რომ ეკონომიკური განვითარება და მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის გზით იქნებოდა შესაძლებელი.

გაერთიანებული ევროპის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა გაახმოვანა 1946 წლის 19 სექტემბერს, შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, სადაც განაცხადა: „ჩვენ ხელახლა უნდა შევქმნათ ევროპული ოჯახი რეგიონული სტრუქტურით, რომელსაც შეიძლება დაერქვას ევროპის შეერთებული შტატები“, თუმცა ჩერჩილის ამ იდეას მაშინ კონკრეტული ქმედებები არ მოჰყოლია. უფრო მეტიც – ჩერჩილი არ გამოხატავდა ბრიტანეთის ოფიციალურ პოზიციას ევროგაერთიანების შესახებ, რადგან გაერთიანებული სამეფო თავს გლობალურ ძალად აღიქვამდა, რომლის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან და თავის თანამეგობრობასთან (ყოფილ და არსებულ კოლონიებთან) ურთიერთობები იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთი ნეგატიურად იყო განწყობილი ევროგაერთიანების იდეისადმი.



სერ უინსტონ ჩერჩილი – გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში

ჟან მონე – ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი, „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ პირველი პრეზიდენტი



რობერტ შუმანი – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1947-1948 წლებში და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1948-1952 წლებში, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პირველი პრეზიდენტი 1958-1960

ევროპული ინტეგრაციის ათვლის წერტილად 1950 წლის 9 მაისი მიიჩნევა, როდესაც ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს ინიციატივა ამავე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა გაახმოვანა და დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანების წინადადებით გამოვიდა. ჟან მონეს ინიციატივის თანახმად, ისტორიულად დაუძინებელი მტრები – საფრანგეთი და გერმანია, სხვა ევროპულ ქვეყნებთან უნდა გაერთიანებულიყვნენ, რათა დამოუკიდებლად აღარ დაემუშავებინათ ქვანახშირი და ფოლადი. ვინაიდან ნებისმიერ ქვეყანას ომის საწარმოებლად ორი რამ სჭირდებოდა: ფოლადი, რომლისგანაც მზადდებოდა საბრძოლო მასალა და ქვანახშირი – ქარხნებისა და რკინიგზის ენერგიით მოსამარაგებლად, ამ უმნიშვნელოვანესი რესურსების წარმოებისა და რეალიზაციის დაქვემდებარება საერთო ზეეროვნული ორგანოსთვის („უმაღლესი მთავრობისთვის“), ემსახურებოდა ძირითად მიზანს – უზრუნველეყო გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაღრმავებულიყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და მოგვიანებით, პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება.

1951 წელს, ექვსმა სახელმწიფომ: საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა, იტალიამ და ნიდერლანდებმა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რამაც ევროპულ ინტეგრაციას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტი ჟან მონე გახდა

იცით თუ არა, რომ...

- ევროკავშირის დევიზია „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ (In varietate concordia);
- ევროკავშირის ჰიმნია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „ოდა სიხარულს“ (Ode an die Freude);
- ევროკავშირს 24 ოფიციალური ენა აქვს;
- ევროკავშირის პოლიტიკური ცენტრები განლაგებულია: ბრიუსელში, სტრასბურგში, ლუქსემბურგში, ჰააგასა და ფრანკფურტში.



ევროპული ინტეგრაციის განვითარების ეტაპები

ევროკავშირი მუდმივად ავითარებდა და დღესაც ავითარებს სტრუქტურას, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. ევროკავშირის ფუძემდებლურ კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი სხვადასხვა ხელშეკრულება, რომელიც საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას და აფუძნებს მის ინსტიტუციურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებსა და ძირითად უფლებამოსილებებს.

ასეთი ხელშეკრულებებია, მაგალითად: რომის ხელშეკრულება, ერთიანი ევროპული აქტი, მაასტრიხტის, ამსტერდამისა და ლისაბონის ხელშეკრულებები.

რომის ხელშეკრულებიდან ერთიან ევროპულ აქტამდე

„ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ ექვს ქვეყანას შორის ურთიერთობამ იმდენად სტაბილური და პროგრესირებადი ხასიათი მიიღო, რომ ცოტა ხანში გადაწყდა, შექმნილიყო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“, რომელსაც 1957 წელს რომის ხელშეკრულება დაედო საფუძვლად.

1955 წელს, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი შეთანხმდა, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი. შეიქმნა სამთავრობო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისთვის. 1957 წელს, რომში ხელი მოეწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ხელშეკრულებას. იმავე დღეს, ცალკე ხელშეკრულებით დაფუძნდა „ევრატომი“ (ევროპული გაერთიანება ატომური ენერგიის დარგში), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

ასევე, რომის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყა-

ლიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ ასევე უზრუნველყო საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბება.

1967 წელს (ხელი მოეწერა 1965 წელს), ბრიუსელის ხელშეკრულებით (იგივე Merger Treaty) მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების – კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი
ამინტორე ფანფანი ხელს აწერს MERGER TREATY-ს, 1965 წელი 8 აპრილი

სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა. სახელწოდება შეიცვალა 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე და „ევროპული გაერთიანებები“ ევროკავშირად გარდაიქმნა.

1968 წელს ამოქმედდა ევროგაერთიანების საბაჟო კავშირი, რომელსაც რომის ხელშეკრულებით ჩაეყარა საფუძველი და რომლის თანახმადაც, გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

70-იან წლებში დაიწყო საგარეო პოლიტიკის სფეროში სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის განვითარება. 1970 წლიდან წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები კვარტალში ერთხელ იკრიბებოდნენ – საგარეო პოლიტიკური საკითხების განსახილველად. შეიქმნა მუდმივმოქმედი პოლიტიკური სამდივნო. მოგვიანებით, მოხდა ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია და ჩამოყალიბდა ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა.

1974 წელს განხორციელდა წევრი სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლეს დონეზე შეხვედრების ფორმალიზება; თუ 1969 წლიდან ის წელიწადში ერთხელ იმართებოდა, 1974 წლიდან ასეთი შეხვედრების მინიმუმ ორჯერ გამართვა გადაწყდა. ევროპული საბჭოს ფარგლებში ხდება ინტეგრაციის მთავარი ორიენტირების განსაზღვრა, რომლის შექმნამაც ინტეგრაციის მთავრობათაშორისი ხასიათის ელემენტის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

შენგენის შეთანხმება

1985 წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება ხელმომწერი წევრი სახელმწიფოების, სხვა წევრი სახელმწიფოების ან მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის.

1985 წლის 14 ივნისი, „სავასპორტო საგაქო კონტროლის გაუქმების შესახებ ევროპის ქავშირის ქვეყნებს შორის“ შეთანხმებას ხელს აწერენ ქეთრინ ლაღუმიერი (საფრანგეთი), ვაღდემარ შრეკენგერგერი (გერმანია), პოლ დე კისმარკერი (გელგია), როგერტ გეგელსი (ლუქსემგურგი), ვინ ვან ეკელენი (ნიდერლანდების სამეფო) ლუქსემგურგის ვატარა სოფელში, შენგენში, სადაც ლუქსემგურგის, გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარი იკვეთება

დღეისათვის შენგენის ხელშეკრულება 26 ქვეყანას აერთიანებს:

- ევროქავშირის წევრ 22 ქვეყანას: ავსტრიას, ბელგიას, ჩეხეთის რესპუბლიკას, დანიას, ესტონეთს, ფინეთს, საფრანგეთს, გერმანიას, საბერძნეთს, უნგრეთს, იტალიას, ლატვიას, ლიტვას, ლუქსემბურგს, მალტას, ნიდერლანდებს, პოლონეთს, პორტუგალიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ესპანეთსა და შვედეთს;
- ევროქავშირის 4 არაწევრ ევროპულ ქვეყანას: შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და ლიხტენშტეინს.
- აღნიშნული ქვეყნები ერთად ქმნიან შენგენის ზონას. შენგენის ზონის 4 კანდიდატი ქვეყანაა: ბულგარეთი, კვიპროსი, ხორვატია და რუმინეთი.
- დიდი ბრიტანეთი და ირლანდია არ არიან შენგენის ზონის წევრები.

შენგენის ზონის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო მის შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება. შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ შენგენის ზონაში შემავალ სახელმწიფოებს შორის საზღვრები უნდა გაუქმებულიყო, ხოლო გარე საზღვრები – გამაგრებულიყო. ქვეყნები ვალდებულნი არიან, ერთიანი პოლიტიკა აწარმოონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას.

ერთიანი ევროპული აქტი

1986 წლის 17 თებერვალს, ლუქსემბურგში და 28 თებერვალს, ჰააგაში, ევროპული გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ე. წ. ერთიან ევროპულ აქტს, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შევიდა ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში – ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისიდან. ერთიანი ევროპული აქტი გახდა პირველი ყოვლისმომცველი სარევიზიო აქტი, რომლითაც ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია განხორციელდა, კერძოდ: ევროპული საბჭო ევროკავშირის ერთ-ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა; შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო; საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ეწოდა ევროპული პარლამენტი; შემოიღეს ახალი

1986 წლის 28 თებერვალი, ჰაიგა, ნიდერლანდების სამეფო

ნორმაშემოქმედებითი პროცედურა – თანაგადაწყვეტილების პროცედურა, რომ-ლითაც გაძლიერდა პარლამენტის როლი; გაიზარდა კომისიის უფლებამოსილე-ბებიც; ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელ-და ბევრ ისეთ სფეროზე, სადაც მანამდე გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხმად მიიღებოდა.

დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანა და დაიწყო შიდა ბაზრის შესაქმნელად აუცილებელი რეფორმების გატარება, რაც გულისხ-მობდა არსებული ბარიერებისა (კვოტები, ტარიფები) და ეკონომიკური დაბრკო-ლებებისგან თავისუფალი ეკონომიკური სივრცის შექმნას, სადაც თავისუფლად უნდა მომხდარიყო ე. წ. „4 სახის თავისუფლების“: საქონლის, მომსახურების, კა-პიტალისა და ადამიანების გადაადგილება. შიდა ბაზრის შექმნა 1992 წლის 31 დე-კემბრისთვის უნდა დასრულებულიყო.

მაასტრიხტის ხელშეკრულება

ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრა-ლური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კონტროლიდან გათავისუფ-ლებამ, აგრეთვე, 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ და მნიშვ-ნელოვანმა დემოკრატიულმა პროცესებმა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა განაპირობა.

1992 წლის 7 თებერვალს, ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწე-რა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც **მაასტრიხტის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ევროგაერ-თიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტი-კური ასპექტიც შეიძინა**. მაასტრიხტის ხელშეკრულებით, შესწორდა და ერთ დოკუმენტში გაერთიანდა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება – პარი-ზის (1950 წ.) და რომის (1957 წ.) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986 წ.).

■ მაასტრიხტი, ნიდერლანდები, 1992 წელი, 7 თებერვალი – ლუქსემბურგის ფინანსთა მინისტრი ჟან-კლოდ იუნკერი ხელს აწერს მაასტრიხტის ხელშეკრულებას. ჟან-კლოდ იუნკერი 2014 წლიდან ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს: პირველ სვეტში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება). მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში – თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში.

პირველ სვეტი	მეორე სვეტი	მესამე სვეტი
აქ შემავალ საკითხებად განისაზღვრა: საბაჟო კავშირი, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა. ამსტერდამის ხელშეკრულებით, შემდგომში, ამ სვეტს სხვა საკითხებიც დაემატა.	შემდეგ საკითხებს არეგულირებდა: თანამშრომლობა საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნებისათვის, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხები.	აქ შემავალი საკითხები იყო: წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ სვეტში საკითხები განიხილებოდა ზეეროვ-ნულ (ანუ ევროპულ) დონეზე, ხმათა უმრავლესობით და აქ გადამწყვეტი როლი დაეკისრა ევროკომისიას და ევროპარლამენტს, საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ სვეტში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს – გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვ-ნულ დონეზე, წევრი ქვეყნის ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. აქ გადაწ-ყვეტილების მისაღებად საჭირო იყო არა უმრავლესობის, არამედ ყველა ქვეყნის თანხმობა. მეორე და მესამე სვეტის საკითხებში, ანუ საერთო საგარეო და თავ-დაცვის პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში, კომისია და პარლამენტი ვერ ჩაერეოდა.

ამის მიზეზი გახდა ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საშინაო საქმეები და მართლმსაჯულება, კომისიისა და პარლამენტისთვის მიენ-დოთ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორგანოების მოვალეობას წარმოადგენდა საერთო ევროპული ინტერესების მიხედვით მოქმედება და არა ეროვნული ინ-ტერესების დაცვა, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად მოეხდინათ გავლენა გადაწყვეტილების მი-ღებაზე (ანუ ევროკომისიის ან ევროპარლამენტის წევრს, რომელიც ეროვნებით შეიძლება იყოს ფრანგი, არ აქვს უფლება, საფრანგეთის სახელით იმოქმედოს და მარტო საფრანგეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი).

მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფ-ლება. კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურის შემოღებით, ევროპარ-ლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება, საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში, გარკვეულ სფეროებში. კომისიის მთლიანი შემად-გენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ამასთან, ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა უფლება, შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტები.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყდა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რომლის განხორციელებაც უნდა მომხდარიყო ეკო-ნომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციისა და ერთიანი სავალუტო ერთე-

ულის – ევროს შემოღების გზით. ამ მიზნით შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი. გადაწყდა ევროკავშირის მოქლაქეობის, როგორც ეროვნულ მოქალაქეობაზე დამატებითი სტატუსის შემოღება. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე საუბარი იყო ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი საბოლოოდ ამოიღეს, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე როგორც საგარეო და დაბეგვრის პოლიტიკა, წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის საშინაო საქმეებად მიიჩნიეს. მაასტრიხტის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წელს.

ამსტერდამის ხელშეკრულება

1997 წელს, ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი. ამსტერდამის ხელშეკრულება მოიცავს იმ საკითხებს, რომელზე შეთანხმებაც ვერ მოხერხდა მაასტრიხტში. სამთავრობათაშორისო კონფერენცია ძირითად მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუციური სისტემის შექმნას, რომელიც უპრობლემოდ უზრუნველყოფდა ევროკავშირის მომავალ გაფართოებას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, ძირითადი

1997 წლის 2 ოქტომბერი, ამსტერდამი, ნიდერლანდები

თემები, რომელთა გარშემოც დებატები გაიმართა ამსტერდამის ხელშეკრულების მიღების პროცესში, ეხებოდა ევროკავშირის მმართველი სისტემის „მოქნილობის“ გაზრდას და „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის“ არეალის შექმნას.

მოქნილობის გაზრდა გულისხმობდა ევროკავშირის მმართველი ორგანოების სტრუქტურების დახვეწას, რათა უკეთ მორგებოდა იმ პერიოდისთვის 15 წევრამდე გაზრდილ ევროკავშირს, სადაც კვლავ იგეგმებოდა ახალი წევრების მიღება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს, იყო მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის გაღრმავება. სავიზო რეჟიმები, სასაზღვრო კონტროლი, თავშესაფრის მიცემისა და იმიგრაციის პოლიტიკა, პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო საკითხებში, ზოგადად, ადამიანის უფლებათა და არაწევრი ქვეყნების უფლებების დაცვა ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ფარგლებში გადაიტანეს და ევროკავშირის კომპეტენციათა პირველ სვეტში მოექცა.

მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის სვეტში დარჩა პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში.

ამასთან, გაფართოვდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციები სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების სფეროში. საპოლიციო თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით შეიქმნა ევროპული პოლიცია – ევროპოლი.

ამსტერდამის ხელშეკრულებით შემოიღეს მნიშვნელოვანი ახალი თანამდებობა - ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც იმავდროულად, საბჭოს გენერალური მდივანიც გახლდათ.

პარლამენტის უფლებამოსილებები გაიზარდა თანაგადაწყვეტილების პროცედურის მოქმედების საკმაოდ მრავალი კომპეტენციის ნორმაზე გავრცელების გზით. გარდა ამისა, აუცილებელი გახდა კომისიის პრეზიდენტის კანდიდატურაზე პარლამენტის თანხმობა.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის განხორციელება 1999 წლის 1 იანვრისთვის მოხერხდა, რაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით იყო დადგენილი. კერძოდ, ევრო, როგორც ერთიანი ევროპული სავალუტო ერთეული, ამ დღიდან უნაღდო ანგარიშსწორებაში უკვე გამოიყენებოდა, ხოლო 2002 წლის 1 იანვრიდან მან ეროვნული ვალუტები ნაღდ ანგარიშსწორებაშიც შეცვალა.

დღეისათვის, ევროკავშირის წევრი 28 სახელმწიფოდან, ევროზონაში მხოლოდ 19 ქვეყანაა გაერთიანებული (2017 წლის დეკემბერი). დანარჩენ ქვეყნებში დღემდე ეროვნული ფულადი ერთეულია მიმოქცევაში. ევროზონაში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები:

ავსტრია	ლატვია
ბელგია	ლიტვა
კვიპროსი	ლუქსემბურგი
ესტონეთი	მალტა
ფინეთი	ნიდერლანდები
საფრანგეთი	პორტუგალია
გერმანია	სლოვაკეთი
საბერძნეთი	სლოვენია
ირლანდია	ესპანეთი
იტალია	

ევროზონაში გასაერთიანებლად, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ გარკვეული კრიტერიუმები, მათ შორის: ევროზონაში გაერთიანებამდე ქვეყანა 2 წელი უნდა იყოს ჩართული ევროპულ გაცვლითი კურსის მექანიზმში (European Exchange Rate Mechanism (ERM II).

ამასთანავე, ანდორას, მონაკოს, სან მარინოსა და ვატიკანს ფორმალური შეთანხმებები აქვთ გაფორმებული ევროკავშირთან, რომ გამოიყენონ ევრო, როგორც

თავიანთი ოფიციალური ვალუტა. კოსოვომ და მონტენეგრომ ევრო შემოიღეს ცალმხრივად, მაგრამ ოფიციალურად არ წარმოადგენენ ევროზონის ნაწილს და არ გააჩნიათ წარმომადგენლობა ევროპის ცენტრალურ ბანკსა და ევროჯგუფში, რომელიც შედგება ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისაგან და ევროზონასა და ევროსთან მიმართებაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს.

ნიცის შეთანხმება

2000 წლის დეკემბერში, მთავრობათაშორისმა კონფერენციამ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ხელშეკრულება შეიმუშავა. მას ხელი მოეწერა 2001 წლის თებერვალში, ხოლო ძალაში 2003 წლის თებერვალში შევიდა. ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო გაფართოების ახალი ტალღისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადება. ნიცის ხელშეკრულებით განისაზღვრა ორგანოების შემადგენლობის და საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების ახალი დებულებები, თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის მინიჭებული ხმათა რაოდენობის შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დემოგრაფიულ საკითხს (აღნიშნული სისტემა შეიცვალა ლისაბონის ხელშეკრულებით). კიდევ უფრო გა-

ნიცის შეთანხმება, 2001 წლის 26 თებერვალი

იზარდა ევროპული პარლამენტის უფლებამოსილებები, კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურამ სულ უფრო მეტი კომპეტენციის ნორმა მოიცვა. ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელდა ბევრ ისეთ კომპეტენციის ნორმაზე, რომელთა ფარგლებში ადრე გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული.

ნიცის სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის ერთსულოვანი მიღება. ეს გახლდათ 50 პუნქტისაგან შემდგარი კრებული ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ.

საკონსტიტუციო ხელშეკრულება

ნიცის სამიტზე გადაწყდა, რომ 2004 წლისთვის მოეწვიათ კონფერენცია და მის ფარგლებში მომხდარიყო ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპულ გაერთიანებათა დამფუძნებელი ხელშეკრულებების გადახედვა. 2001 წლის 15 დეკემბერს, ლეიკენში (ბელგია) ევროპული საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციის საფუძველზე შეიქმნა ე. წ. „ევროპული კონვენტი“, რომელიც წევრი სახელმწიფოების მეთაურთა 15 წარმომადგენლისგან (1 წარმომადგენელი თითო სახელმწი-

ფოდან), ეროვნული პარლამენტების 30 წევრისგან (2 წარმომადგენელი თითოეული პარლამენტიდან), ევროპული პარლამენტის 16 წევრისა და კომისიის 2 წარმომადგენლისგან შედგებოდა. კონსულტაციებში მონაწილეობდნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომლებიც უახლოეს ხანში ევროკავშირის წევრები უნდა გამხდარიყვნენ. კონვენტის თავმჯდომარედ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარდ დ'ესტენი დაამტკიცეს. ევროპულ კონვენტს დაევალა დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციებს წევრ სახელმწიფოებსა და ევროპულ გაერთიანებებს შორის კომპეტენციების განაწილების, ძირითადი უფლებების ქარტიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, ეროვნული პარლამენტების სტატუსის დადგენისა და არსებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და მექანიზმების გამარტივების შესახებ. 2004 წლის 17-18 ივლისს ბრიუსელის სამიტზე გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ შედგა შეთანხმება საკონსტი-

ტუციო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტზე, 2004 წლის 29 ოქტომბერს კი რომში მას საზეიმოდ მოეწერა ხელი. საკონსტიტუციო ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით, საერთაშორისო ხელშეკრულება იყო, თუმცა ძალაში არ შესულა, რადგან საფრანგეთსა და ნიდერლანდებში გამართულ რეფერენდუმებზე მოსახლეობის უმრავლესობამ მის წინააღმდეგ მისცა ხმა. ექსპერტთა აზრით, გარკვეული უარყოფითი როლი ამ პროცესში შეასრულა ტერმინმა „კონსტიტუცია“, ვინაიდან იგი სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა და, შესაბამისად, მისი ძალაში შესვლა ევროკავშირის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად გადაქცევას დაუკავშირდა. ამ სიახლისთვის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა.

ლისაბონის შეთანხმება

ე. წ. „რეფორმის ხელშეკრულებას“, რომლის სრული სახელწოდებაა „ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა ლისაბონში (პორტუგალია) და იგი ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს. ხელშეკრულება შინაარსობრივად საკონსტიტუციო ხელშეკრულების ტექსტს შეესაბამება, თუმცა არ ჩაიდო ისეთი ცნებები, რომლებიც როგორც წესი, სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა, მაგალითად: კონსტიტუცია, დროშა, ჰიმნი, ევროპული კანონი და ა. შ. ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირს სამართალსუბიექტობა მიენიჭა. გარდა ამისა, იგი ძირითადად ითვალისწინებდა ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში. აღნიშნული ხელშეკრულების მიზანი იყო ევროკავშირისათვის უფრო ძლიერი, ერთიანი მმართველობის შექმნა, ეფექტიანი საგარეო პოლიტიკისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გადაწყვეტილების მიღების შედარებით მარტივი სისტემის ჩამოყალიბება.

ლისაბონის შეთანხმების მიხედვით, შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები.

ლისაბონი, 2007 წელი

ლისაბონის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებების მიღების გაადვილებას ევროკავშირის დონეზე, რაც მისი წევრი ქვეყნების სიმრავლესთან ერთად, დროთა განმავლობაში სულ უფრო რთულდებოდა. ამ მიზნით, ახალი ხელშეკრულება ვეტოს უფლების შემცირებას ითვალისწინებდა, სამაგიეროდ, ზრდიდა ევროპარლამენტისა და ეროვნული პარლამენტების უფლებებს.

ცვლილებები შევიდა ხმის მიცემის პროცედურებში: 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ თანაგადაწყვეტილების პროცედურა გავრცელდა პირველი სვეტის 83 სფეროზე და გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას ევროკავშირის ნორმატიული აქტების მიღებისას ჩვეულებრივი პროცედურა (Ordinary procedure) ეწოდა.

სხვა სიახლეებთან ერთად, ლისაბონის შეთანხმება ევროპელ მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის (European Citizens' Initiative) უფლებასაც ანიჭებდა, რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირის მილიონ მოქალაქეს, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთ მეოთხედს (ამჟამად 28 წევრი ქვეყნიდან მინიმუმ 7 ქვეყანა), უფლება აქვთ პირდაპირ მოუწოდონ ევროკომისიას კანონმდებლობის ინიცირებისკენ იმ სფეროებთან მიმართებაში, რომლებზეც წევრ ქვეყნებს კომპეტენცია ევროკავშირისთვის აქვთ გადაცემული.

ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოს ეძლევა უფლება, სურვილისამებრ დატოვოს კავშირი.

ევროკავშირის ღირებულებები და მიზანი

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია ის ღირებულებები, რომლებზეც არის დაფუძნებული ორგანიზაცია, კერძოდ: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებების მათ შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია წევრი სახელმწიფოების ეროვნული იდენტობის პატივისცემის აუცილებლობა. მე-6 მუხლი კი, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის სავალდებულო ძალას აღიარებს.

ევროკავშირის მიზნები დეკლარირებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც, ევროკავშირი მიზნად ისახავს მშვიდობას, კავშირის ღირებულებებისა და წევრი სახელმწიფოების ხალხთა კეთილდღეობის ხელშეწყობას. ხელშეკრულების თანახმად, კეთილდღეობა გულისხმობს: ეკონომიკის ზრდას, ფასების სტაბილურობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, შიდა ბაზრის შექმნას, გარემოს დაცვას, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნას და ა. შ.

ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები (კოპენჰაგენის კრიტერიუმები) და პროცედურა

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის I პუნქტის მიხედვით, ევროპულ კავშირში გაწევრების შესახებ განაცხადის შეტანა შეუძლიათ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც პატივს სცემენ და მათ მხარს უჭერენ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ ღირებულებებს. აღნიშნული მუხლის დებულება მოიცავს ევროპულ კავშირში გაწევრების როგორც გეოგრაფიულ, ასევე პოლიტიკურ კრიტერიუმებს.

1993 წელს, ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის (დანია) სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება, შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- **პოლიტიკური** – აქვს სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე აგებენ პასუხს;
- **ეკონომიკური** – აქვს მოქმედი ეკონომიკური ბაზარი და ძალუძს, თავი გაართვას კონკურენტულ წნეხსა და საბაზრო ფასებს ევროკავშირის ფარგლებში;
- **სამართლებრივი** – იღებს ევროკავშირში დაწესებულ კანონებსა და პრაქტიკას, კონკრეტულად კი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ძირითად მიზნებს.

ევროკავშირის სამიტი კოპენჰაგენში, 1993 წელი

კოპენჰაგენის კრიტერიუმს აგრეთვე მიეკუთვნება ევროკავშირის ე. წ. „მონაპოვრის“ (Acquis Communautaire) იმპლემენტაცია, რაც ნიშნავს, რომ გაწევრების შემდეგ ევროკავშირის მთელი სამართალი ახალ სახელმწიფოებშიც გამოიყენება. ევროკავშირის სამართლის სისტემა, გარდა ხელშეკრულებებისა და მეორადი სამართლისა, ასევე ეყრდნობა განცხადებების, პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რაც მთლიანობაში არის ევროკავშირის „მონაპოვარი“.

ევროკავშირში მიღების პროცესს მრავალი საფეხური აქვს და ყველა მათგანი სანქცირებული უნდა იყოს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის მიერ. თავდაპირველად, გაწევრების მსურველი სახელმწიფო ოფიციალურად მიმართავს განცხადებით ევროკავშირის საბჭოს, რის შემდეგაც ხდება ევროპული და ეროვნული პარლამენტების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. საბჭო მოუწოდებს ევროპულ კომისიას, შეიმუშაოს დასკვნა გაწევრების შესახებ განცხადების თაობაზე. მას შემდეგ, რაც კომისია შეისწავლის ქვეყნის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მიღებულ დასკვნას უგზავნის საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში იწყება გადაწყვეტილების შესახებ მოლაპარაკებები. მოლაპარაკებების ფორმალურად დასრულების შემდეგ, საჭიროა ევროპარლამენტის ფორმალური თანხმობა. როდესაც განხილვა და თანმდევი რეფორმები წარმატებით დასრულდება, კანდიდატი ქვეყნის ევროპულ კავშირში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ ერთხმად უნდა მიიღოს. პროცესი დასრულებულად მიიჩნევა, როდესაც გაწევრების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენს ჯერ კანდიდატი, ხოლო შემდეგ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო.

ევროპული კავშირიდან გასვლა

ევროპული კავშირის სამართალი ლისაბონის ხელშეკრულებამდე არ ითვალისწინებდა წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპული კავშირის დატოვების საკითხს, თუმცა, თეორიულად, ასეთი შესაძლებლობა საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძველზე მაინც არსებობდა. კერძოდ, წევრ სახელმწიფოს შეეძლო, ევროპული გაერთიანება დაეტოვებინა გარემოებათა შეცვლის საფუძველზე. ლისაბონის ხელშეკრუ-

ლების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის კავშირიდან წევრი სახელმწიფოს გასვლა თავისი საკონსტიტუციო მოთხოვნის შესაბამისად, რეგულირდება ხელშეკრულების 50-ე მუხლით. ევროპის კავშირიდან გასვლის მსურველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები: გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს ევროპულ საბჭოს, თუმცა არ არის ვალდებული, გადაწყვეტილება დაასაბუთოს. ამის შემდგომ ევროპული კავშირი, ევროპული საბჭოს სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით, მოლაპარაკებებს გამართავს ევროპული კავშირიდან გასვლის მსურველ სახელმწიფოსთან, შეთანხმების დადების შესახებ, რომლის შედეგადაც უნდა დარეგულირდეს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და დაისახოს სამომავლო თანამშრომლობის ჩარჩო. გასვლის მსურველ წევრ სახელმწიფოსთან შეთანხმებას დებს საბჭო, რომელიც მოქმედებს ევროპული კავშირის სახელით.

გადაწყვეტილება მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით, თუმცა მანამდე აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე ევროპული პარლამენტის თანხმობა. წევრი სახელმწიფო ევროპული კავშირიდან გასულად მიიჩნევა გასვლის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან. **იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების დადება ვერ მოხერხდა, ევროპული საბჭოსთვის გასვლის შესახებ სურვილის შეტყობინებიდან 2 წლის შემდეგ, წევრი სახელმწიფო ავტომატურად ტოვებს ევროპულ კავშირს** (თუმცა, ამ ორწლიანი ვადის გაგრძელება ევროპულ საბჭოს შეუძლია ევროკავშირის დატოვების მსურველი სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში). ორწლიანი ვადის დაწესება მიუთითებს იმაზე, რომ სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დატოვოს კავშირი, ევროპულ კავშირს გადაწყვეტილების დაბლოკვის უფლება არ აქვს.

2016 წლის 23 ივნისს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, დიდი ბრიტანეთის მოსახლეობამ ევროკავშირის დატოვებას დაუჭირა მხარი



თავი II
ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა

ევროკავშირის გაფართოება

1957	ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები
1973	დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო
1981	საბერძნეთი
1986	ესპანეთი და პორტუგალია
1995	ავსტრია, ფინეთი და შვედეთი
2004	ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია
2007	ბულგარეთი და რუმინეთი
2013	ხორვატია

ჰაროლდ მაკმილანი,
დიდი ბრიტანეთის
პრემიერ-მინისტრი
1957-1963

შარლ დე გოლი,
გენერალი,
საფრანგეთის
პრეზიდენტი, 1958-1969

ჰაროლდ ვილსონი,
დიდი ბრიტანეთის
პრემიერ-მინისტრი
1964-1970 და 1974-1976

1973 წლის გაფართოება

დიდი ბრიტანეთის გაწევრება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა კონტინენტური ევროპის ეკონომიკური ინიციატივებისგან დისტანცირების პოლიტიკა აირჩია, თუმცა მომდევნო ორ ათწლეულში აშკარა გახდა, რომ ამგვარი პოლიტიკა ბრიტანეთის ეკონომიკას მხოლოდ ზარალს აყენებდა. შესაბამისად, ბრიტანეთმა დასავლეთ ევროპულ ბაზრებზე იოლი შესვლა ევროგაერთიანებაში გაწევრებით გადაწყვიტა. ამასთან, გაწევრებას ბრიტანეთის შიდა პოლიტიკაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და ძირითადად, სუვერენიტეტის შესაძლო დაკარგვით იყვნენ შეშფოთებულები. ამის გამო ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, მაკმილანმა ხელოვნურად „დაწია“ გაწევრების პოლიტიკური მნიშვნელობა და ეს პროცესი წმინდა ეკონომიკური ხასიათის მოვლენად წარმოადგინა. 1961 წელს, დიდმა ბრიტანეთმა თანამეგობრობის წევრობის სურვილი ოფიციალურად განაცხადა.

1962 წლის დეკემბერში, აშშ-ის და ბრიტანეთის პირველმა პირებმა – კენედიმ და მაკმილანმა ნასაუში მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთის პოტენციურად დამოუკიდებელ ბირთვულ ძალებს ამერიკა რაკეტებით მოამარაგებდა. სწორედ ნასაუს შეთანხმება გახდა მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობასთან მიერთებისა: საფრანგეთის პრეზიდენტმა დე

ედვარდ ჰეთი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, 1970-1974

გოლმა ეს შეთანხმება თავისი შეხედულების (რომ ბრიტანეთი აშშ-ის „ჯაშუში“ იყო) კიდევ ერთ არგუმენტად მიიჩნია. ვაშინგტონს ატლანტიკური ურთიერთობების განვითარება ევროპული თანამეგობრობის გარეშე ვერ წარმოედგინა, დე გოლს კი არ მოწონდა პარტნიორული ურთიერთობების იმ ტიპის ჩამოყალიბება, როგორიც აშშ-ს სურდა. ამიტომ, ნასაუს შეთანხმებით დე გოლისთვის ნათელი იყო ის პოტენციური პოლიტიკური სირთულეები, რაც შეიძლებოდა საფრანგეთისთვის ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში გაწევრებას შეექმნა. გარდა ამისა, დე გოლს არ სურდა ორგანიზაციის გაფართოება, ვიდრე არ დასრულდებოდა სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის (სსმპ) სრული ჩამოყალიბება (რომელიც რომის ხელშეკრულებით, 1958-1970 წლებზე იყო გაწერილი), ვინაიდან ევროგაერთიანებაში შევიდოდა ისეთი დიდი ქვეყანა, რომელიც ორგანიზაციის უმთავრეს პრინციპებსა და პოლიტიკის მიმართულებებს არა თუ უბრალოდ არ იზიარებდა, არამედ ძლიერ ეწინააღმდეგებოდა კიდეც. შედეგად, დე გოლმა ბრიტანეთის აპლიკაციას ვეტო დაადო.

იგივე ბედი ეწია დიდი ბრიტანეთის მეორე აპლიკაციასაც. ქვეყნის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, ბრიტანეთისთვის ევროგაერთიანების წევრობა ისეთი საჭირო იყო, როგორც არასდროს, ამიტომ 1967 წლის მაისში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა კვლავ განაცხადა გაწევრების სურვილის შესახებ, თუმცა ვერც მან შეძლო დე გოლის დარწმუნება, რომ ეს შეესაბამებოდა საფრანგეთის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს.

გერმანიისთვის ბრიტანეთის წევრობა ეკონომიკურად და სტრატეგიულად მომგებიანი იყო, თუმცა არა

იმდენად, რომ დე გოლის პოზიციის გამო საფრანგეთთან ურთიერთობები და ევროგაერთიანება კრიზისის საფრთხის წინაშე დაეყენებინა. შედეგად, საფრანგეთის წინააღმდეგობისა და გერმანიის ყოყმანის გამო, 1967 წლის დეკემბერში, ბრიტანეთმა წევრობის აპლიკაცია დროებით თავად შეაჩერა.

1969 წელს კი, დე გოლის გადადგომისთანავე, ბრიტანეთმა კვლავ გააქტიურა თავისი აპლიკაცია. წინამორბედისგან განსხვავებით, ბრიტანელი კონსერვატორი პრემიერ-მინისტრი ედვარდ ჰეთი ევროგაერთიანებისადმი უფრო პოზიტიურად იყო განწყობილი. ბრიტანეთისთვის ორგანიზაციაში გაწევრების მთავარი არგუმენტი იყო ევროპაში იმ ცენტრალური როლის დაბრუნება, რაც მან დაკარგა 1958 წლის რომის ხელშეკრულებით საფრანგეთი-გერმანიის როლის გაზრდის შედეგად. ამის მისაღწევად დიდი ბრიტანეთი მზად იყო, მაგალითად, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის სფეროში გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო.

მოლაპარაკებების დროს, მხარეთა შორის წარმოშობილი სამი მნიშვნელოვანი დაბრკოლების (თევზჭერა, საკვები და ფინანსები) მოგვარების შემდეგ – 1971 წლის მაისის სამიტზე, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, 1973 წელს კი, დიდი ბრიტანეთი ევროგაერთიანების წევრი გახდა.

სხვა აპლიკანტები

დიდი ბრიტანეთის გარდა, ევროპული თანამეგობრობის წევრობის კანდიდატები იყვნენ დანია, ირლანდია და ნორვეგია. ბრიტანეთის მსგავსად, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად აწარმოებდა ევროგაერთიანებასთან მოლაპარაკებებს.

ირლანდიაში ბევრ კითხვას აჩენდა ნეიტრალიტეტის თემა – ირლანდიის მთავრობამ 1949 წელს უარი განაცხადა ნატოს წევრობაზე დიდი ბრიტანეთის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიის „ოკუპაციის“ გამო. მართალია, ევროპული თანამეგობრობა არ იყო სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ რომის ხელშეკრულების ერთ-ერთი ვალდებულება („ever closer union“ – „მუდმივად მჭიდრო კავშირი“) გულისხმობდა, რომ თანამეგობრობა მომავალში აუცილებლად განავითარებდა თავდაცვის პოლიტიკას. მაგრამ ირლანდიელები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ რადგან მათი

ეკონომიკა ბრიტანეთის ეკონომიკაზე იყო მიბმული, ბრიტანეთის წევრობის შემთხვევაში, მათთვის თანამეგობრობის გარეთ დარჩენა წამგებიანი გახდებოდა. ამასთან, თანამეგობრობა კარგი საშუალება იქნებოდა ირლანდიისთვის საზოგადოების მოდერნიზაციისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში და ევროგაერთიანებაში ყოფნა პოლიტიკურადაც მეტ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას, ვიდრე მუდმივად ბრიტანეთთან ასოცირება და მის ჩრდილქვეშ მოქმედება.

ნორვეგიაში ევროსკეპტიციზმი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ირლანდიაში. მას შემდეგ, რაც ნორვეგიამ მცირე ხნის წინ დამოუკიდებლობა მოიპოვა შვედეთისგან, ნორვეგიელები არცთუ პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი სახელმწიფოთა რაიმე კავშირში წევრობისადმი, თუნდაც ეს ნებაყოფლობითი ქმედება ყოფილიყო. ოღონდ, ირლანდიელების მსგავსად, ნორვეგია ევროპულ თანამეგობრობაში გარკვეულ ეკონომიკურ მოგებას ხედავდა. თანაც, იმ კავშირში გაერთიანება, რომლის წევრიც არ იყო შვედეთი, ნორვეგიას მიანიჭებდა მეტ წონას ძველ იმპერიულ სახელმწიფოსთან ურთიერთობისას. ამის მიუხედავად, თანამეგობრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება უფრო ღრმა აღმოჩნდა, რაც საბოლოოდ, გადამწყვეტი აღმოჩნდა. შედეგად, ნორვეგია არ გაწევრიანდა ევროკავშირში.

დანიაში პოზიციები ორად იყო გაყოფილი, თუმცა, გაწევრების ეკონომიკური არგუმენტები ამ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა: დანიის ეკონომიკა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ეკონომიკასთან, რომელიც ბრიტანეთის წევრობის შემთხვევაში, დაიკარგებოდა. დანიისთვის ამ დანაკარგის ალტერნატივა არ არსებობდა. ამასთან, თანამეგობრობაში გაერთიანებით, დანიისთვის მთლიანად იხსნებოდა გერმანიის ბაზარი.

ამრიგად, 1972 წელს გამართული რეფერენდუმების შემდეგ, 1973 წელს ირლანდია და დანია (დიდ ბრიტანეთთან ერთად) შეუერთდნენ ევროგაერთიანებას, ნორვეგიის მოსახლეობის 54%-მა კი უარი განაცხადა თავის ქვეყნის ევროგაერთიანების წევრობაზე.

საბერძნეთის გაწევრიება

სამხედრო დიქტატურის დამხობის შემდეგ, 1974 წელს საბერძნეთი კვლავ დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. ხელისუფლებაში მოვიდა მთავრობა ყოფილი

პრემიერ-მინისტრის, კონსტანტინე კარამანლისის ხელმძღვანელობით. კარამანლისმა აქტიურად დაიწყო ევროგაერთიანებაში საბერძნეთის სწრაფ გაწევრებაზე ზრუნვა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით საერთაშორისო დონეზე ქვეყნის რეპუტაციის რეაბილიტაციას, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, ეკონომიკის მოდერნიზაციას და თურქეთთან მიმართებაში საბერძნეთის უსაფრთხოების გაძლიერებას მიაღწევდა.

საბერძნეთმა განაცხადი 1975 წელს შეიტანა. წევრი სახელმწიფოები პოზიტიურად შეხვდნენ ამ სვლას, თუმცა კომისია სიფრთხილით მოეკიდა საბერძნეთის საკითხს: 1976 წლის იანვრის ანგარიშში მან აღნიშნა, რომ მიესალმებოდა საბერძნეთის გაწევრების პერსპექტივას, მაგრამ ხედავდა მნიშვნელოვან სირთულეებს სოფლის მეურნეობის, კონკურენციის პოლიტიკის და სახელმწიფო სუბსიდიების მიმართულებით. პორტუგალიისა და ესპანეთის მხრიდან გაწევრების სურვილის გამოთქმის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს დამოკიდებულება საბერძნეთის მიმართაც მნიშვნელოვნად შეიცვალა – აქამდე თუ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საბერძნეთის შესაძლო წევრობის გავლენას თანამეგობრობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამჯერად ნათლად დაინახა და შეაფასა ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულებით გაფართოების პოტენციური ნეგატიური შედეგები.

კარამანლისს ეშინოდა, რომ თანამეგობრობას შეიძლება საბერძნეთთან მოლაპარაკებები და მისი შედეგები პორტუგალიისა და ესპანეთის აპლიკაციებთან ერთად განეხილა. ამიტომ მან ლიდერებს შეახსენა 1961 წლის ასოციაციის ხელშეკრულება, რომელის მიხედვითაც, საბერძნეთის მიღება 1984 წლისთვის უნდა მომხდარიყო. ასევე, საფრანგეთის პრეზიდენტ ჟისკარ დ'ესტენზე დამატებითი ზეგავლენისთვის, კარამანლისმა გამოიყენა თავისი კავშირები იმ პერიოდიდან, როდესაც იგი, საბერძნეთში დიქტატორული რეჟიმის დროს, პარიზში დევნილობაში ცხოვრობდა და საფრანგეთის მხრიდან ყველა ბარიერი წარმატებით მოხსნა.

შედეგად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარიერების არარსებობის გამო, მოლაპარაკებები სწრაფად წარიმართა და 1979 წლის მაისში, ათენში გაფორმებული ხელშეკრულებით დასრულდა. 1981 წლის იანვარში საბერძნეთი ევროგაერთიანების წევრი გახდა.

პორტუგალიის და ესპანეთის გაწევრიება

1983 წლის ივნისში, პორტუგალიის ხელისუფლებაში მოვიდა ენერგიული მარიო სოარეში. მისდამი პოზიტიური დამოკიდებულება განსაკუთრებით მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც სოარეშის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიაღწია შეთანხმებას ქვეყნის საკმაოდ მოცულობითი საგარეო ვალების შემცირებასა და ეკონომიკის რესტრუქტურირების შესახებ. 1983 წელსვე, იგი ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, რა დროსაც გაფორმდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება და მან კიდევ უფრო გაიმყარა ავტორიტეტი, რის გამოც გაწევრების შესახებ მოლაპარაკებები სწრაფად წარიმართა. მიუხედავად ამისა, პორტუგალიის აპლიკაციის ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესპანეთთან მოლაპარაკებების შედეგზე.

პორტუგალიის მსგავსად, ესპანეთშიც სოციალისტებმა გაიმარჯვეს და 1982 წელს პრემიერ-მინისტრი გახდა ფელიპე გონსალესი. როგორც სოარეშმა, მანაც სამუშაო ვიზიტებით მოიარა თანამეგობრობის დედაქალაქები და ლიდერების სიმპათიები დაიმსახურა. ევროგაერთიანებაში წევრობის სანაცვლოდ, მან პოლიტიკურად მტკივნეული, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა. შედეგად, მოლაპარაკებები საკმაოდ წარმატებულად წარიმართა, თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი, განსაკუთრებით – სოფლის მეურნეობა. 1983 წლის ოქტომბერში, ერთმანეთს შეხვდნენ ევროპული თანამეგობრობის ხმელთაშუაზღვისპირეთის და აპლიკანტი ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი) ლიდერები (ყველა სოციალისტი იყო) და სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწიეს: ამ შეთანხმების საფუძველზე, ლუქსემბურგში ორი დღის შემდეგ გამართულ მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრებმა მოილაპარაკეს ევროგაერთიანების ხილის, ბოსტნეულისა და ზეთისხილის ბაზრების ორგანიზების წესებზე. ამან კი საფუძველი შეუქმნა 1984 წლის დეკემბრის დუბლინის ევროპული საბჭოს შეთანხმებას სოფლის მეურნეობის საკითხებზე და ფონტენბლოს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ პორტუგალია და ესპანეთი 1986 წლის იანვარში გახდებოდნენ თანამეგობრობის წევრები.

საბოლოოდ, პორტუგალიასთან და ესპანეთთან მოლაპარაკებები, რატიფიკაციის პროცესთან ერთად, რვა წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა და ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გზა ევროგაერთიანების წევრობისკენ ხანგრძლივი და ყველა მხარისთვის რთული იყო. ახალი გაფართოება ისეთივე გამოწვევებით იყო სავსე, როგორც 1973 წელს. ამასთან, პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრებამ თანამეგობრობაში შემოიტანა ახალი – ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულება და გააძლიერა საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ახალი, აქამდე ნაკლებად საინტერესო ფლანგი – ლათინური ამერიკა.

გაფართოების ეპოქა

ცივი ომის დასრულების შემდეგ, სამი კატეგორიის ქვეყნები შეეცადნენ ევროკავშირში გაწევრებას: (1) ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც აღარ იყვნენ შეზღუდულები ცივი ომით (ავსტრია, ფინეთი, მალტა და შვედეთი); (2) არანეიტრალური და ზოგიერთ შემთხვევაში, ნატო-ს წევრი ქვეყნებიც, რომლებმაც შეიტანეს ან გააააქტიურეს თავიანთი აპლიკაციები რადიკალურად ცვალებადი საერთაშორისო მდგომარეობის პარალელურად (კვიპროსი, ნორვეგია და თურქეთი); (3) ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები (ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვენია).

თითოეული ქვეყანა განსხვავებული იყო ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც არსებობდა გარკვეული მსგავსებები იმისთვის, რომ ევროკავშირს მათთან მიმართებაში ერთიანი მიდგომა ჰქონოდა. მაგალითად, ავსტრია და სკანდინავიის ქვეყნები შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოიყოს: ისინი ეკონომიკურად კარგად იყვნენ განვითარებული, პოლიტიკური სტაბილურობით ხასიათდებოდნენ და გათვითცნობიერებული ჰქონდათ ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებები და პროცედურები.

კიდევ ერთი განსხვავებული ჯგუფი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: ეკონომიკურად განუვითარებელი, პოლიტიკურად არასტაბილური და ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებისა და პროცედურებისგან შორს მდგარი.

განსხვავებული ჯგუფი იყო კვიპროსი და თურქეთი. ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სხვაობების მიუხედავად, მათი საკითხი გადაჯაჭვული იყო თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციის და საბერძნეთის მიერ კვიპროსის გაწევრების აქტიური მხარდაჭერის გამო.

დაბოლოს, მალტა, ხმელთაშუაზღვისპირეთის მიკროსახელმწიფო – უნიკალურ მაგალითს წარმოადგენდა.

ავსტრიული და სკანდინავიური გაფართოება

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ავსტრიამ, ნორვეგიამ, შვედეთმა და ფინეთმა ევროკავშირში გაწევრება მოინდომეს. გაფართოების წინა რაუნდებთან შედარებით, ეს პროცესი უფრო იოლად წარიმართა. დღის წესრიგის ბევრი საკითხი უკვე იყო ევროპული ეკონომიკური სივრცის ნაწილი. შესაბამისად, 1993 წელს დაწყებული მოლაპარაკებები მალევე – 1994 წელს გაწევრების ხელშეკრულებებით დასრულდა და რეფერენდუმების საფუძველზე, 1995 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. ნორვეგიის მოსახლეობის უმრავლესობამ კი, მეორედ განაცხადა უარი ორგანიზაციის წევრობაზე.

ევროკავშირისთვის ეს იყო ყველაზე მარტივი და ნაკლებად პრობლემური გაფართოება. სამივე ახალი სახელმწიფო დემოგრაფიულად პატარა და ეკონომიკურად ძლიერი იყო. გაფართოების ამ ტალღამ ევროკავშირში გააძლიერა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობა და გამჭვირვალობა, გაზარდა სოციალური და გარემოს დაცვის სტანდარტები. ამასთან, ახალი წევრების მოთხოვნით, დაიწყო „ჩრდილოეთის მიმართულების“ განვითარება, მათ შორის – რუსეთთან პოლიტიკის ჩამოყალიბება და ბალტიის ზღვაში მათი მეზობლების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) სწრაფი გაწევრების მხარდაჭერა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება



ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიზაცია და ევროკავშირში გაწევრება პარალელური, მაგრამ გადაჯაჭვული და თავსებადი პროცესები იყო. ევროკავშირში სრული წევრობა აღიქმებოდა როგორც გარდამავალი პერიოდის დასასრული და დემოკრატიული კონსოლიდაციის დადასტურება.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება რაღაცით ჰგავდა 1980-იან წლებში ხმელთაშუაზღვისპირეთის გაფართოების პროცესს – ახალი დემოკრატიისა და ეკონომიკურად განვითარებად საბერძნეთს, პორტუგალიასა და ესპანეთს ათი წელი დასჭირდათ ევროგაერთიანების წევრობის მისაღწევად. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იმედოვნებდნენ, რომ დაახლოებით ამდენივე დრო დასჭირდებოდა მათი გაწევრების პროცესსაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ხმელთაშუაზღვისპირეთის მაშინდელ კანდიდატებზე კიდევ უფრო ღარიბები იყვნენ, კიდევ უფრო სუსტი ადმინისტრაციული სტრუქტურები გააჩნდათ, და რომ ევროკავშირის წესები და რეგულაციები ახლა მეტი იყო, ვიდრე ათწლეულის წინათ.

ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ გაფართოებით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის განმავლობაში მაქსიმალურად მხარს უჭერდნენ ამ პროცესს. ევროკომისია მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა: აწვდიდა ინფორმაციას, ამზადებდა ანგარიშებს და წარმოადგენდა ნეიტრალურ არბიტრს. ევროპარლამენტს კიდევ უფრო შეზღუდული ჰქონდა ფუნქციები ამ სფეროში და ძირითადად, მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა.

1993 წლის ივნისში, ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენში განაცხადა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათი სურვილის შემთხვევაში, გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ამასთან, მომავალი წევრი ქვეყნებისთვის

ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა კომისიის მიერ შემუშავებული გაწევრების კრიტერიუმები, რომელსაც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ ეწოდა (კოპენჰაგენის კრიტერიუმების ჩამონათვალი იხილეთ 87-ე გვერდზე).

1994-1996 წლებში, ასოციაციის ხელშეკრულებების ძალაში შესვლის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გაწევრების აპლიკაციები გააააქტიურეს. იმ პერიოდისთვის ევროკავშირიც და აპლიკანტი ქვეყნებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ წინ მძიმე პერიოდი ელოდათ. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა ადმინისტრაციულად, ეკონომიკურად და გარემოს დაცვის კუთხით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რეგიონში კვლავ მძაფრად ებრძოდნენ კომუნისტების მიერ ათწლეულების მანძილზე არასწორი მართვის დანატოვარს. ყველა მათგანი ცდილობდა კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე, დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლას. რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის გრძელვადიანი პროცესი მოიცავდა სამართლებრივ, საბანკო და ბიზნეს რეფორმებს; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების პრივატიზაციას; სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის მოდერნიზაციას; სოციალური კეთილდღეობის არსებით რეფორმას; გარემოს დაცვის პირობებისა და სტანდარტების რადიკალურ გაუმჯობესებას; ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას; შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებას. ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივა კარგი მოტივატორი იყო აპლიკანტი ქვეყნებისთვის, რათა მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რეფორმები გაეტარებინათ.

ევროკავშირმა პირველ ხუთ ქვეყანასთან მოლაპარაკებები 1998 წლის მარტში დაიწყო. პირველი ეტაპი მოიცავდა თითოეული კანდიდატი ქვეყნის პროგრესის ძალიან მოკლე განხილვას – „სკრინინგის პროცესს“. არსებითი მოლაპარაკებები კი, 1998 წლის ნოემბერში დაიწყო – ვრცელი დღის წესრიგი წარმოდგენილი იყო ოცდაათამდე „თავში“ (ანუ თემატურ პაკეტებში, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებსა და პროგრამებს ფარავს). მოლაპარაკებებისას, პირველ რიგში, ყველაზე ნაკლებად სადავო თავები დახურეს. მოლაპარაკებების მიმდინარეობის კვალდაკვალ კი, მეტი და მეტი თავი იხურებოდა (ანუ ხდებოდა მათზე შეთანხმება).

1999 წლის ოქტომბერში, ევროკომისიამ უკვე დანარჩენ ხუთ აპლიკანტთან მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია გამოაქვეყნა. ანალიზი ცხადყოფდა, რომ ეს

ქვეყნები ამას იმსახურებდნენ, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილებაზე უდავოდ იქონია გავლენა კანდიდატი ქვეყნების და უფრო მეტად, ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლამ, რომლებიც, ძირითადად სტრატეგიული მიზეზებიდან გამომდინარე, აქტიურად უჭერდნენ მხარს გაფართოების სრულ, ერთიან რაუნდს. გაფართოების პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო 1990-იანი წლების განმავლობაში ბალკანეთში არსებული არასტაბილურობაც და განსაკუთრებით, 1999 წლის კოსოვოს ომი. ამის ფონზე დარჩენილმა ხუთმა კანდიდატმა მცდელობები არ დააკლო გაწევრების კრიტერიუმების შესრულებას. თუმცა, რუმინეთი და ბულგარეთი თავადვე აღიარებდნენ, რომ მათ ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი.

საბოლოოდ, 2001 წლის ივნისში, გოტებორგის სამიტზე, ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ის ქვეყანა, რომელიც 2002 წლის დეკემბრისთვის წარმატებით დაასრულებდა მოლაპარაკებებს, 2004 წლის დასაწყისში გახდებოდა ევროკავშირის წევრი.

2007-2013 წლებში, სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხის მოგვარების შემდეგ, რომელიც ევროპულმა საბჭომ 2002 წლის ოქტომბერში ბრიუსელში შეათანხმა, ევროკავშირის მხრიდან გაწევრების მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების გზაზე ყველა დაბრკოლება მოიხსნა. მხარეებმა მოლაპარაკებები 2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის სამიტზე დაასრულეს. ამით დასრულდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გაფართოების ციკლი „კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე“ – 1993 წლის ივნისში ევროპული საბჭოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიღებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ, ევროპული საბჭოს მიერვე გაწევრების ხელშეკრულების დამტკიცებამდე.

კვიპროსის და მალტას გაწევრება

ევროკავშირი გაწევრების ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებებს კვიპროსთან და მალტასთანაც აწარმოებდა. კვიპროსმა 1990 წლის ივლისში შეიტანა განაცხადი, კომისიამ კი პოზიტიური მოსაზრება 1993 წლის ივნისში დააფიქსირა. კვიპროსი გაყოფილი იყო თურქეთის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთად და ბერძენი კვიპროსელების სამხრეთად, რის გამოც კვიპროსის აპლიკაცია არცთუ ისე მიმზიდველი

იყო. ამის მიუხედავად, ევროკავშირი კვიპროსის მუდმივად უგულვებელყოფას ვერ შეძლებდა. 1997 წლის დეკემბერში, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანასთან ერთად, მოლაპარაკებები დაიწყო კვიპროსთანაც (ე. წ. 5+1 ფორმატი).

2002 წლის დეკემბრის კოპენჰაგენის სამიტზე, ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებები გაიმართა კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით. წევრ ქვეყნებს არ სურდათ გაყოფილი კვიპროსის ევროკავშირში მიღება. საბერძნეთი კი იმუქრებოდა, რომ დაბლოკავდა მთლიან გაფართოებას, თუ ამ პროცესში კვიპროსიც არ იქნებოდა ჩართული. არსებობდა იმედი, რომ გაწევრებისკენ სწრაფვა კვიპროსს გაერთიანებისკენ უბიძგებდა, რასაც კვიპროსის თურქული ნაწილიც ეთანხმებოდა. თუმცა, 2004 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, კვიპროსის ბერძნულმა მოსახლეობამ უარი თქვა თურქულ ნაწილთან მიერთებაზე. შედეგად, ევროკავშირის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციაში გაყოფილი კვიპროსის მიღება მაინც განხორციელდა. ევროკავშირი ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობას არ აღიარებს შესაბამისად, სამართლებრივად მთლიანი კუნძული ითვლება ევროკავშირის წევრად. თუმცა, კვიპროსის რესპუბლიკა დე ფაქტო კონტროლს ჩრდილოეთ ნაწილზე ვერ ახორციელებს.

1990 წელს, მალტის მმართველმა ნაციონალისტურმა პარტიამ ევროკავშირში გაწევრების აპლიკაცია შეიტანა. 1999 წლის თებერვალში, კომისიამ თავის ანგარიშში განაცხადა, რომ მალტას ჰქონდა შესაძლებლობა შეერთებოდა გაწევრების მოლაპარაკებებს, რომლებიც უკვე მიმდინარეობდა 5+1-ის ფორმატში. მართლაც, მალტამ მარტივად მოახერხა მოლაპარაკებების 2002 წლის ბოლოსთვის დასრულება და 2004 წელს, დანარჩენ ცხრა ქვეყანასთან ერთად (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, სლოვენია და კვიპროსი) ევროკავშირის წევრი გახდა.

ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრება

რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრების პროცესი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად მიმდინარეობდა. ამის მიუხედავად, რო-

გორც მოსალოდნელი იყო, მათ ვერ შეძლეს 2004 წლისთვის, ათ სხვა ქვეყანასთან ერთად ევროკავშირში შესვლა. ამის ძირითადი მიზეზები იყო ფართოდ გავრცელებული კორუფცია, სუსტი ადმინისტრაციული შესაძლებლობები და სასამართლოს საეჭვო დამოუკიდებლობა. ამ პირობებში შუალედური გამოსავალი წევრობის რამდენიმე წლით გადადება იყო.

ალბათ „გარდაუვალობის“ განწყობით, 2004 წლის დეკემბერში, ბრიუსელში ევროპულმა საბჭომ მაინც გადაწყვიტა ორივე ქვეყანასთან გაწევრების მოლაპარაკებების დასრულება. ამის შესახებ მოგვიანებით, 2006 წლის სექტემბერში ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ბულგარეთსა და რუმინეთს არ დაუწესდებოდათ პირდაპირი შეზღუდვები, მაგრამ ცალკეულ სფეროებში (მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, კორუფციის აღმოფხვრა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა) პროგრესს კომისია მკაცრ მონიტორინგს გაუწევდა.

გაწევრების ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია, რომელიც 2005 წლის აპრილში, ლუქსემბურგში გაიმართა, ნაკლებად პომპეზური იყო, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემთხვევაში. შედეგად, ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირს 2007 წელს შეუერთდნენ.

ხორვატიის გაწევრება

ევროკავშირში გაწევრება ხორვატიამ მხოლოდ 2013 წლის 1 ივლისს შეძლო. ასეთი დაგვიანების რამდენიმე მიზეზი არსებობდა: ავტორიტარული, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობის გარდა, მათ შორის იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ერი-სახელმწიფოს მშენებლობის რთული პროცესი, პოსტკონფლიქტური მემკვიდრეობა და საკამათოდ ქცეული პოლიტიკურ საკითხები. ამან შეაფერხა დემოკრატიზაცია და ნეგატიური გავლენა იქონია გარდამავალი პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებების ქმედებებზე, ერი-სახელმწიფოს საკონსტიტუციო მოდელსა და პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე.

ხორვატიის მხრიდან ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჰარმონიზაციისა და რეფორმების გრძელი პერიოდი და ქვეყნის მიერ წინა გაფართოებებთან შედარებით მაღალი კრიტერიუმების დაკმაყოფილება ასახავდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან იმ სკეპტიკურ განწყობასაც, რაც თან ახლდა დამატებით გაფართოებას. რუმინეთისა და ბულგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ევროკავშირი განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებოდა არასათანადო მომზადების გარეშე პოტენციური კანდიდატების მიღებას. აგრეთვე, ამას ემატებოდა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, ევროზონის კრიზისი და სამხრეთულ ქვეყნებში (საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია) არსებული სერიოზული პრობლემები.

სწორედ ამ რთულ პირობებსა და კონტექსტში მოუწია ხორვატიას ევროკავშირში გაწევრებისთვის მომზადება და მოლაპარაკებების წარმოება. ქვეყანამ ოფიციალური განაცხადი 2003 წელს გააკეთა, ევროპული საბჭოსგან კი, კანდიდატი ქვეყნის სტატუსი 2004 წლის შუა პერიოდში მიიღო. ე. წ. სკრინინგის პროცესთან ერთად, გაწევრების მოლაპარაკებები 2005 წლის ოქტომბერში დაიწყო.

ხორვატიის გაწევრების პროცესი მოიცავდა მართლმსაჯულების რეფორმებსა და ადამიანის უფლებების პატივისცემის დანერგვას. აგრეთვე, ხორვატია იძულებული გახდა, ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისთვის გადაეცა თავისი რამდენიმე მოქალაქე. ხორვატიის გაწევრების პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა ევროკავშირის წევრ სლოვენიასთან პირანის ყურის მონაკვეთზე არსებული სასაზღვრო დავის გამო. ამ მიზეზით, 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის ოქტომბრამდე, სლოვენია ბლოკავდა ხორვატიის წევრად მიღებას. საბოლოოდ, 2010 წლის 6 ივნისს, სლოვენიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ სასაზღვრო დავაზე გაეროს არბიტრების გადაწყვეტილებას, რამაც მოხსნა ევროკავშირში ხორვატიის წევრობის ყოველგვარი დაბრკოლება.

ხორვატიამ გაწევრების მოლაპარაკებები 2011 წლის 30 ივნისს დაასრულა, ხოლო 2011 წლის 9 დეკემბერს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. რატიფიკაციის პროცესი ევროკავშირში 2013 წლის 21 ივნისს დასრულდა, 2013 წლის 1-ელ ივლისს კი, ხორვატია ოფიციალურად გახდა ევროკავშირის 28-ე წევრი.

თავი III
ევროკავშირის ინსტიტუტები

თავდაპირველად, თითოეულ ევროპულ გაერთიანებას (ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური კავშირი და ევრატომი) საკუთარი კომისია და საბჭო ჰქონდა. 1965 წელს ხელმოწერილი ე. წ. შერწყმის ხელშეკრულებით (Merger Treaty) ეს ორგანოები გაერთიანდნენ და სამივე გაერთიანებისთვის საერთო კომისია და საბჭო არსებობდა. პარლამენტი, მართლმსაჯულების სასამართლო და აუდიტორთა სასამართლო კი, შექმნის დღიდან საერთო ორგანოები იყვნენ.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია:

- ევროპის პარლამენტი
- ევროკავშირის საბჭო
- ევროპული საბჭო
- ევროკავშირის საბჭო
- ევროკომისია
- ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო
- აუდიტორთა სასამართლო
- ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროპარლამენტი
The European Parliament

751 წევრი

ახორციელებს კონტროლს, გადის კონსულტაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით

ევროპული საბჭო
The European Council

შედგება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის მეთაურისა და ევროკომისიის პრეზიდენტისგან – განსაზღვრავენ ევროკავშირის პოლიტიკას

ევროსაბჭოს პრეზიდენტი – ევალება საბჭოს სამუშაოს მომზადება, შეხვედრების წარმართვა და კონსენსუსის მიღწევა

ევროკომისია
The European Commission

შედგება 28 ევროკომისრისგან

ახორციელებს საკანონმდებლო წინადადებების ინიცირებას სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, ადგენს ბიუჯეტს

ევროკავშირის საბჭო
The Council of the European Union

შედგება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის დარგობრივი მინისტრებისგან

იღებს გადაწყვეტილებებს სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო
The European Court of Justice

ახორციელებს ევროკავშირის კანონების ინტერპრეტირებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ესა თუ ის კანონი ერთნაირად იქნას გამოყენებული ყველა წევრ ქვეყანაში.

ევროპის ცენტრალური ბანკი
The European Central Bank

თანამშრომლობს ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან. ერთად ისინი ქმნიან ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას.

ევროპის აუდიტორთა სასამართლო
The European Court of Auditors

ევროპის აუდიტორთა სასამართლო ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია, გაუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე.

ევროპის პარლამენტი (THE EUROPEAN PARLIAMENT)

ევროპარლამენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ორგანოა, რომლის არჩევაც პირდაპირი წესით (1979 წლიდან) ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხდება. პარლამენტის წევრები ევროკავშირის მოქალაქეების ინტერესებს წარმოადგენენ. დემოკრატიის ორი ფორმიდან – მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი – პარლამენტი წარმომადგენლობითს მიეკუთვნება. ლისაბონის ხელშეკრულებით შესაძლებელი გახდა თავისი არსებობის მანძილზე, ევროკავშირის და მისი მოქალაქეების უპრეცედენტო დაახლოება, რაც წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერებით მოხერხდა. მონაწილეობითი დემოკრატიის გაზრდის ნათელი მაგალითია ევროკავშირის ხელშეკრულების 11.4 მუხლი ევროკავშირის მოქალაქეთა ინიციატივის შესახებ, რაც მოიაზრებს მილიონი მოქალაქის მიმართვის საფუძველზე ევროკომისიის მიერ შესაბამისი კანონპროექტის წარდგენის შესაძლებლობას. წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერების თვალსაზრისით, ევროპარლამენტის, ევროკომისიის და ევროკავშირის საბჭოს ინსტიტუციურ სამკუთხედში ყველაზე მეტად ევროპარლამენტის უფლებამოსილება გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტს ძალაუფლება ყოველი ხელშეკრულების შედეგად ეზრდება. აქედან გამომდინარე, საკონსულტაციო ხასიათის მქონე ორგანოდან ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინსტიტუტად იქცა.

ევროპარლამენტის ძირითადი ფუნქციებია: 1. ევროკავშირის საბჭოსთან ერთად კანონების განხილვა და დამტკიცება; 2. ევროკავშირის საბჭოსთან ერთად ბიუჯეტის განხილვა და მიღება; 3. ევროკავშირის ინსტიტუტების (განსაკუთრებით, კომისიის) მუშაობის შემოწმება, ამ პროცესში დემოკრატიის ხარისხის გაზომვა; 4. ევროპის საბჭოსთან ერთად ევროკომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

ევროპარლამენტის როლი – ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გარდა, საგრძნობლად გაიზარდა პარლამენტის უფლებამოსილება ევროკომისიასთან მიმარ-

თებაში: კომისიის ახალი შემადგენლობის დასამტკიცებლად, აუცილებელია პარლამენტის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტისათვის მიუღებელია კომისიის რომელიმე კანდიდატი, მათ შეუძლიათ უარი თქვან დანარჩენი წევრების დანიშვნაზეც. ამას გარდა, პარლამენტს უფლება აქვს დაითხოვოს ევროკომისიის სრული შემადგენლობა, პრეზიდენტის ჩათვლით. საპარლამენტო კომიტეტები ასევე, რეგულარულად ამოწმებენ კომისიის ანგარიშებს, ახორციელებენ კომისრების დაკითხვას. ამას გარდა, ევროპარლამენტს ევალება ევროპის საბჭოს სამიტებისთვის დღის წესრიგის თემებზე აზრის გამოთქმა, თუმცა ამ შემთხვევაში, მათი გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

პარლამენტის დემოკრატიული კონტროლის ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ ამტკიცებს ევროკომისიის წევრებს და შეუძლია მისთვის უნდობლობის გამოცხადება; შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომიტეტები, ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტების გამოკვლევის მიზნით; მართლმსაჯულების სასამართლოში სარჩელის შეტანა ევროკავშირის სხვა ორგანობის წინააღმდეგ და სხვა. გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები ანგარიშვალდებულნი არიან ევროპარლამენტის წინაშე.

პარლამენტი და საბჭო ასევე იზიარებენ საერთო უფლებამოსილებას ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის დასამტკიცებლად.

საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებისას, არსებობს ორი ძირითადი პროცედურა:

1. ორდინარული პროცედურა, რომელსაც ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე თანაგადაწყვეტილების პროცედურას უწოდებდნენ და რომლის თანახმადაც, ევროპარლამენტი საკანონმდებლო ფუნქციას ევროკავშირის საბჭოსთან იზიარებს – ევროპარლამენტი საკანონმდებლო აქტებსა და გადაწყვეტილებებს საბჭოსთან ერთობლივად მიიღებს;
2. სპეციალური პროცედურები: საკონსულტაციო პროცედურა, როდესაც ევროპარლამენტს მხოლოდ პოზიციის გამოხატვა შეუძლია და თანხმობის პროცედურა, როდესაც აქტის მიღებისას საჭიროა პარლამენტის თანხმობა. სპეციალური პროცედურები ხშირად არ გამოიყენება.

საგარეო პოლიტიკის სფეროში, ევროპარლამენტის კომპეტენციაში შედის გარკვეული საერთაშორისო შეთანხმების დადებისას, ასევე ახალი წევრი ქვეყნის მიღებისას – თანხმობა. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მიიღება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობით, თუმცა კომპეტენციის ცალკეულ ნორმებში განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. მაგალითად, თანაგადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში, გარკვეულ ეტაპებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა.

ევროპარლამენტს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, თუმცა მას შეუძლია, ევროკომისიას კონკრეტულ საკითხზე კანონმდებლობის ინიცირებისკენ მოუწოდოს.

ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, 2014 წლიდან ევროპარლამენტის შემადგენლობაში შედის 750 ევროპარლამენტარი და მისი პრეზიდენტი, სულ 751 წევრი.

პარლამენტის შემადგენლობა – ევროპარლამენტში არსებობს პრეზიდენტის პოზიცია, რომელიც წარმოადგენს ევროპარლამეტს ევროკავშირის შიგნით

და ასევე, საერთაშორისო დონეზე. ევროპარლამენტის წევრები გაერთიანებულია არა ეროვნების, არამედ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. პარლამენტში სულ ცხრა პარტიაა წარმოდგენილი: 1. ევროპის სახალხო პარტია (EPP); 2. სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსი (S&D); 3. ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE); 4. მწვანეების ევროპული თავისუფალი ალიანსი (Greens-EFA); 5. ევროპის კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR); 6. ევროპის მემარცხენეების და სკანდინავიის მწვანეების გაერთიანება (GUE-NGL); 7. ევროპა თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის (EFD); 8. ევროპა ერებისა და თავისუფლებისათვის; 9. დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებიც არც ერთ საპარლამენტო ფრაქციაში არ არის გაერთიანებული. 2014 წლის არჩევნების შედეგად, ევროპარლამენტის შემადგენლობა პოლიტიკური ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



ევროპარლამენტში წარმომადგენლობის განსაზღვრა ხდება დეგრესიული პრინციპით, როგორც ქვეყნების თანასწორობის, ისე მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ქვეყნების მიხედვით ხმების გადანაწილების კონკრეტული ფორმულა. დეგრესიული პრინციპის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დიდი სახელმწიფოები არაპროპორციულად არიან პარლამენტში წარმოდგენილნი, პატარა სახელმწიფოებთან შედარებით. მაგალითად, ყველაზე მცირერიცხოვან მალტაში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 0,4 მლნ ადამიანს, ევროპარლამენტში იგი წარმოდგენილია 6 ევროპარლა-

მენტარით, რაც ნიშნავს პროპორციულად 66 ათას ადამიანზე 1 ადგილს პარლამენტში, მაშინ როდესაც გერმანია, რომლის მოსახლეობაც 82.5 მილიონს შეადგენს, ევროპარლამენტში 96 დეპუტატით არის წარმოდგენილი, რაც პროპორციულად 859 ათას ადამიანზე 1 ადგილის ტოლია. აღნიშნული კვოტები მოლაპარაკებების საფუძველზე დადგინდა.

ევროპარლამენტში ადგილების გადანაწილება წევრი ქვეყნების მიხედვით:

ავსტრია	18	მალტა	6
ბელგია	21	ნიდერლანდები	26
ბულგარეთი	17	პოლონეთი	51
გერმანია	96	პორტუგალია	21
დანია	13	რუმინეთი	32
დიდი ბრიტანეთი	73	საბერძნეთი	21
ესპანეთი	54	საფრანგეთი	74
ესტონეთი	6	სლოვაკეთი	13
ირლანდია	11	სლოვენია	8
იტალია	73	უნგრეთი	21
კვიპროსი	6	ფინეთი	13
ლატვია	8	ხორვატია	11
ლიტვა	11	შვედეთი	20
ლუქსემბურგი	6	ჩეხეთი	21

ევროპარლამენტის წევრები დამოუკიდებლები არიან გადაწყვეტილების მიღებისას და არ ექვემდებარებიან წევრი სახელმწიფოების მითითებებს. ისინი ქმნიან ფრაქციებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ფრაქციის შექმნისათვის საჭიროა 25 პარლამენტარის თანხმობა, რომლებიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მინიმუმ ერთ მეხუთედს უნდა წარმოადგენდნენ.

კვორუმი დგება იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის მინიმუმ ერთი მესამედი. პარლამენტის მთავარი სხდომები იმართება სტრასბურ-

გში (საფრანგეთი), ხოლო დანარჩენი – ბრიუსელში (ბელგია). პარლამენტი მუშაობს კომიტეტებისა და პლენარული სესიების მეშვეობით.

თითოეული წევრი სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე ეროვნული კანონმდებლობით არეგულირებს ევროპული არჩევნების გამართვის საკითხს.

Council of the
European Union

ევროკავშირის საბჭო
(THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION)

ევროკავშირის საბჭო („ევროპის კავშირის საბჭო“ შემოკლებით, საბჭო) ევროკავშირის ყველა ქვეყნის ეროვნულ მთავრობათა მინისტრებისგან შედგება და იგი გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ინსტიტუტს წარმოადგენს. საბჭოს ყოველ შეხვედრას ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოდან განსახილველ საკითხზე პასუხისმგებელი მინისტრი ესწრება, ისინი კანონების მიღების და პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით იკრიბებიან. ევროკავშირის საბჭოს აქვს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი უფლებამოსილებები. ევროკავშირის საბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებების ძირითადი მიმღები ორგანოა. იგი იზიარებს პასუხისმგებლობას ევროპულ პარლამენტთან ევროკავშირის კანონების მიღებაზე.

გარდა იმისა, რომ საბჭო ერთ-ერთი მთავარი საკანონმდებლო ორგანოა, მის ფუნქციაში ასევე, შედის პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინაცია. ამასთან, იგი კოორდინაციას უწევს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფართო ეკონომიკურ პოლიტიკას; საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში საბჭო შეიმუშავებს საერთო პოზიციებს და იღებს გადაწყვეტილებებს ერთობლივი ღონისძიებების შესახებ; ხელს აწერს შეთანხმებებს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის; შეიმუშავებს ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას; კოორდინაციას უწევს წევრი ქვეყნების სასამართლოებისა და პოლიციის თანამშრომლობას.

ევროკავშირის საბჭო, ევროპულ პარლამენტთან ერთად, ამტკიცებს ევროკავშირის ბიუჯეტს, რომელსაც მას წარუდგენს ევროკომისია; ასევე, ამტკიცებს ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს და სხვა ორგანოების წევრებს. საბჭოს აქვს ევროკომისიისა და ევროპარლამენტის გაკონტროლების მექანიზმი.

ლისაბონის ხელშეკრულებით, მეტი ყურადღება ეთმობა ე. წ. სამეულის თავმჯდომარეობას, რომლის ფარგლებშიც, სამი შემდგომი თავმჯდომარე სახელმწიფო ერთად მუშაობს. ქვეყნების კონცენტრირებისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სამეულმა წარადგინოს 18-თვიანი პროგრამა. გარდა ამისა, სამეულის ყველა წევრი ერთად წარმართავს საბჭოს სხდომებს (საგარეო საქმეთა საბჭოს გამოკლებით). დანარჩენი 2 თანათავმჯდომარე ქვეყანა მხარს უჭერს იმ მომენტისათვის თავმჯდომარე ქვეყანას საერთო პროგრამის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ცალკეულ თავმჯდომარე ქვეყნებს კვლავინდებურად შეუძლიათ თავიანთი პრიორიტეტების ასახვა თავმჯდომარეობის 6 თვის ვადაში, მაგრამ სამეულმა უნდა გამონახოს საერთო საფუძველი და შეთანხმებას მიაღწიოს 18-თვიანი საერთო სამუშაო ჩარჩოს შესახებ.

იცით თუ არა, რომ...

სხვადასხვა წევრი სახელმწიფო ექვსთვიანი პერიოდით, მონაცვლეობით იკავებს საბჭოს პრეზიდენტობას, თავმჯდომარეობს ზემოაღნიშნულ შეხვედრებს და ადგენს საერთო პოლიტიკურ დღის წესრიგს. აღსანიშნავია, რომ მონაცვლეობითი პრეზიდენტობა არ ეხება საგარეო საქმეთა საბჭოს, რომლის თავმჯდომარეა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

წევრი ქვეყნების მინისტრების დონეზე საბჭო იკრიბება 9 სტრუქტურული ერთეულის სახით (1. ზოგადი საკითხების საბჭო; 2. ეკონომიკისა და ფინანსების საბჭო; 3. მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო; 4. დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა საკითხების საბჭო; 5. კონკურენციის საკითხთა საბჭო; 6. ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საბჭო; 7. გარემოს დაცვის საბჭო; 8. სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭო; 9. ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭო). საბჭო ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულის სახითაც იკრიბება – ეს არის საგარეო საქმეთა საბჭო,

რომელსაც თავმჯდომარეობს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

საკანონმდებლო აქტების მიღების, ზოგადი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისა და ევროკავშირის ბიუჯეტის განხილვის გარდა, ევროკავშირის საბჭო, კოორდინირებას უწევს წევრი ქვეყნების ეროვნულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

გადაწყვეტილების მიღება ხდება ჩვეულებრივი უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით ან ერთხმად. საბჭოში საკითხთა უდიდესი უმრავლესობა მიიღება ხმების კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით, დანარჩენ შემთხვევებში – ერთხმად (მაგალითად, საგარეო პოლიტიკის ან გადასახადების ჰარმონიზაციის საკითხების შემთხვევაში).

იცით თუ არა, რომ...

საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუკი მას მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოთა 55%. მომხრე სახელმწიფოთა რაოდენობა მინიმუმ 15 უნდა იყოს და ამ სახელმწიფოთა მოსახლეობა ევროკავშირის მოსახლეობის 65%-ს უნდა შეადგენდეს. გადაწყვეტილების ბლოკირებისთვის აუცილებელია, მინიმუმ 4 წევრი სახელმწიფო იყოს წინააღმდეგი.

ერთხმად გადაწყვეტილებები მიიღება ევროკავშირის მოქმედების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ, კონკრეტულ შემთხვევებში. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭო კომისიის მიერ წარდგენილ წინადადებაში ცვლილებების შეტანას აპირებს. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ისევე როგორც სისხლის სამართლის საქმეში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისა (პოლიციები) და სასამართლოების თანამშრომლობის ფარგლებში, გადაწყვეტილებები როგორც წესი, ერთხმად მიიღება.

ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, პროცედურულ საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებების მიღება უბრალო უმრავლესობით შეუძლია, რაც გულისხმობს წევრი ქვეყნების ნახევარზე მეტის თანხმობას.

იცით თუ არა, რომ...

ევროპული საბჭო (The Council of the European Union) და ევროპის საბჭო (The Council of Europe) ორ სხვადასხვა ორგანიზაციას წარმოადგენს. ევროპის საბჭო დაარსდა 1949 წელს და ევროპის 47 სახელმწიფოს აერთიანებს. ევროპის საბჭოს მთავარი ფუნქცია ადამიანის უფლებათა გავრცელებაა. ის მდებარეობს სტრასბურგში. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი 1996 წლის 27 აპრილს გახდა.

ევროპული საბჭო (THE EUROPEAN COUNCIL)

ევროპულმა საბჭომ, როგორც ევროკავშირის ლიდერებს შორის დისკუსიისათვის განსაზღვრულმა არაოფიციალურმა ფორუმმა, თავისი საქმიანობა 1974 წელს დაიწყო. საბჭო სწრაფად განვითარდა, ევროკავშირის ყველა სფეროში განსაზღვრა მიზნები და მათ მისაღწევად შესაბამისი ზომები დასახა. 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროპის საბჭოს მიენიჭა ოფიციალური სტატუსი და ფუნქცია, რაც მოიაზრებდა ევროკავშირის განვითარების მიზნით, პოლიტიკური მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრას. გარდა ამისა, ლისაბონის ხელშეკრულებით ის ევროკავშირის მეშვიდე ოფიციალური ინსტიტუტი გახდა. საბჭოს შეხვედრები, ძირითადად, წარმოადგენს სამიტს, სადაც ევროკავშირის ლიდერები იკრიბებიან ფართო პოლიტიკური პრიორიტეტებისა თუ ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ადგენს ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგს, მას არ აქვს საკანონმდებლო ფუნქცია.

შემადგენლობა: ევროპული საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურებისგან, საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტისაგან ერთად. მის მუშაობაში მონაწილეობს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი. ევროპული საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. მას არა აქვს საკანონმდებლო ფუნქციები. ევროპის საბჭო განიხილავს იმ რთულ და სენსიტიურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც უფრო დაბალ დონეზე ვერ მოხერხდა. ევროპის საბჭო აყალიბებს ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას;

■ დონალდ ტუსკი, პოლონელი პოლიტიკოსი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი 2014 წლიდან

ასევე, წარმოადგენს და ამტკიცებს კანდიდატებს გარკვეულ მაღალ თანამდებობებზე ისეთ მნიშვნელოვან დაწესებულებებში, როგორებიცაა: ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროკომისია. ევროპის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება ექვს თვეში ორჯერ, პრეზიდენტის მოწვევით. თუ ვითარება მოითხოვს, ის სპეციალურ სხდომას იწვევს. პრეზიდენტი ორ-ნახევარი წლის ვადით ინიშნება, ერთჯერადი განახლებით (ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად). ევროპის საბჭო, ჩვეულებრივ, ბრიუსელში იკრიბება.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი – ლისაბონის ხელშეკრულებამდე, ევროპულ საბჭოს 6-თვიანი როტაციის პრინციპით თავმჯდომარეობდნენ წევრი ქვეყნების პრემიერ-მინისტრები. 2009 წლის 1 დეკემბრიდან, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ევროკავშირის არენაზე გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ფიგურა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, რომლის მანდატი 2.5 წელიწადია, ერთხელ გაგრძელების შესაძლებლობით. პრეზიდენტის მოვალეობებში შედის ევროპული საბჭოს სამუშაოს მომზადება, შეხვედრების წარმართვა და კონსენსუსის მიღწევა; ასევე, მისი ვალდებულებების ფარგლებშია საერთო საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში სხვა ქვეყნებთან ევროკავშირის სახელით მოქმედება. პრეზიდენტს ირჩევს ევროპული საბჭო, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

გადაწყვეტილებების მიღება ევროპულ საბჭოში – განხილვების დროს გადაწყვეტი-

ლების მიღება ხდება კონსენსუსის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება კონკრეტულ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთსულოვნად ან კვალიფიციური უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღების დროს, საბჭოს და ევროკომისიის პრეზიდენტებს და ასევე, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ხმის მიცემის უფლება არ აქვს.

ევროკომისია (THE EUROPEAN COMMISION)

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს ახალი ევროპული კანონების პროექტებს, რომელსაც წარუდგენს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების გარდა). იგი პრაქტიკაში განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ევროკავშირის ფონდებსა და პროგრამებს – კომისია ამზადებს ევროკავშირის კანონპროექტებს და ყოველდღიურ კოორდინაციას უწევს ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებისა და ფინანსური რესურსების გადანაწილების პროცესს. კომისია აკონტროლებს ევროკავშირის ხელშეკრულებებისა და კანონების შესრულების პროცესს. მას შეუძლია დამრღვევთა მიმართ ზომები მიიღოს და საჭიროების შემთხვევაში, ევროპის სასამართლოსაც მიმართოს.

შემადგენლობა – ევროკომისია წარმოადგენს 28-წევრიან კომისართა კოლეგიას, რომელთა შორის 1 პრეზიდენტი, 7 ვიცეპრეზიდენტი და 20 კომისარია. ევროკომისიის წევრებს, ე. წ. კომისრებს ხუთი წლის ვადით ირჩევენ. კომისიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თითოეულ კომისარს პასუხისმგებლობა ეკისრება კონკრეტულ პოლიტიკურ სფეროზე. ევროკომისიის წევრები, ისევე, როგორც პრეზიდენტი, წარმოადგენენ ევროკავშირის ინტერესებს და, შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა კომისრებზე. ევროკომისია მოქმედებს

კოლეგიალურობის პრინციპით: მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია არა ინდივიდუალური კომისარი, არამედ კომისია სრული შემადგენლობით. ევროკომისიის პრეზიდენტის კანდიდატურას ასახელებს ევროპული საბჭო. ევროკავშირის არსებობის მანძილზე თანდათან გაიზარდა ევროპარლამენტის როლი კომისიასთან მიმართებაში. ლისაბონის ხელშეკრულებით, ევროპარლამენტის არჩევის შემდეგ, ევროპული საბჭოს მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას ირჩევს ევროპარლამენტი ხუთი წლის ვადით. თუ ეს უკანასკნელი უარყოფს კანდიდატურას, ევროპული საბჭო ვალდებულია სხვა პიროვნება დაასახელოს ერთი თვის ვადაში. შემდგომ, არჩეულ პრეზიდენტთან ერთად (მინისტრთა) საბჭო წარადგენს კომისიის დანარჩენ წევრებსაც. ევროპარლამენტის თანხმობაა აუცილებელი როგორც კომისიის პრეზიდენტის, ისე კომისრების და უმაღლესი წარმომადგენლის კანდიდატებთან დაკავშირებით. მხოლოდ ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ შეუძლია ევროპულ საბჭოს კომისიის, როგორც ერთი მთლიანი ორგანოს არჩევა (კვალიფიციური უმრავლესობით). გარდა ამისა, კომისრები თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე, რომელსაც აქვს ექსკლუზიური უფლება, დაითხოვოს კომისია სრული შემადგენლობით. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე, ცალკეული წევრების დათხოვნა შეუძლია ევროკომისიის პრეზიდენტს.

ევროკომისიის ოფისი,
ბრიუსელი, ბელგია

კომისიის მთავარი ოფისი მდებარეობს ბრიუსელსა და ლუქსემბურგში, გარდა ამისა, მას აქვს წარმომადგენლობები ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში და ჰყავს დელეგაციები დედაქალაქებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

COUR DE JUSTICE
DES COMMUNAUTES
EUROPEENNES

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (THE EUROPEAN COURT OF JUSTICE)

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო დაარსდა 1952 წელს და განთავსებულია ლუქსემბურგში. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო შედგება ორი ცალკეული სასამართლოსგან: მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice), ზოგადი სასამართლო (General Court).

სასამართლო ახორციელებს ევროკავშირის კანონების ინტერპრეტირებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ესა თუ ის კანონი ერთნაირად იქნას გამოყენებული ყველა წევრ ქვეყანაში. სასამართლო იხილავს ევროკავშირის მთავრობებსა და ინსტიტუტებს შორის წამოჭრილ დავებსაც. გარდა ამისა, ინდივიდებს, კომპანიებსა და ორგანიზაციებსაც შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებმა დაარღვიეს მათი უფლებები. ყველა წევრ ქვეყანას სასამართლოში ჰყავს ერთი მოსამართლე, შედეგად ამ ინსტიტუტში სულ 28 მოსამართლეა. მოსამართლეებს ეხმარებიან გენერალური ადვოკატები (სულ 11) და მათი მთავარი მოვალეობაა, კომპეტენტური მოსაზრება გამოთქვან წარმოდგენილ საქმეებზე. ისინი ვალდებულნი არიან, თავიანთი უფლებამოსილება განახორციელონ საჯაროდ და მიუკერძოებლად. თითოეული მოსამართლე და გენერალური ადვოკატი ინიშნება ექვსი წლის ვადით (ვადა შეიძლება გაგრძელდეს). მოსამართლეები ირჩევენ პრეზიდენტს 3 წლის ვადით, ასევე გაგრძელების შესაძლებლობით. პრეზიდენტის მოვალეობაში შედის სასამართლოს მუშაობის წარმართვა; გარდა ამისა, სხდომების, ისევე, როგორც საქმეების განხილვების წაყვანა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, ლუქსემბურგი

საქმეთა სიმრავლის გამო ინდივიდების, კომპანიებისა და ორგანიზაციების საჩივრებს, ასევე კონკურენციის სამართალთან დაკავშირებულ საქმეებს იხილავს საერთო სასამართლო, „ევროკავშირის საჯარო სამსახურის ტრიბუნალი" კი აგვარებს ევროკავშირსა და მის თანამშრომლებს შორის წამოჭრილ დავებს. სასამართლოს მიერ განხილულ დავებს შორის შეიძლება გამოიყოს ხუთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა: 1. წინასწარი განხილვის მოთხოვნა, როცა ეროვნული სასამართლოები სთხოვენ ევროკავშირის სასამართლოს კანონის განმარტებას; 2. საჩივარი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების წინააღმდეგ ევროკავშირის კანონების გამოუყენებლობის გამო; 3. საჩივარი ევროკავშირის იმ კანონების გასაუქმებლად, რომლებიც სავარაუდოდ, რომ არღვევენ ევროკავშირის ხელშეკრულებებსა და ფუნდამენტურ უფლებებს; 4. საჩივარი ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო; 5. ინდივიდების, კომპანიებისა და ორგანიზაციების საჩივრები ევროკავშირის გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების წინააღმდეგ.

სასამართლოში საჩივრების განხილვა მიმდინარეობს ორ ეტაპად: წერილობითი და ზეპირი ეტაპები. პირველ რიგში, დავის მონაწილე მხარეებს პროცესზე პასუხისმგებელ მოსამართლესთან შეაქვთ წერილობითი განაცხადი. მოსამართლე აჯამებს ამ განაცხადს და წერს დასკვნას. მეორე ეტაპზე იწყება საქმის ზეპირი მოსმენა. საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, პროცესი შეიძლება გაიმართოს 3, 5, 15 ან ყველა მოსამართლის მონაწილეობით. მოსმენაში მონაწილეობენ გენერალური

ადვოკატები, რომლებიც სვამენ კითხვებს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას საქმესთან დაკავშირებით. განაჩენის გამოტანა ხდება ხმათა უმრავლესობით და იკითხება საჯაროდ.

ევროპის აუდიტორთა სასამართლო (THE EUROPEAN COURT OF AUDITORS)

ევროპის აუდიტორთა სასამართლო ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია გააუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე. სასამართლო შეიქმნა 1975 წელს და მდებარეობს ლუქსემბურგში. აუდიტორთა სასამართლოს ჰყავს დაახლოებით 800 თანამშრომელი, მათ შორის აუდიტორები, თარჯიმნები და ადმინისტრატორები. აუდიტორები დაყოფილნი არიან აუდიტორულ ჯგუფებად. ისინი ამზადებენ ანგარიშებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სასამართლოს ჰყავს თითო წევრი ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან. მათი დანიშვნა ხდება საბჭოს მიერ, ექვსი წლის ვადით. სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან სამი წლის ვადით ირჩევენ პრეზიდენტს. აუდიტორთა სასამართლოს უფლება აქვს, შეამოწმოს ნებისმიერი პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც დაფინანსებას იღებს ევროკავშირისაგან. სასამართლო ხშირად ახორციელებს ადგილზე შემოწმებას. შემოწმების შედეგად მომზადებულ დასკვნებს აუდიტორები წარუდგენენ კომისიას და ევროკავშირის ეროვნულ მთავრობებს. აღსანიშნავია, რომ აუდიტორთა სასამართლოს არა აქვს იურიდიული უფლებამოსილება და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მან ევროპის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისს (The European Anti-Fraud Office – OLAF) უნდა აცნობოს.

სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ევროპის პარლამენტისა და საბჭოსათვის გასული ფინანსური წლის შესახებ ანგარიშის („წლიური

ევროპის აუდიტორთა სასამართლო

ხარჯის“) წარდგენა. აუდიტორთა სასამართლო ასევე ვალდებულია, გამოთქვას თავისი მოსაზრება ევროკავშირის ფინანსურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და თაღლითობასთან ბრძოლის მიმართულებით. იმისათვის, რომ სასამართლომ თავისი მოვალეობა ჯეროვნად შეასრულოს, აუცილებელია ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისაგან სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ამავე დროს მუდმივი კავშირი მათთან.

EUROPEAN CENTRAL BANK

ევროპის ცენტრალური ბანკი (THE EUROPEAN CENTRAL BANK)

ევროპის ცენტრალური ბანკი ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც მდებარეობს ფრანკფურტში (გერმანია). ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. მისი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს: 1. ფა-

სების სტაბილურობა და 2. ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლის გზით შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური სისტემა. ევროპის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან. ერთად ისინი ქმნიან ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას. განსაკუთრებით მჭიდროა ბანკების თანამშრომლობა ე. წ. ევროზონაში, იგულისხმება ის 19 ქვეყანა, სადაც ევრო ოფიციალურ ვალუტადაა გამოცხადებული. აღნიშნული ბანკების კავშირს ეწოდება „ევროსისტემა“. ევროპის ცენტრალური ბანკის უფლებამოსილება განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით: 1. ევროზონისათვის ძირითადი საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და ფულის მიწოდების კონტროლი; 2. ევროზონის უცხოური სავალუტო რეზერვების მართვა და გაცვლითი კურსის ბალანსის შენარჩუნების მიზნით ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; 3. საგადასახადო სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით, ფინანსურ ბაზრებსა და ინსტიტუტებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობა; 4. ევროზონის დანარჩენი ცენტრალურ ბანკების ევროს გამოცემის უფლებით აღჭურვა; 5. ფასების ტენდენციების მონიტორინგი და რისკების შეფასება.

ევროპის ცენტრალური ბანკის შენობა,
ფრანკფურტი, გერმანია

ევროპის ცენტრალური ბანკი შედგება ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენ-ტის, ვიცე-პრეზიდენტისა და 28 წევრი ქვეყნის ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველისაგან. ცენტრალური ბანკი მთლიანად დამოუკიდებელია და არც მას, არც ეროვნულ ცენტრალურ ბანკებს თუ მათ მმართველ ორგანოებს არა აქვთ უფ-ლება, მოითხოვონ ან მიიღონ რეკომენდაციები ევროკავშირის ნებისმიერი სხვა ორგანოსგან. ევროკავშირის ინსტიტუტები და მთავრობები ვალდებულნი არიან პატივი სცენ ამ პრინციპს.

თავი IV
საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (Common Foreign and Security Policy, CFSP) ევროკავშირს აძლევს საშუალებას საერთაშორისო არენაზე იმოქმედოს და ისაუბროს ერთი სუბიექტის სახელით, თუმცა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა მისი წევრი ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის განუყოფელი ნაწილია და ამას თითოეული სახელმწიფო აცნობიერებს. განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ინტერესის, ორიენტაციისა და ტრადიციიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტეგრაცია საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ გარემოებას ემატებოდა ის ფაქტორიც, რომ 1949 წლიდან ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე NATO ზრუნავდა. შესაბამისად, წევრი ქვეყნები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას ვერ ხედავდნენ და ამავდროულად, შიშობდნენ, რომ ევროპული თავდაცვის ახალი სისტემა NATO-ს გაუწევდა კონკურენციას.

1950 წელს, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პლევენმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ერთიანი არმიის და ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნას, თუმცა ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ 1954 წელს, იგი უარყო. აღსანიშნავია, 60-იან წლებში, ასევე ფრანგი პოლიტიკოსისა და დიპლომატის, ქრისტოფერ ფუშეს გეგმა, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებს მოუწოდებდა ახლო პოლიტიკური თანამშრომლობისკენ, თუმცა ამ გეგმამაც კრახი განიცადა.



■ რენე პლევენი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1950-1952 წლებში

ეტიენ დ'ავინიონი, გენიალური პოლიტიკოსი, ევროკომისიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი

მნიშვნელოვანია 1970 წელს წარდგენილი დ'ავინიონის მოხსენება, რომლის საფუძველზე მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაემართა რეგულარული შეხვედრები საგარეო საქმეთა და პოლიტიკური დირექტორების დონეზე. ამ ფორმატის მეშვეობით მოხდა ისეთ საკითხებზე საერთო პოზიციის შემუშავება, რაზეც მანამდე შეთანხმება ვერ ხერხდებოდა (მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციების დაწესება). აღსანიშნავია ისიც, რომ მოხდა შეხვედრების ფორმატის ინსტიტუციონალიზაცია, შესაბამისად, ეს ფორმალურადაც აისახა 1986 წლის ერთიან ეროვნულ აქტში. ამ დროისთვის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადში სულ მცირე, ოთხჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, ევროგაერთიანება მაინც სუსტი იყო საერთო საგარეო პოლიტიკისა და საერთო თავდაცვის პოლიტიკის კუთხით, რაც გამოჩნდა კიდევაც ბალკანეთის ომების დროს.

1980-იანი წლების ბოლოს, ევროპის კონტინენტზე გაჩნდა საჭიროება, რომ ევროკავშირს უფრო აქტიური როლი ეთამაშა საერთაშორისო ურთიერთობებში, გან-

საკუთრებით კი, ცივი ომის დასრულებისა და ევროპის კონტინენტზე ახალი რეალობის წარმოქმნის შემდეგ.

1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებისას, ევროგაერთიანების ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ CFSP ევროკავშირის 3 სვეტიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. მაასტრიხტის ხელშეკრულება განმარტავდა, რომ „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უსაფრთხოებას, მათ შორის, საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შესაძლოა, დროთა განმავლობაში, საერთო თავდაცვამდე მიგვიყვანოს“. ეს ფორმულირება, ფაქტია, რომ მომავალში არ გამორიცხავდა საერთო თავდაცვის შექმნის აუცილებლობას.

CFSP-ის უკეთ დასახვეწად, ამსტერდამის ხელშეკრულებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, საგარეო პოლიტიკას დაემატა ახალი ინსტრუმენტი – საერთო სტრატეგია. ცვლილებები შეეხო ხმის მიცემის პროცედურასაც, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება მიიღებოდა ერთხმად. თუმცა, ასევე, შემოიღეს „კონსტრუქციული თავშეკავების“ უფლება, როცა ქვეყანა შეძლებდა თავის შეკავებას, რათა არ დაებლოკა გადაწყვეტილება. ამასთან, სწორედ ამსტერდამის ხელშეკრულების ფარგლებში შემოიღეს CFSP-ის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა, რომელიც ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის ფუნქციასაც ითავსებდა და რომელიც 2009 წლამდე, NATO-ს ყოფილ გენერალურ მდივანს, ხავიერ სოლანას ეკავა.

CFSP-ის შექმნა რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: გერმანიის გაერთიანება, ვარშავის პაქტის დაშლა, სსრკ-ის დაშლა, ბალკანეთის კონფლიქტები და სხვა. ამასთან ერთად, აშშ მოითხოვდა, რომ ევროპელებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეტვირთათ საკუთარ კონტინენტზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შედეგად, 1996 წელს დაიწყო მოლაპარაკებები CFSP-ის ფარგლებში დამოუკიდებელი ოპერაციების ჩატარების შესახებ NATO-ს შესაძლებლობების გამოყენებით.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება გაგრძელდა ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით. ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო

CFSP-სთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. მიღებული იქნა კიდევ ერთი ინსტრუმენტი, საერთო სტრატეგია, რომლის მიზანიცაა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის გრძელვადიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით ეფექტური არც ეს ინსტრუმენტი აღმოჩნდა. მეორე ცვლილება შეეხებოდა გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, – ძალაში დარჩა ერთხმად გადაწყვეტილების მიღების წესი, თუმცა შემოიღეს „კონსტრუქციული თავშეკავება“, რაც გულისხმობდა საკითხის დაბლოკვის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მისცემოდა თავშეკავების უფლებაც. ასევე, ამ ხელშეკრულებით, შემოიღეს CFSP-ის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი, რომელიც მინისტრთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა შეითავსა.

საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება

CFSP-ის განვითარებისკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა, რომელსაც ლისაბონის ხელშეკრულებით, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ეწოდა. აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას წინ უძღოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა:

1998 წელს, სენტ მალოს სამიტზე, არაოფიციალურ შეხვედრაზე, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი

ტონი ბლერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1997-2007) და ჟაკ შირაკი, საფრანგეთის პრეზიდენტი (1995-2007)

ევროპული საბჭოს შეხვედრა, კიოლნი, გერმანია

შეთანხმდნენ ე. წ. სენტ მალოს დეკლარაციის მიღებაზე. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „დროა, ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე. ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიურად მოქმედების უნარი საგარეო საკითხებში, რომელსაც ზურგს საიმედო სამხედრო ძალა გაუმაგრებს, ასევე, უნდა შეეძლოს ამ ძალის ამოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და იყოს მზად საერთაშორისო კრიზისებთან გასამკლავებლად“. აღსანიშნავია, რომ დეკლარაცია ხაზს უსვამს NATO-ს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და მიუთითებს, რომ ევროპამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს NATO-ს მოდერნიზაციის საქმეში. ამასთან, ევროკავშირს უნდა ჰქონდეს „მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში, სადაც ალიანსი ჩაბმული არაა“.

სენტ მალოს შემდეგ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. მორიგმა ევროპულმა საბჭოებმა კი, საფუძველი უკვე ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას ჩაუყარეს (Common Security and Defence Policy, CSDP):

კიოლნში (1999 წლის ივნისი) ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი საერთო თავდაცვის თაობაზე და გადაწყდა, რომ სამომავლოდ, შეექმნათ სამხედრო შტაბბინა და სამხედრო ძალები.

■ ევროპული საბჭოს შეხვედრა
ჰელსინკი, ფინეთი

ჰელსინკში (1999 წლის დეკემბერი) დაისახეს ე. წ „მთავარი ამოცანა“, რაც გულისხმობდა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს 2003 წლისთვის თავი უნდა მოეყარათ 50 000-60 000 სწრაფი რეაგირების ჯარისთვის.

სანტა მარია დე ფეირაზე (2000 წლის ივნისი) შეთანხმდენენ, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი.

■ ევროპული საბჭოს შეხვედრა
სანტა მარია დე ფეირა, პორტუგალია

ზემოაღნიშნულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარა საერთო თავდაცვას ანუ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას, რომელიც ფორმალურად შეყვანილ იქნა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულებით. შეიქმნა სამი ახალი კომპონენტი: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი და ევროკავშირის სამხედრო შტაბი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1999 წელს, NATO-ს ვაშინგტონის სამიტზე მიიღეს საგანგებო ზომები, რომ ევროპის თავდაცვის იდენტობა გაღრმავებულიყო NATO-ს შიგნით. გეგმა ითვალისწინებდა ევროკავშირსა და NATO-ს შორის ეფექტიან კონსულტაციებს, თანამშრომლობისა და გამჭირვალობის მექანიზმებს. 2002 წელს, ამ შეთანხმებას ეწოდა „ბერლინი +“ (Berlin Plus Agreement), რომელიც დაეყრდნო ოთხ ძირითად პრინციპს:

- ევროკავშირს აქვს გარანტირებული შეღწევის უფლება NATO-ს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;
- ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია NATO-ს შესაძლებლობები (იარაღი, სამხედრო ძალები);
- ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია NATO-ს სარდლობა;
- NATO-ს სამხედრო ძალების ადაპტაცია ხორციელდება ისე, რომ ევროპული ოპერაციებისთვის ძალების გამოყოფა გახდეს შესაძლებელი.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

სტრუქტურა

ევროპული საბჭო: მაასტრიხტის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მიხედვით, საბჭო განსაზღვრავს CFSP-ის პრინციპებს, მთავარ მიმართულებებს და აყალიბებს საერთო სტრატეგიებს. ვეროპული საბჭო მუშაობს გენერალურ საქმეთა საბჭოსთან (GAC) ერთად და მისი მეშვეობით, CFSP-თვის მიმართულების მიმცემია.

იმის დასადგენად, არის თუ არა საერთო ინტერესი ამა თუ იმ საკითხის ან არეალის ირგვლივ, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: მოცემული ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და სიახლოვე ევროკავშირთან; ევროკავშირის დაინტერესება ამ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაში და საფრთხის არსებობა ევროპის უსაფრთხოების ინტერესების მიმართ. როგორც წესი, საბჭო ასევე გამოხატავს თავის შეხედულებებს საგარეო პოლიტიკის მიმდინარე პრობლემების შესახებ.

მინისტრთა საბჭო: არის CFSP წარმოების საკვანძო ორგანო. იგი ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოების საშუალებით:

გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო წევრი საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისარი შეხვედრებს მართავენ დაახლოებით თვეში ერთხელ, საჭიროებიდან გამომდინარე. იმართება დამატებითი შეხვედრებიც. აღნიშნული საბჭო არის CFSP-ის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს საერთო პოზიციებსა და ქმედებებს. უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია პრეზიდენტს, რომელიც წარადგენს კავშირს CFSP-ის სფეროში და მონიტორინგს უწევს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. დღეს ეს როლი CFSP-ის უმაღლეს წარმომადგენელს და საგარეო ურთიერთობების კომისარს აკისრია.

მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER) ერთგვარ ფილტრს წარმოადგენს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტსა (რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია, თუმცა შეუძლია მხოლოდ განხილვა) და გენერალურ საბჭოს შორის. აქ ხდება პოზიციების შეჯერება, ვიდრე საკითხი საბჭომდე მიაღწევს. COREPER განიხილავს საკითხების ბიუროკრატიულ, ინსტიტუციურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებს, თუმცა არ ეხება შინაარსს. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს COREPER II.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება მაღალი რანგის ელჩებისა და ეროვნული მთავრობების წარმოადგენლებისაგან, ასევე, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან. მის მოვალეობაში შედის თვალი ადევნოს საერთაშორისო სიტუაციას CFSP-ის საკითხებში, განსაზღვროს CFSP-ის პოლიტიკა, მისცეს პოლიტიკური მიმართულება სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას და გაუმკლავდეს კრიზისულ სიტუაციებს. შეხვედრები იმართება კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი განიხილავს ყველა საკითხს, ვიდრე ეს საკითხები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე განიხილება. მსგავსად მოქმედებს **პოლიტიკის დაგეგმვის განყოფილებაც.**

კორესპონდენტების ჯგუფი კოორდინაციას უწევს CFSP-ის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ეს ჯგუფი ასევე ახდენს ყოველდღიურ კომუნიკაციას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რაც სხვა საქმეებთან ერთად, ასევე გულისხმობს ათასობით ტელგრამის გაგზავნას ტელექსის საშუალებით.

სამუშაო ჯგუფები. საბჭოს სტრუქტურაში არსებობს დაახლოებით 30 სამუშაო ჯგუფი – მუდმივი და დროებითი, რომლებიც დაკომპლექტებულია დიპლომატებითა და კომისიის წარმომადგენლით. ყველა ჯგუფი მუშაობს ცალკეულ საკითხზე: რეგიონზე ან სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე.

გენერალური სამდივნოს კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დახმარება გაუწიონ საბჭოს საქმიანობას CFSP სფეროში. ეს კომპონენტი გამყარდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის პოზიცია. როგორც ცნობილია, უმაღლეს წარმომადგენელს ევალება CFSP-ის პოლიტიკის განსაზღვრის, ფორმულირების მომზადების და იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება, ამასთან მესამე პირებთან დიალოგის წარმართვა.

ევროკომისიის როლი განისაზღვრება იმით, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თუ რომელ ასპექტთან გვაქვს საქმე. CFSP-ის ფარგლებში თუ გამოიყენება ევროგაერთიანების ინსტრუმენტები (მაგალითად, ეკონომიკური სანქციები), მაშინ კომისიის როლი საკმაოდ დიდია, ხოლო თუ საქმე სამთავრობათაშორისო ინსტრუმენტებს ეხება, მაშინ კომისიის როლი შეზღუდულია.

ევროპარლამენტი – მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს აქვს საგარეო ურთიერთობების კომიტეტი და კიდევ რამდენიმე კომიტეტი, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საგარეო პოლიტიკას (განვითარების პოლიტიკა, გაფართოება, საგარეო დახმარება და სხვ.), საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მისი როლი მინიმალურია. მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, პარლამენტს აქვს უფლება იყოს „რეგულარულად ინფორმირებული" CFSP-ში მიმდინარე საკითხებზე, თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარლამენტის მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ასევე, არაა გათვალისწინებული პარლამენტისადმი სხვა ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების საკითხი, როდესაც საქმე ეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

საელჩოები და წარმომადგენლობები – ევროკომისიას ჰყავს დაახლოებით 130 დელეგაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და 5 საერთაშორისო ორგანიზაციაში (ასევე, აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 160 ქვეყანას ჰყავს ოფიციალური წარმომადგენლობა ევროკავშირში). ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მიხედვით, წევრი ქვეყნების მისიებმა და კომისიის დელეგაციებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ საბჭოს მიერ მიღებული საერთო პოზიციებისა და ერთობლივი ქმედებების შესაბამისობა და იმპლემენტაცია.

„სამეული" არის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულ იქნა 1980-იან წლებში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში პოლიტიკის მდგრადობა, განსაკუთრებით, ყოველ ექვს თვეში ცვლადი პრეზიდენტობის გათვალისწინებით. თავდაპირველად, სამეულში შედიოდა მიმდინარე, წინა და მომავალი პრეზიდენტი ქვეყნები. დაკომპლექტების ამგვარი წესით უზრუნველყოფილი იყო დღის წესრიგის შედგენის პროცესში და საერთაშო-

რისო მოლაპარაკებების დროს ევროკავშირის პოზიციებისა და პოლიტიკის მდგრადობა და განგრძობადობა. დღეისათვის სამეულის დაკომპლექტების წესი შეიცვალა. დღეს, სამეულს წარმოადგენენ პრეზიდენტი ქვეყანა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისარი. მათთან ერთად, ასევე შესაძლებელია, რომ სამეულის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს წინა ან მომავალმა პრეზიდენტმა ქვეყანამ.

სტრატეგია

ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაზე ფართომასშტაბიანი თავდასხმა სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ სახელდება ევროპისათვის 5 ძირითადი საფრთხე, ესენია: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონული კონფლიქტები, არშემდგარი სახელმწიფოები და ორგანიზებული დანაშაული (European Security Strategy, 2003). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ევროკავშირი უნდა იყოს უფრო აქტიური და საჭიროებისამებრ მოახდინოს დროული, სწრაფი და ძლიერი ინტერვენცია კონფლიქტის პრევენციის მიზნით. მისი სამხედრო და სამოქალაქო კრიზისების მართვის, ასევე პოსტკონფლიქტური დარეგულირების შესაძლებლობები უნდა გაიზარდოს და მოხდეს ევროპაში არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი და კოორდინირებული გამოყენება. სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავსებადობისა და თანაზომიერების აუცილებლობა, ასევე ხაზგასმულია საერთაშორისო პარტნიორებთან, განსაკუთრებით კი, აშშ-თან პარტნიორობა. ევროკავშირი მიისწრაფვის ისეთი მსოფლიო წესრიგისკენ, რომელიც დამყარებულია ეფექტიან მულტილატერალიზმზე (effective multilateralism), ძლიერი საერთაშორისო ინსტიტუტებით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებისადმი ერთგულებით.

იცით თუ არა, რომ...

ეფექტური მულტილატერალიზმი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია, რომელიც სამ ძირითად მიზანს აერთიანებს:

1. **ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კიდევ უფრო დაახლოება და ერთსულოვნების მიღწევა.**
2. **სტრატეგიული ერთობა ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას.**
3. **ლეგიტიმაციის მაღალი დონე საერთაშორისო დონეზე ეფექტიანი მუშაობისთვის.**

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებია:

ევროკავშირის ღირებულებების დაცვა, ფუნდამენტური ინტერესები, უსაფრთხოება, დამოუკიდებლობა და მთლიანობა;	დემოკრატიის კონსოლიდაცია და მხარდაჭერა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები;	მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტების თავიდან აცილება და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება;	მოსახლეობისათვის, ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ბუნებრივ და ხელოვნურად გამოწვეულ სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში დახმარების გაწევა.

უსაფრთხოების სტრატეგიის შესრულების ანგარიშის შექმნის შედეგად მოხდა მთავარი საფრთხეების და მათთან ბრძოლის ხერხების გადახედვა. გამოწვევათა სიაში გაჩნდა კიბერუსაფრთხოების, ენერგეტიკული უსაფრთხოების და კლიმატის ცვლილების ნაწილები, ხოლო შესრულების ნაწილს დაემატა სამეზობლოს ქვეყნებთან აქტიური ჩართულობის პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ, რეგიონული ინტეგრაციისადმია მიმართული.

2003 წლიდან ევროკავშირმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში 30-მდე სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაცია დაიწყო, მათ შორის: საპოლიციო მისია, კრიზისების სამხედრო მენეჯმენტი, სამშვიდობო, სამოქალაქო და საზღვრის მონიტორინგი – ინდონეზიაში ცუნამის შემდგომი მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის სამშვიდობო მისიის გაგზავნა, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ლტოლვილების დაცვა, ე. წ. „აფრიკული რქის“ ქვეყნებში (ჯიბუტი, სომალი, სუდანი და ეთიოპია) მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა.

სსუპ-ის ფარგლებში, ევროკავშირმა რამდენიმე სამშვიდობო მისია გაგზავნა მსოფლიოს პრობლემურ წერტილებში. მაგალითად, ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის განვითარებისა და კრიზისის რეგულირების საკითხებში. დღესდღეობით, ევროკავშირი ქვეყნისთვის კრიზისის დარეგულირებისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში მთავარ პარტნიორს წარმოადგენს. 2008-2013 წლებში, ევროკავშირმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას 225 მლნ ევროს ღირებულების პაკეტი გადასცა, 2013 წელს ქვეყანაში დაწყებულ კრიზისზე რეაგირებისთვის 360 მლნ ევროს ღირებულების დახმარება გამოყო, 2014 წელს კი, 119 მლნ ევროს დახმარება გაუწია. 2014 წელს, ვითარების სტაბილიზაციისთვის სამხედრო მისიით, ადგილზე სამშვიდობო სამხედრო ძალებიც გაგზავნა, მისიაში 6 თვის განმავლობაში მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბათუმის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ასეული. 2015 წელს კი, ევროკავშირმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის გაეროს მრავალგანზომილებიანი ინტეგრირებული სტაბილიზაციის მისიასთან (MINUSCA) თანამშრომლობით, სამხედრო მრჩეველთა მისია მიავლინა ქვეყანაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროს გაძლიერებაში.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს მებრძოლ მხარეებს სწორედ ევროკავშირმა უშუამდგომლა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებისას, გამოგზავნა სადამკვირვებლო მისია საქართველოში ვითარების მონიტორინგისთვის, ისევე, როგორც ჰუმანიტარული დახმარება ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ჯარი, თუმცა, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, მზად იქნება, შექმნას ე. წ. „ad

hoc“ ძალები (არაგეგმური ძალები), რომლებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვითარების შესაბამისად გამოყოფენ კერძოდ, გაერთიანებული განიარაღების ოპერაციების, ჰუმანიტარული და სამაშველო ამოცანების შესრულების, სამხედრო რჩევებისა თუ დახმარებების, კრიზისის დარეგულირების (როგორიცაა მშვიდობის დაცვა, პოსტკონფლიქტური სტაბილიზაცია) და ასევე, კონფლიქტის პრევენციისა თუ სამშვიდობო ოპერაციების შემთხვევებში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

EUMM (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში) ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. მისია 2008 წლის სექტემბერში გამოიგზავნა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა **ექვსპუნქტიან შეთანხმებას**, რომელმაც რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი დაასრულა. მისიის ძირითადი ამოცანებია:

- საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა;
- აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა;
- კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა;
- საქართველოსა და რეგიონის შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება.

აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველომ რუსეთთან მიმართებაში ცალმხრივად აიღო ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რუსეთი კი უარს აცხადებს ამგვარი ვალდებულების აღებაზე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები პატრულირებისას

მას შემდეგ, რაც სადამკვირვებლო მისიამ საქმიანობა დაიწყო, იგი ახორციელებს 24-საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს. მისიაში 200-მდე დამკვირვებელი მუშაობს ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან. სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს, ხოლო რეგიონული ოფისები – გორში, მცხეთასა და ზუგდიდში. EUMM-ის მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, სამწუხაროდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგის განხორციელების საშუალება დღემდე არ ეძლევათ.

თავი V
ევროკავშირი
და საქართველო

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება
(PARTNERSHIP AND COOPERATION AGREEMENT – CA)

1992 წელს, ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად, ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და ძირითადად, შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით.

ურთიერთობა მას შემდეგ უფრო გააქტიურდა, რაც 2004 წელს ევროკავშირი აღმოსავლეთით გაფართოვდა. 2007 წელს, მასში რუმინეთი და ბულგარეთი გაერთიანდა, ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის რეგიონს გეოგრაფიულად დაუახლოვა, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირს შორის საზღვაო საზღვარი გაჩნდა.

მხარეთა ურთიერთობის ისტორია ადასტურებს, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის დემოკრატიულ განვითარებასა და თავისუფალი, კონკურენტული ეკონომიკის დამკვიდრებაში სანდო ხელშემწყობი პარტნიორია.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლო-

ბის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი, ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამავე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა, ტრანსპორტი და სხვა. ამასთან, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეთანხმების შემდგომ, საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები:

- **თანამშრომლობის საბჭო** წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და მის ფუნქციას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წევრებისგან შედგებოდა. თანამშრომლობის საბჭოზე მხარეები განიხილავდნენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წამოჭრილ საკითხებს, აგრეთვე, ორმხრივი თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წამოჭრილ ნებისმიერ სხვა საკითხებს, რომლებიც საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნებს ემსახურებოდა.
- **თანამშრომლობის კომიტეტი** წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დონეზე. ის ამზადებდა თანამშრომლო-

ბის საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფდა, რომ შეხვედრებს შორის უწყვეტი პროცესი ყოფილიყო. თანამშრომლობის კომიტეტი შემდეგ ქვეკომიტეტებს მოიცავდა:

- ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის;
- დასაქმებისა და სოციალური საკითხების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრენინგის, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო, საზოგადოების და აუდიოვიზუალური პოლიტიკისა და მეცნიერების და ტექნოლოგიების;
- ვაჭრობის, ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების;
- სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების.

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი შედგებოდა საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისგან. ეს იყო პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის ევროკავშირისა და საქართველოს პარლამენტარებს შორის.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა – TACIS

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის – TACIS (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States), რომლის მიზანი ახლად დამოუკიდებელობამოპოვებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების ხელშეწყობა იყო. TACIS ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა. მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. TACIS-ის დაწყებისას, ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად, TACIS-მა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. TACIS-ის დახმარებით განხორციელდა: ახლადდანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრება კომერციულ ბანკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; TRACECA-ს ხიდის მშენებლობა; ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო ბორანის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა. შ.

1992-2006 წლებში, ევროკომისიამ მთლიანობაში, TACIS-ის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო. 2007 წელს TACIS-ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა.

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ (EU Special Representative for the South Caucasus). ეს თანამდებობა 2003-2006 წლებში ეკავა ჰეიკი ტალვიტის, 2006-2011 წლებში პეტერ სემნების, ხოლო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაინიშნა ევროკავშირის წარმომადგენელი კრიზისის საკითხებში საქართველოში – პიერ მორელი, რომელიც ამ პოსტს 2008-2011 წლებში იკავებდა; იგი ჩაანაცვლა ფილიპ ლეფორმა – ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა კრიზისის საკითხში სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში (2011 წლის სექტემბერი – 2014 წლის ივნისი). ელჩი ჰერბერტ ზალბერი ამ პოსტს 2014-2017 წლებში იკავებდა. 2017 წლის ნოემბრიდან ევროკავშირს სამხრეთ კავკასიაში ახალი სპეციალური წარმომადგენელი ჰყავს. ევროკავშირის საბჭომ აღნიშნულ თანამდებობაზე ტოივო კლაარი დანიშნა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY/ENP)

2003 წლიდან ევროკავშირმა განავითარა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომლის მიზანიცაა გაფართოებული ევროკავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლოში ახალი გამყოფი ხაზების თავიდან არიდება და იქ კეთილდღეობის, მშვიდობიანი განვითარებისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა. ENP-ის ფარგლებში ევროკავშირის ურთიერთობა მის სამეზობლოსთან ეფუძნება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ღირებულებებს და მიმართულია მხარეებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაახლოების პროცესის ხელშეწყობისკენ.

ამჟამად, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა 16 ქვეყანასთან განსაზღვრავს ევროკავშირის ურთიერთობებს; ეს ქვეყნები მოიცავს სამხრეთით – ალჟირს, ეგვიპტეს, ისრაელს, იორდანიას, ლიბანს, ლიბიას, მაროკოს, პალესტინას, სირიასა და ტუნისს, ხოლო აღმოსავლეთით – სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას. აღსანიშნავია, რომ რუსეთი, ცალკეული აქტივობების ფარგლებში თანამშრომლობის გამოკლებით, ENP-ის ნაწილი არ არის.

ევროპის
სამეზობლო პოლიტიკა

ალჟირი

ეგვიპტე

ისრაელი

იორდანია

ლიბანი

ლიბია

მაროკო

პალესტინა

სირია

ტუნისი

სომხეთი

აზერბაიჯანი

ბელარუსი

საქართველო

მოლდოვა

უკრაინა

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა და მიზნად ისახავდა პროგრესის მიღწევას ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია;
- ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკაში“ მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით;
- ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა;
- თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების, ნარკოტიკების ტრანზიტის, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;

- ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების (Conflict Resolution) და კრიზისულ სიტუაციათა მართვის (Crisis Management) საკითხებში;
- მეტი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ;
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე, სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში (European Research Area);
- ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა;
- ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკაში" მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა;
- დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხების ხელმისაწვდომობის ჩათვლით.

2006 წლის ნოემბერში, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს მიიღეს.

ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ და ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY INSTRUMANET/ENPI)

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) იყო ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტუ-

ლი ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორიცაა: TACIS (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის). ამ თვალსაზრით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი უზრუნველყოფდა ამ პროგრამებში არსებული სტრატეგიული ხაზის გაგრძელებას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულებების გაზიარება, სტაბილურობისა და კეთილდღეობის არეალის შექმნა, ინტენსიური თანამშრომლობა და უფრო ღრმა ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრირება თანამშრომლობის სფეროების მთელი სპექტრის გათვალისწინებით.

2007-2013 წლებში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ სამეზობლო პოლიტიკის 16 ქვეყნისა და რუსეთისათვის 11 მილიარდი ევრო შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის დახმარება მისი სამეზობლოსათვის. 2007 წელს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში, 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ. ევრო შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან, ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ. ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი 2014-2020 წლებისთვის (ENI – EUROPEAN NEIGHBORHOOD INSTRUMENT)

2011 წლის დეკემბერში, ევროკომისიამ წინადადებით მიმართა ევროპულ პარლამენტს 2014-2020 წლებისთვის ახალი საგარეო დახმარების ინსტრუმენტების, მათ

შორის, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დამტკიცების თაობაზე. 2011 წლის 25 მაისის ერთობლივი კომუნიკეს თანახმად, ახალი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI – European Neighborhood Instrument) ევროკავშირის საზღვრებიდან აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე 16 პარტნიორ ქვეყანას აღმოუჩენდა დახმარებას, 2014 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში. აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა.

აღსანიშნავია, რომ ENPI-გან განსხვავებით, ENI არ მოიცავს რუსეთთან თანამშრომლობას.

ENI-ის საერთო ბიუჯეტი 2014-2020 წლებში შეადგენს 15 მილიარდ ევროს, სამეზობლო პოლიტიკის 16 ქვეყნის მხარდასაჭერად, შემდეგი მიმართულებით:

1. ორმხრივი პროგრამები, რომლებიც ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის მხარდაჭერას ითვალისწინებს;
2. მრავალმხრივი პროგრამები, რომლებიც ყველა ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის წინაშე არსებულ საერთო გამოწვევებს პასუხობს და ასევე, მოიცავს რეგიონულ და ქვერეგიონულ თანამშრომლობას ორ ან მეტ პარტნიორ ქვეყანას შორის;
3. საზღვრისპირა თანამშრომლობა (CBC).

პარტნიორი ქვეყნების წახალისების მიზნით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი დიფერენცირების მეთოდს და „მეტი მეტისთვის“ პრინციპს გამოიყენებს: რეგულაციის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ქვეყნებს, რომლებიც რეალურად მონაწილეობენ კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით, ძლიერი და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობაში და ფინანსური დახმარების გამოყოფის კრიტერიუმები დიფერენცირების პრინციპს დაეფუძნება. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი უნდა ასახავდეს ქვეყნის ამბიციის დონეს ევროკავშირთან პარტნიორობის თვალსაზრისით, მის პროგრესს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობასა და რეფორმების განხორციელების მხრივ შეთანხმებული მიზნების შესრულებაში.

ENI-ის მთავარი მიზნებია: ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ხელშეწყობა; ევროკავშირის შიდა ბაზარზე პროგრესული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა; ნდობის აღდგენა უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით და კონფლიქტების აღკვეთა და მოგვარება; ასევე გამახვილდება ყურადღება ხალხთა შორის კონტაქტების ზრდაზე, დარგობრივ თანამშრომლობასა (მაგ. ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში) და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებაზე.

ENI-ის რეგულაცია უზრუნველყოფს უფრო გაზრდილ კავშირებს ევროკავშირის შიდა ინსტრუმენტებსა და პოლიტიკასთან, რათა გაძლიერდეს ევროკავშირის პოლიტიკით განსაზღვრული დახმარება, რაც ევროკავშირის ბიუჯეტის შიდა და გარე ინსტრუმენტების შესაბამისობას უზრუნველყოფს. შედეგად, პარტნიორ ქვეყნებსა და მათ მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის წარმატებულ შიდა პროგრამებში, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სტუდენტების მობილობა, ახალგაზრდული პროგრამები ან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. რაც შეეხება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, ENI-ის რეგულაცია აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიიჩნევიან არა უბრალოდ ENI-ის დაფინანსების ბენეფიციარებად, არამედ იძენენ უფრო მნიშვნელოვან როლს ENI-ს საქმიანობების დაგეგმვაში, ასევე, მათ განხორციელებასა და მონიტორინგში.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EASTERN PARTNERSHIP – EAP)

აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership – EaP) ინიციატივა, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანთან, ბელარუსიასთან, მოლდოვასთან, საქართველოსთან, სომხეთთან, უკრაინასთან) თანამშრომლობის ახალი ფორმატი თავდაპირველად, შვედეთმა და პოლონეთმა შეიმუშავა.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად, განაპირობა კი-

დეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, პრეზიდენტმა სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის პრეზიდენტმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევაში. უკვე ომის შემდგომ, ევროკავშირმა აქტიური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს და ცეცხლის არგანახლების მიზნით, საქართველოში მოავლინა ევროკავშირის მონიტორინგის მისია, რომელიც დღემდე, ადმინისტრაციული ხაზის გასწრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, მონიტორინგს უწევს კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას და ხელს უწყობს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის

მიერ სრულად არ სრულდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება და მისიას არ აქვს დაშვება ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, მისიის მოქმედება მნიშვნელობას არ კარგავს, რადგან ამ დრომდე, ევროკავშირის მონიტორინგის მისია ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მოქმედებს. ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, რომელიც ჟენევის დიალოგის სახელით არის ცნობილი და რომელიც ასევე, 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ნაწილია. აქ, ჟენევის დიალოგში, ევროკავშირის წარმომადგენელი, ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლებთან ერთად, თანათავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს. 2008 წლის ოქტომბერში, ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გამართულ დონორთა კონფერენციაზე, საქართველოსთვის 2008-2010 წლებისთვის გამოყოფილმა დახმარებამ 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2008 წლის 3 დეკემბერს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ კომუნიკე, რომელიც 2009 წლის 19 მარტს, ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, თანამშრომლობა ორი მიმართულებით ვითარდება: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი, უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრა-

ციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში, მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის. 2009 წლის 17 ნოემბერს, ბრიუსელში ამ მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum – CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში, ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს. მათგან 4 შინაარსობრივად აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის („სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა“) დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს, პოლონეთში, პოზნანში CSF-ის მესამე შეხვედრაზე მიიღეს.

CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელმძღვანელობს. მისი წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ბრიუსელში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები ყოველწლიურად იმართება. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისათვის, საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული.

დაარსებიდან ექვს წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსიას, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელებას ისახავს მიზნად.

„ევრონესტი“

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მოქმედებს **„ევრონესტი“ (Euronest)** – თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს, ბრიუსელში ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს, თბილისში გაიმართა „ევრონესტის“ საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგი 2020 წლისთვის

ყოვლისმომცველი შედეგები:

1. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეტი ჩართულობა;
2. გენდერული თანასწორობის ზრდა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
3. სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერება და მედია პლურალიზმის და დამოუკიდებლობის მხარდაჭერა.

უფრო ძლიერი ეკონომიკა
ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები:

1. საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა;
2. ფინანსების ხელმისაწვდომობის და ფინანსური ინფრასტრუქტურის საკითხებში არსებული ხარვეზების გამოსწორება;
3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე;
4. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია;
5. რეგიონის შიდა ვაჭრობის მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის.

უფრო ძლიერი მმართველობა
ინსტიტუტების გაძლიერება და სათანადო მმართველობა:

1. სამართლის უზენაესობა და ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება;
2. ძირითადი სასამართლო რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა;
3. თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებზე.

უფრო მტკიცე კავშირები

ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება:

1. ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელების (TEN-T) გაფართოება, ტრანსპორტი;
2. ენერგომომარაგების უსაფრთხოების ზრდა;
3. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ზრდა, სათბური აირების გაფრქვევის შემცირება;
4. გარემოს დაცვის ხელშეწყობა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან მდგრადობის გაძლიერება.

უფრო ძლიერი საზოგადოება

მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები:

1. წარმატება ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხებზე მოლაპარაკებების და მობილური თანამშრომლობის სფეროებში;
2. ინვესტირების გაუმჯობესება ახალგაზრდებში, მეწარმეობისა და დასაქმების პოტენციალში;
3. აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დაარსება;
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის კვლევითი და ინოვაციების სისტემების და პროგრამების ინტეგრაცია.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) 2009 წელს დაწყებული ერთობლივი ინიციატივაა, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება და გაძლიერება ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს და აღმოსავლეთ სამეზობლოს შემდეგ ექვს ქვეყანას შორის: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. ამ ინიციატივის ფარგლებში, ყველა პარტნიორს აღებული აქვს ვალდებულება რეალური სარგებელი მოუტანოს მოქალაქეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში რეგიონის მასშტაბით და მოახდინოს აღნიშნულის დემონსტრირება 2020 წლისთვის 20 შედეგის მიღწევაზე ორიენტირებით, ოთხ პრიორიტეტულ სფეროში:

1. უფრო ძლიერი ეკონომიკა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის ზრდა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელსაც ემყარება ევროკავშირის მხარდაჭერა სტაბილური სამეზობლოს მისაღწევად. ამ კონტექსტში, ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები თანამშრომლობენ, რომ განავითარონ უფრო ძლიერი, დივერსიფიცირებული და დინამიურად განვითარებადი ეკონომიკა რეგიონში. ეს ნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, ინვესტიციების მოზიდვას და სამუშაო ადგილების შექმნას ახალ სექტორებში ასევე, სავაჭრო შესაძლებლობების ზრდას ახალ ბაზრებზე შესვლის პროცესის მხარდაჭერით.

იცით თუ არა, რომ...

- მიუხედავად იმისა, რომ არსებული კომპანიების საერთო რაოდენობის 83%-დან 99%-მდე მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს, ის დასაქმების წილის მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს შეადგენს მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის დასაქმების 2/3-ზე მეტი და გასული ხუთი წლის მანძილზე შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების 85%.
- 2009 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის დაწყების შემდეგ, ევროკავშირმა 1.5 მილიარდი ევროს მხარდაჭერა გაუწია მცირე და საშუალო საწარმოებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რაც მოხმარდა 10 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, 100 000-ზე მეტი სესხის გაცემას საწარმოებისთვის და 20 000 ადამიანის ტრენინგს.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

- სესხების გაცემა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ადგილობრივ ვალუტაში: 100 მილიონი ევრო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის – ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის მინიმუმ, 1/4-ის ადგილობრივ ვალუტაში გაწევის მიზნით, ასევე ყოველმხრივი მხარდაჭერა პოლიტიკის დონეზე, ადგილობრივი ფინანსური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რაც გაზრდის დაფინანსების ალტერნატივებს კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისთვის.

- ციფრული პაკეტი: 50 მილიონი ევრო, რომელიც:
  1. განახორციელებს კონკრეტულ ნაბიჯებს როუმინგის ჰარმონიზებული ფასების და როუმინგის ტარიფების შემცირების მიმართულებით, პარტნიორ ქვეყნებს შორის;
  2. უზრუნველყოფს ინტერნეტის უფრო მარტივ და იაფ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებული აქცენტით რეგიონებზე, ფართოზოლოვანი ეროვნული სტრატეგიების განხორციელების და პირველი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურული პროგრამების დაწყების საშუალებით;
  3. ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას ახალ ციფრულ ინდუსტრიაში.
- ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდა: ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) წევრ და არაწევრ სახელმწიფოებთან და აქცენტი პარტნიორ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე.

2. უფრო მტკიცე კავშირები

სატრანსპორტო კავშირების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ენერგეტიკული ურთიერთკავშირების გაძლიერებით ენერგეტიკის სტაბილურობის ხელშეწყობა, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება სათბური აირების გაფრქვევების შესამცირებლად, წარმოადგენს ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტს. აღნიშნულის შედეგია გაცილებით უფრო მდგრადი ეკონომიკური განვითარება და მოქალაქეთა ცხოვრების რეალური სარგებლით უზრუნველყოფა ენერგოდამოკიდებულების და ენერგიის მოხმარების შემცირების გზით.

იცით თუ არა, რომ...

- **საშუალოდ, ეკონომიკა პარტნიორ ქვეყნებში სამჯერ უფრო ენერგოინტენსიურია, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.**
- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 300-ზე მეტმა მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა ევროკავშირის მერების შეთანხმებას, რომელიც 20 მილიონ ადამიანს მოიცავს.**

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

- ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გაფართოება: 150 მილიონი ევროს ოდენობის მხარდაჭერა, 1 მილიარდ ევროზე მეტის გაცემა კრედიტების სახით სტრატეგიული ინვესტიციებისთვის გზების, რკინიგზების, პორტების და აეროპორტების მშენებლობის მხარდასაჭერად, მთელ რეგიონში.
- ენერგოეფექტურობის პაკეტი: 225 მილიონი ევროს ოდენობის ენერგოეფექტურობის ინვესტიციები, რომლებმაც უნდა მოიცვას უფრო მეტი ადამიანი, მუნიციპალიტეტი და მცირე და საშუალო საწარმო ენერგეტიკის დანახარჯების შემცირების, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების და კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევის ხელშეწყობის მიზნით.

3. უფრო ძლიერი მმართველობა

ძალისხმევის გაზრდა ინსტიტუტების გაძლიერების და მმართველობის სფეროში, წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად პრიორიტეტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, სადაც კვლავ რჩება გამოწვევები. ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში აღინიშნა მნიშვნელოვანი წინსვლა დამოუკიდებელი სპეციალიზებული ანტიკორუფციული ორგანიზაციების შექმნის მიმართულებით და სასამართლო და საჯარო ადმინისტრირების რეფორმების განხორციელებაში; ამ პროცესების მიზანია მოქალაქეების გაუმჯობესებული, უფრო ეფექტიანი და გამჭვირვალე მომსახურებით უზრუნველყოფა.

იცით თუ არა, რომ...

- **სამოქალაქო საზოგადოება ძირითად როლს ასრულებს პარტნიორ ქვეყნებში ანგარიშვალდებულების ზრდასა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში.**
- **2014 წლის შემდეგ, ევროკავშირმა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად 95 მილიონი ევრო გამოყო, რაც მოხმარდა 600-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას და სამოქალაქო საზოგადოების სასტიპენდიო პროგრამის დაწყებას, რომლითაც უკვე 29 სტიპენდიანტმა ისარგებლა.**

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

170 მილიონი ევრო გამოყოფილია მმართველობის გაუმჯობესების მხარდასაჭერად, ადგილობრივ სოციალური ინოვაციების ტენდენციებზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით, რაც მოიცავს ქვეგრანტების უფრო რაციონალურ გამოყენებას და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ მხარდაჭერას. გარდა ამისა, ამ ინიციატივებს ექნება შემდეგი ამოცანები:

- აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერის და ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის გაძლიერება: მხარდაჭერის გაწევა ადგილობრივ ენებზე და დახმარების პროგრამების დივერსიფიცირება ხელს შეუწყობს მონაწილეთა უფრო ფართო სპექტრის მობილიზაციას და მოქალაქეებს უზრუნველყოფს უკეთესი მომსახურებით.
- სახელმწიფო სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება, სამოქალაქო ექსპერტული პოტენციალის განვითარება და შიდარეგიონული თანამშრომლობა.
- ახალგაზრდა ლიდერების აღზრდა სამოქალაქო საზოგადოების 80 სასტიპენდიო პროგრამის და 300 ახალგაზრდა ლიდერის აღზრდა პროგრამის – „ევროკავშირი ახალგაზრდობისთვის“ (EU4Youth) საშუალებით.

4. უფრო ძლიერი საზოგადოება

მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები ერთმანეთთან აახლოებს საზოგადოებებს და მოქალაქეებს რეალურ სარგებელს სთავაზობს. ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ერთობლივად ახორციელებდნენ ინვესტიციებს ახალგაზრდების სხვადასხვა შესაძლებლობებში, მეწარმეობისა და დასაქმების პოტენციალის ზრდაში, მათ შორის საგანმანათლებლო პოლიტიკის და სისტემების შემუშავებით, რაც ხელს უწყობს უფრო ძლიერი საზოგადოებების ჩამოყალიბებას, აუმჯობესებს ახალგაზრდების დასაქმებას და ნოვატორულ უნარებს.

იცით თუ არა, რომ...

- **ეკონომიკური განვითარება და დასაქმების გაუმჯობესებული პერსპექტივები, ახალგაზრდების უნარების განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა წარმატებული და სტაბილური საზოგადოებების ძირითად ვექტორებად განიხილება.**
- **დაწყებული 2014 წლიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 10 400 სტუდენტმა გაიარა სწავლება უცხოეთის უნივერსიტეტებში, ევროკავშირის ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მასშტაბით.**

რა არის დაგეგმილი საშუალოვადიან?

ახალგაზრდობის და განათლების პაკეტი: 340 მილიონი ევრო

- გაცვლების და მობილობის მეტი შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემს 80 000-ზე მეტ ახალგაზრდას, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადამიანს, სტუდენტს და აკადემიური სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელს ისარგებლოს პროგრამით Erasmus+.
- აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის ევროპული სკოლის გახსნა თბილისში და თანამშრომლობის გაძლიერება სკოლებს შორის 1 000 დაწესებულების მასშტაბით, რომლებიც ერთმანეთთან eTwinning Plus პლატფორმის საშუალებითაა დაკავშირებული.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდა ლიდერების მხარდაჭერა მათ შორის, ახალგაზრდა ევროპელი ელჩების ინიციატივა, ხელს უწყობს ახალგაზრდული ორგანიზაციების პოტენციალის ზრდას, ახალგაზრდების დასაქმების და მეწარმეობის უნარების გაუმჯობესებას ინიციატივა „ევროკავშირი ახალგაზრდობისთვის“ (EU4Youth) საშუალებით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები

ევროკავშირსა და საქართველოს ძალიან მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები აქვთ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში და მისი მიზანია პოლიტიკური კავშირების დამყარება და ეკონომიკური ინტეგრაცია. გარდა ამისა, ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულებას (DCFTA), ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან, ქართველი მოქალაქეები შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის უფლებით სარგებლობენ. ევროკავშირი საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორია; ის საქართველოს ყოველწლიურად 350 მილიონი ლარის (120 მილიონი ევრო) ოდენობის საგრანტო დახმარებით უზრუნველყოფს.

უფრო ძლიერი ეკონომიკა

- 2016 წელს, ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი იყო 31%-იანი წილით, ქვეყნის ვაჭრობის საერთო მაჩვენებლებში.
- ევროკავშირი დახმარებას უწევს ქართულ კომპანიებს დაფინანსებით, ტრენინგით და ექსპერტული მხარდაჭერით, ახალი ბაზრების ასათვისებლად, ინიციატივის „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (EU4Business) საშუალებით. 2009 წლიდან 2.1 მილიარდ ლარზე მეტი (711 მილიონი ევრო) იყო გამოყოფილი; განხორციელდა 63 000 საწარმოს მხარდაჭერა.
- ევროკავშირის მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ზრდის ქართველი ფერმერების შემოსავალს. ევროკავშირის დახმარებით შეიქმნა 1 500-ზე მეტი ფერმერული კოოპერატივი, რის შედეგად შემოსავლები 20%-ზე მეტით გაიზარდა, ხოლო დასაქმების მაჩვენებლები გაორმაგდა. ევროკავშირის დახმარებით დაარსდა 59 სამთავრობო საკონსულტაციო ცენტრი მთელ ქვეყანაში, რამაც უფრო ეფექტიანი გახადა 250 000 ფერმერის საქმიანობა.

უფრო მტკიცე კავშირები

- საქართველო მონაწილეობს ისეთ დიდ რეგიონულ პროგრამებში, როგორიცაა: სატრანსპორტო უსაფრთხოების და სატრანსპორტო კავშირების, გარემოს, კლიმატის ცვლილების და მწვანე ეკონომიკის, ენერგოუსაფრთხოების, განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის, ასევე საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამები; საქართველო ასევე, გაერთიანებულია შავი ზღვის ტრანსსაზღვაო პროგრამაში, რომლის მიზანია საზღვაო ნარჩენების რაოდენობის შემცირება.
- ევროკავშირი ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად ეხმარება საქართველოს ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის აღდგენაში რეგიონული ვაჭრობის გააქტიურების და მგზავრთა ნაკადის გაზრდის მიზნით.
- ავტობუსების შეძენა აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) ფონდის მიერ გამოყოფილი 18 მილიონ ლარზე მეტი (7 მილიონი ევრო) ოდენობის გრანტის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

უფრო ძლიერი მმართველობა

- ევროკავშირი დიდი მოცულობის სამუშაოს ახორციელებს, რომ მართლმსაჯულების სისტემა სათანადოდ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოს მოსახლეობისთვის. მან დააარსა მთავრობის იურიდიული დახმარების სამსახური, რომელმაც უფასო იურიდიული მომსახურება გაუწია 90 000-ზე მეტ ადამიანს, სისხლის სამართლის პროცესებში წარმოადგინა 5000-ზე მეტი არასრულწლოვანი და 140 000 უფასო იურიდიული კონსულტაცია გაუწია უამრავ მოქალაქეს, რომელთათვის ადვოკატის მომსახურება სხვაგვარად ხელმისაწვდომი არ იყო.
- ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამების საშუალებით განხორციელდა მოსამართლეების, პროკურორების, ციხეების და პრობაციის პერსონალის, პოლიციის გამომძიებლების, სა-

ხალხო დამცველების და ადვოკატების უნარების და ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც საქართველოს მოქალაქეების უფლებების კიდევ უფრო ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფს.

- ევროკავშირის დახმარებით, საქართველოს მთავრობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით, პატარა ქალაქებსა და სოფლებში 44 საზოგადოებრივი ცენტრი დააარსა. ეს ცენტრები ცხოვრებას უმარტივებს ამ ადგილებში მცხოვრებ 90 000-ზე მეტ მოქალაქეს, რადგან მათთვის უშუალოდ ხელმისაწვდომი გახდა 200 საჯარო და საბანკო სამსახური, ასევე უფასო ინტერნეტი და ბიბლიოთეკები.

უფრო ძლიერი საზოგადოება

- ვიზა-ლიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში შევიდა 2017 წლის 28 მარტს. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, საქართველოს 160 000-ზე მეტმა მოქალაქემ უკვე იმოგზაურა ევროკავშირში ვიზის გარეშე.
- 2015-2017 წლებში, 1 700 სტუდენტმა და აკადემიური სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელმა საქართველოდან გაატარა გარკვეული პერიოდი ევროკავშირში სწავლის და სწავლების მიზნით, პროგრამა „Erasmus+"-ის ფარგლებში. 3 500-ზე მეტი ახალგაზრდა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ადამიანი იღებს მონაწილეობას ერთობლივ საქმიანობაში ევროკავშირის წარმომადგენელ პარტნიორებთან ერთად.
- 2016 წლიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების წამყვან პროგრამაში „ჰორიზონტი 2020", რომელიც მკვლევარებს და ნოვატორებს საქართველოდან და მათ პარტნიორებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან აძლევს პროგრამაში თანაბარი პირობებით მონაწილეობის საშუალებას.

ევროკავშირს აქვს საქართველოს უსაფრთხოების გაუმჯობესების ვასუხისმგებლობა

2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრებისთანავე, ევროკავშირმა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) დის-

ლოკაცია განახორციელა. მას შემდეგ მისია ახორციელებს სადღეღამისო პატრულირებას კერძოდ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) ჰყავს 200-მდე ხმელეთზე მომუშავე მონიტორი ევროკავშირის წევრი სხვადასხვა სახელმწიფოდან.

საქართველოს წვლილი ევროკავშირის სამშვიდობო საქმიანობაში

2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებში და მას შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამდენიმე ოპერაციის ჩატარებაში. დღემდე საქართველოს მიერ ამ პროცესში შეტანილი უდიდესი წვლილია დაახლოებით, 156 სამხედრო პირის მონაწილეობა ევროკავშირის ოპერაციაში EUFOR RCA ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ამჟამად საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის სამხედრო წვრთნების მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში, მალიში.

ევროკავშირის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში

ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში, 1990-იან წლებში დაწყებული კონფლიქტების შედეგების დაძლევის მიმართულებით. ის ასევე, ეხმარება საქართველოს, რათა მიაღწიოს მეტ სტაბილურობას 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. სტაბილურად უცვლელია ევროკავშირის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პოლიტიკა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ევროკავშირის ჩართულობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების მხარდაჭერაში. 2003 წლის ივლისში, ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის საკითხებში.

საინტერესო ფაქტები რიცხვებში

1. 2017-2020 წლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა საქართველოსთვის 1.1-1.4 მილიარდი ლარის (371-453 მილიონი ევრო) ფარგლებში იქნება.
2. ევროკავშირის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია 7 000-ზე მეტი ევროპული სტანდარტის მისაღებად ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროებში.
3. საქართველო ასევე სარგებლობს ევროკავშირის 140 მილიონი ლარის (46 მილიონი ევრო) ოდენობის მაკრო-ფინანსური მხარდაჭერით.

თავი VI
ასოცირების შესახებ შეთანხმება

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მომზადებაზე მხარეებმა (ევროკავშირი, საქართველო) მუშაობა 2010 წლის ივლისში დაიწყეს. 2011 წელს, მოსალაპარაკებელ საკითხებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) ნაწილიც დაემატა. ასოცირების შესახებ შეთანხმება მხარეთა პარტნიორობაზე, მათ საჭიროებებსა და ურთიერთდახმარების შესაძლებლობებზე დამყარებული ორმხრივი ურთიერთობის დოკუმენტია. ეს შეთანხმება, ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მისი დემოკრატიისა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარების კარგად გაწერილი ერთიანი გეგმაა, რომლის განხორციელების შემდგომ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი ქვეყანა დემოკრატიასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესს საფუძველი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ შეუქმნა. ასოცირების ორმხრივი შეთანხმებით, იმ ოთხი მიზნის რეალიზება მოხდა, რაც რეგიონულმა აღმოსავლურმა პარტნიორობამ 2009 წელს დაისახა:

- პოლიტიკური ასოციაცია;
- ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მობილურობა ანუ მოქალაქეთა და ტვირთების გადაადგილების გამარტივება;
- სექტორული (დარგობრივი) თანამშრომლობის გაღრმავება.

ასოცირებაზე საქართველო-ევროკავშირის 2010 წელს დაწყებულ მოლაპარაკებებს 2011 წელს დაემატა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თემები. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკების დაწყებისთვის მომზადების პროცესს საფუძველი ჩაეყარა 2008 წლის ოქტომბერში, ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის თბილისში ვიზიტით. მისიის მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ევროკომისიამ მოლაპარაკების დაწყების წინაპირობად გამოყო ოთხი პრიორიტეტული სამუშაო სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია. მოლაპარაკების დაწყებამდე, რეკომენდებულ სფეროებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგიები.

ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელს აწერენ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი



ასოცირების შესახებ შეთანხმება,
2014 წლის 27 ივნისი

მხარეების მიერ შეთანხმების პარაფირება (საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად ხელმოწერამდე, მისი ტექსტის ავთენტურობის დადასტურება, ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინიციალებით, რომელიც მოწმობს, რომ მოცემული ტექსტი წარმოადგენს ხელშეკრულების საბოლოო შეთანხმებულ ვარიანტს) მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. დოკუმენტს ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში. ამ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით და ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“.

ევროკავშირის თანამშრომლობის განვითარება მის მეზობელ ქვეყნებთან

საქართველოს მსგავსად, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის კიდევ ორმა ქვეყანამ: მოლდოვამ და უკრაინამ. ევროკავშირს ასოცირების შესახებ შეთანხმება სხვა მრავალ ქვეყანასთან აქვს, თუმცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანასთან (მოლდოვა, საქართველო და უკრაინა) ხელმოწერილი შეთანხმება განსაკუთრებულია, ვინაიდან იგი პოლიტიკური და დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებთან ერთად მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილსაც. ასოცირების ამ შეთანხმებებიდან სამი წლის შემდეგ, 2017 წლის შემოდგომაზე, ბრიუსელის სამიტზე, ევროკავშირისა და სომხეთის მიერ ხელმოწერილი ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმება, ასევე განსხვავდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეულის შეთანხმებისაგან სწორედ იმით, რომ არ შეიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილს. აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ სომხეთთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ევროკავშირთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგან სომხეთი „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია“, რაც ეკონომიკური კავშირის წევრებთან ერთიან საბაჟო ტარიფებს გულისხმობს და ამით გამორიცხავს ევროკავშირთან – საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალ ვაჭრობას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო

იცით თუ არა, რომ?!

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს დემოკრატიისა და თავისუფალი, კონკურენტული ეკონომიკის პრინციპებით რეფორმირებისა და ამ რეფორმირებაში ევროკავშირის მხარდაჭერის დეტალური და დროში კარგად გაწერილი გეგმაა. ასოცირების შეთანხმების შესრულება არ გულისხმობს საქართველოს ავტომატურ წევრობას ევროკავშირში. ასოცირების შეთანხმების შესრულებით საქართველო გახდება დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკის საკითხებში, ევროკავშირის სტანდარტის ქვეყანა, რაც იქნება ქვეყნის ევროკავშირში გაწევრების სამართლიანი ამბიციის საფუძველი.

ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე, წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. **ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.**

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება როგორც მხარეთა შორის, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა (ასოცირების შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად).

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთნაირად სავალდებულოა ხელისმომწერი ორივე მხარისთვის – საქართველოსა და ევროკავშირისათვის. ესაა შეთანხმება ორ თანასწორ მხარეს შორის. ასოცირების შეთანხმება, როგორც საერთაშორისო

შეთანხმება, სტატუსით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობა, მაგრამ უფრო დაბლა, ვიდრე ქვეყნის კონსტიტუცია. ამდენად, ასოცირების შეთანხმებისა და ნაციონალური კანონმდებლობის იურიდიული კონფლიქტის შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა, ხოლო კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში – შეთანხმება.

შეთანხმების ზოგად ნაწილში მხარეები თანხმდებიან ზოგად დემოკრატიულ პრინციპებზე ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე ისე, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით (1948 წ.), ევროპული კონვენციით (1950 წ.), ჰელსინკის დასკვნითი აქტითა (1975 წ.) და პარიზის ქარტიით (1990 წ.); იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობებში; დაიცვან მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პრინციპები. შეთანხმება მხარეებს ავალებს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მულტილატერალიზმის ერთგულებას. კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, კორუფციასა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, მხარეები ზრუნავენ რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობისათვის, ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, სადაც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა.** დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის – სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.** პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში მათ შორის, შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა.

- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება.** სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.
- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა.** თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.
- **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.** ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

დარგობრივი თანამშრომლობის ნაწილში, ასოცირების შეთანხმება გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობას შემდეგ ოცდასამ სფეროში: 1) ტრანსპორტი; 2) ენერგეტიკა; 3) გარემოს დაცვა; 4) კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები; 5) სამრეწველო საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; 6) კორპორაციული მმართველობა, კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; 7) ფინანსური მომსახურება; 8) საინფორმაციო საზოგადოება; 9) ტურიზმი; 10) სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება; 11) მე-

თევზეობა და საზღვაო მმართველობა; 12) კვლევის, ტექნოლოგიების განვითარება და დემონსტრირება; 13) მომხმარებელთა პოლიტიკა; 14) დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; 15) საზოგადოებრივი ჯანდაცვა; 16) განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; 17) კულტურის სფეროში თანამშრომლობა; 18) აუდიო-ვიზუალური და მედია თანამშრომლობა; 19) თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში; 20) თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში; 21) რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე; 22) სამოქალაქო თავდაცვა; 23) მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში.

იცით თუ არა, რომ...

შეთანხმების მიხედვით, ევროპასთან ასოცირების სიკეთეთა ხელმისაწვდომობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, რაც გულისხმობს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვისაც მხარეები (ევროკავშირი და საქართველო) ხელმისაწვდომს ხდიან ასოცირების შეთანხმებით და ზოგადად, საქართველოს ევროინტეგრაციით ქვეყნის სხვა მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომ სიკეთეებს. ეს ჩანაწერი ირიბად მიანიშნებს, რომ მესამე მხარე საქართველოში ტერიტორიული პრობლემების შექმნით ვერ შეაფერხებს საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოებას.

მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია და მასზე მითითება შეთანხმებაში ბევრგანაა. მხარეები ადასტურებენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულებას, საქართველოს სუვერენიტეტის დაცვით. მზადყოფნას გამოთქვამენ ითანამშრომლონ კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და საზოგადოებათა შერიგების საქმეში „არაღიარებისა და ჩართულობის“ დეკლარირებული პრინციპების დაცვით. ამასთან, ითანამშრომლებენ დევნილთა და ლტოლვილთა ღირსეული დაბრუნებისათვის, 2008 წლის აგვისტოს „ექვსპუნქტიანი შეთანხმების“ სრული აღსრულებისათვის. გააძლიერებენ შეთანხმებულ მუშაობას მოლაპარაკებათა არსებული ფორმატის, ჟენევის დიალოგისა და მისი თანამდევი, ადრეული რეაგირებისა და პრევენციის მექანიზმების მხარდასაჭერად.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე), ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტს ეხმარებიან სპეციალურად შექმნილი თემატური ქვეკომიტეტები. ქვეკომიტეტები იკრიბებიან საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავენ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები შექმნიან საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება, ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (ASSOCIATION AGENDA)

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (Association Agenda) წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების გეგმას. ამ გეგმით ხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადება და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ასოცირების დღის წესრიგი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ძირითადი განმახორციელებელი ინსტრუმენტია და მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებულ კონკრეტულ პრიორიტეტებს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ყველა სფეროში.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ასოცირების დღის წესრიგის პირველი ფაზის, 2014-2016 წწ. პრიორიტეტების განხორციელების კუთხით. ქვეყნის მიერ ამ პერიოდში გატარებული ძირეული რეფორმები, რომლებმაც უზრუნველყო ქვეყნის პროგრესი და წინსვლა ღრმა პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ ევროკავშირთან აღიარებულია და პოზიტიურადაა შეფასებული ახალ დღის წესრიგში.

ოფიციალურად ამოქმედდა საქართველო ევროკავშირის ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის. ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს.

ამჟამად საქართველო ასოცირების შეთანხმების განხორციელების აქტიურ ფაზაში იმყოფება – მიმდინარეობს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან, ინტენსიურად ინერგება ევროპული სტანდარტები სხვადასხვა სფეროში, ვითარდება და ღრმავდება დარგობრივი თანამშრომლობა, აქტიურად მიმდინარეობს ევროპული პრაქტიკის დამკვიდრება და ურთიერთობების ინტენსიფიკაცია ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებსა და პროგრამებში მონაწილეობის გზით და ა. შ. შესაბამისად, ასოცირების ახალი დღის წესრიგი ამ მისწრაფებასაც ასახავს.

აღსანიშნავია, რომ განახლებული დღის წესრიგი სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციითა და ინტენსიური თანამშრომლობით შემუშავდა და ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტულ პრიორიტეტებს, ისეთ სფეროებში როგორიცაა: 1) დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და ინსტიტუციების გაძლიერება; 2) საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; 3) მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; 4) ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები; 5) ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები; 6) კომუნიკაციები, ენერგო ეფექტურობა, გარემოს დაცვა, კლიმატი და სამოქალაქო თავდაცვა; 7) მობილობა და ხალხთა შორის კავშირები.

პრიორიტეტების განხორციელების პროცესში ევროკავშირი მზად არის სოლიდური ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს. ამ მიზნით, ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი მრავალწლიანი ჩარჩო (2017-2020) – Single Support Framework, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მხარდაჭერას მათ შორის, საექსპერტო დახმარებით, საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარებით, საქართველოში შესაბამისი ინსტიტუციების გაძლიერებით და

შესაძლებლობათა განვითარებით. ევროკავშირი ასევე მზად არის შექმნას დახმარების ახალი ინსტრუმენტები ასოცირების შეთანხმებით და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული კომპლექსური რეფორმების მხარდასაჭერად.

უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირთან გაძლიერებული თანამშრომლობის შედეგად, ასოცირების ახალ დღის წესრიგში ცალკე პრიორიტეტად იქნა გამოყოფილი ეს მიმართულება. ასოცირების დღის წესრიგში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას, რომელიც რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის ფონზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის უცვლელი პრიორიტეტია.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (Deep and Comprehensive Free Trade Area) არის ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. ის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (Free Trade Agreement) განსხვავებით, გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). DCFTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებსა და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

იცით თუ არა, რომ...

ასოცირების შეთანხმება ძალაში სრულად 2016 წლის ივლისში შევიდა, ხოლო ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილი, ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

DCFTA-ს ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელს გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე 28 ქვეყანას და 508 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს: სტაბილურ ბაზარს, ღია თამაშის წესებს, დისტრიბუციის გამართულ ქსელს, მზარდ ფასებს სურსათზე, მზარდ მოთხოვნას ნატურალურ პროდუქტებზე.

DCFTA არეგულირებს შემდეგ სფეროებს:

- საქონლით ვაჭრობა (ტარიფები);
- საქონლის წარმოშობის წესები;
- საბაჟო საკითხები და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- მომსახურებით ვაჭრობა;
- სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა.

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და, შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯის შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას, ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომებისა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მხრივ განხორციელებული რეფორმების შედეგად, ხელი შეეწყობა ქარ-

თული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ამასთან, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას. მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნივრის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას.

საქონლით თავისუფალი (უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი) ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. მსგავსი პროგნოზის საშუალებას იძლევა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობის დინამიკაც, რომლის მიხედვით, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება.

რამდენიმე მითი ევროკავშირის შესახებ

ავტორი
გიორგი ფარეშიშვილი

საქართველოს მისწრაფებას – გახდეს ევროკავშირის წევრი, მნიშვნელოვან წინაღობას უქმნის რუსეთის მიერ წარმოებული ე. წ. ანტიდასავლური პროპაგანდა, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში ევროპული ღირებულებების მიმართ სკეპტიკური განწყობების გაღვივებას ისახავს მიზნად. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ის მითები და არასწორი შეხედულებები, რასაც შეგნებულად ავრცელებენ ჩვენი არაკეთილისმოსურნენი მოსახლეობის განწყობების უარყოფით კონტექსტში გადასატანად. ყველას მოეხსენება ქართული საზოგადოების რეალობა და დამოკიდებულება ტრადიციული, კულტურული, ეროვნული ფასეულობების მიმართ. ანტიდასავლური პროპაგანდაც ცდილობს ისეთი მითები გაავრცელოს, რომელზეც იცის, რომ საზოგადოებას ექნება მკვეთრი, უარყოფითი რეაქცია. ამ მითების გაქარწყლება კი, მოითხოვს დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს, რათა ნათლად იქნას ახსნილი საზოგადოებისთვის ის, რომ აღნიშნულ მითს არანაირი კავშირი რეალობასთან არ აქვს. ქვემოთ მოვიტანთ მცდარი მოსაზრების რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, რაზეც საზოგადოების ნაწილს უკვე ჰქონდა მკვეთრად ნეგატიური პოზიცია და დღეს საც საკმაო ძალისხმევა იხარჯება მათ გასაბათილებლად.

აქვე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების ის ნაწილი, ვინც აქტიურად იყენებს ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ რუსული დეზინფორმაციის საფრთხეებს. შესაბამისად, გადამოწმების გარეშე სოციალურ ქსელებში ამბების გავრცელებას უნდა მოვერიდოთ, რადგან არსებობს რეალური საფრთხე, გავხდეთ დეზინფორმაციის გავრცელების წყარო.

1. მითი, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საფრთხეს უქმნის ჩვენი კულტურული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას – მცდარია

კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების ხელშეწყობა ევროკავშირის მთავარი პრიორიტეტია. ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ და ეროვნულ მრავალფეროვნებაშია. ამას მოწმობს ევროკავშირის ლოზუნგიც – „In varietate unitas“, რაც ლათინურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში წევრი სახელმწიფოების ეროვნული იდენტობის პატივისცემის აუცილებლობა ხაზგასმით არის აღნიშნული. შესაბამისად, კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა ევროკავშირის ცალკეული მიმართულებებით პოლიტიკის ფორმირების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი უფრთხილდება და იცავს წევრი ქვეყნების სახელმწიფო ენებს. ევროკავშირში 24 ოფიციალური ენაა და მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის მიერ მიღებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი და შეხვედრა ითარგმნება ევროკავშირის 24 ოფიციალურ ენაზე, რადგან თითოეული ქვეყნის ენას, ისევე როგორც სხვა კულტურულ სიმდიდრეებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ევროკავშირი აერთიანებს 28 სახელმწიფოს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ კულტურის სფეროში. ამის მიუხედავად, გერმანელები გერმანელებად რჩებიან, ფრანგები ფრანგებად, ესტონელები ესტონელებად და ა. შ. იმის მიუხედავად, რომ მაგალითად, გერმანელები გერმანელებად რჩებიან და წარმოადგენენ ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს, ქართველების მსგავსად, კითხვაზე თუ საიდანაა წარმოშობით, ის აუცილებლად გიპასუხებს იმ მიწის დასახელებას (გერმანია შედგება 16 ფედერაციული მიწისაგან), რაც მის მშობლიურ მხარეს წარმოადგენს (მაგალითად, ბავარია), ასეთივე მდგომარეობაა ნიდერლანდებში, ესპანეთსა თუ ბელგიაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირი საკმაოდ დიდ ფინანსებს ხარჯავს სწორედ წევრი ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციისთვის.

„შემოქმედებითი ევროპა“ ევროკავშირის პროგრამაა, რომელიც ევროპის წევრი ქვეყნების კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების მხარდასაჭერად შეიქმნა. პროგრამის ფარგლებში, 2014-2020 წლებზე 1. 46 მილიარდი ევროს ბიუჯეტია გამოყოფილი, რომელიც მხარს უჭერს ათასობით ხელოვანს, კულტურის, აუდიო-ვიზუალური, საშემსრულებლო თუ გამომსახველობითი ხელოვნების, საგამომცემლო, კინო, ტელე, მუსიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ვიდეო თამაშების ინდუსტრიის წარმომადგენლებს.

ევროკავშირში ინტეგრაცია, ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას და, ზოგადად, კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. თავის მხრივ, ეს ყველაფერი საქართველოს უფრო მიმზიდველს გახდის ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. აქვე აღსანიშნავია, ევროკავშირის ფინანსური დახმარება ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის პროცესში.

2. მითი, რომ ევროკავშირი რელიგიას გვართმევს – მცდარია

ევროკავშირი უფრთხილდება და პატივს სცემს თითოეული ადამიანის რწმენის თავისუფლებას. ევროკავშირის ქვეყნებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები ინდივიდუალურად, ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება, ასევე განსხვავებულია ეკლესიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქვეყნების მიხედვით. ევროკავშირის წევრები არიან მართლმადიდებლური სამყაროს ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორიცაა საბერძნეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ბულგარეთი. ამასთან, ევროკავშირში გაწევრების კანდიდატი ქვეყნის – სერბეთის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრებას ზემოაღნიშნული ქვეყნების მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის არანაირი საფრთხე არ შეუქმნია. უფრო მეტიც, საკანონმდებლო დონეზეც დარეგულირებულია სახელმწიფოს და რელიგიების ურთიერთობა და ამ ნორმების ფარგლებში სახელმწიფო და რელიგიები აქტიურად

თანამშრომლობენ ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართულებით, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთან, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო აფინანსებს სასულიერო პირების საქმიანობას საპატიმრო დაწესებულებებში, საჯარისო ნაწილებსა თუ სტაციონარულ დაწესებულებებში.

ზოგადად, რელიგიების დაფინანსების საკითხები ინდივიდუალურადაა დარეგულირებული სხვადასხვა სახელმწიფოში. ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო ეკლესიები, რომლებიც ტრადიციულად, დიდ როლს ასრულებენ ამა თუ იმ ქვეყნის ყოველდღიურობაში. ასევე, უმეტესი ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქის მთავარი სიმბოლო სწორედ ქრისტიანული ტაძარია და სახელმწიფოებიც ძალისხმევას არ იშურებენ მათი რელიგიური ძეგლების სარეაბილიტაციოდ. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება თუ როგორ ურთიერთობენ სახელმწიფოები და რელიგიები ბრიტანეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, საბერძნეთში, იტალიასა თუ ბელგიაში. ყოველ მათგანს აქვს თავისი განსაკუთრებულობა და ინდივიდუალიზმი, რაც მეტყველებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების თვითმყოფად, განსხვავებულ კულტურასა თუ ტრადიციებზე.

3. მითი, რომ ევროკავშირი ოჯახურ ღირებულებებს აკნინებს და ასევე, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას გვაიძულებს – მცდარია

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირს არ აქვს არანაირი მოთხოვნა (არც წერილობითი და არც ზეპირი) არც ერთი ქვეყნის მათ შორის, საქართველოს მიმართ, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითვალისწინებს. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია, მოქმედებს საკუთარი მოსახლეობის შეხედულებების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არიან ისეთებიც, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება აკრძალულია და არც სამოქალაქო პარტნიორობის შესაძლებლობაა უზრუნველყოფილი, მაგალითად: პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, სლოვაკეთსა და ბულგარეთში.

ევროკავშირი ზრუნავს ოჯახური ღირებულებების დაცვაზე. ევროკავშირის მხარდაჭერით, წევრ სახელმწიფოებში და ასევე საქართველოში, არაერთი პროგრამა და ღონისძიება განხორციელდა ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პროგრამის ფარგლებში, 2016 წელს საქართველომ ევროკავშირისგან 300 000 ევროს ოდენობით დაფინანსება მიიღო.

4. მითი, თითქოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიების სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას მოუწევს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე უარის თქმა – მცდარია

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები სერიოზული გამოწვევა და დაბრკოლებაა არა მხოლოდ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით, არამედ ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობის თვალსაზრისითაც. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი და ნატო მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი შემადგენელი ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებით და აღნიშნული საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება. ევროკავშირი, ისევე როგორც ნატო, მუდმივად ახორციელებს პოლიტიკურ ზეწოლას რუსეთის ფედერაციაზე და მოუწოდებს მას უკან წაიღოს ქართული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და შეწყვიტოს აღნიშნული ქართული ტერიტორიების ოკუპაცია.

ეს ნათლადაა ასახული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც, სადაც ცალსახად აღნიშნულია, რომ ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისა და ევროკავშირში გაწევრების საქართველოს მხრიდან სურვილის გაცხადების შემთხვევაში, არ

არსებობს არანაირი საფუძველი, რომ ევროკავშირი შეცვლის ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და შესაბამისად, გაწევრების სანაცვლოდ, საქართველოს მოუწევს უარის თქმა ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე. მეორე მხრივ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ყველა ის სარგებელი, რაც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედებს და ეს ხელს შეუწყობს მათი რეინტეგრაციის პროცესს.

რუსეთის ფედერაციისაგან განსხვავებით, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციას, ევროკავშირი ასევე ეხმარება ქართულ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და მოდერნიზაციაში. დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული, ეკონომიკურად განვითარებული და უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მყოფი საქართველო მიმზიდველი იქნება ყველასთვის მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის და დიდწილად შეუწყობს ხელს ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნებას.

ნატოში გაწევრებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები აღწერილია ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლში, რომლის მიხედვითაც: ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში. ეს არის ის ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტი, სადაც საუბარია ნატოს გაფართოების კრიტერიუმებზე. ცალსახაა, რომ იმ რეფორმების გათვალისწინებით, რასაც საქართველო წლების მანძილზე ახორციელებს, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ნატო-ს სტანდარტები, იმ მაღალი თავსებადობის ხარისხის გათვალისწინებით, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ ალიანსის ძალებთან და იმ წვლილის გათვალისწინებით, რაც საქართველოს შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში თავისი მონაწილეობით საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, საქართველო ზედმიწევნით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რაც აღნიშნულია ნატო-ს ფუძემდებლურ ხელშეკრულებაში.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ევროატლანტიკური ინტეგრაცია ნიშნავს საქართველოს გაწევრებას ნატოში მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და ცხინვალის (ამჟამად ოკუპირებულ) რეგიონებთან ერთად.

არსებობს არა ერთი ქვეყნის მაგალითი, რომლებსაც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების დროს ტერიტორიული და საზღვრების დემარკაცია/დელიმიტაციის პრობლემები ჰქონდათ. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია გაიყო ორად და აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის ჯარის მიერ. 1955 წელს, დასავლეთ გერმანია გაწევრდა ნატოში, რამაც გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილური განვითარება განაპირობა. ცივი ომის დასრულებისა და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, გერმანია გაერთიანდა და დღეს ის ნატოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წევრია. ნატოში გაწევრებამ დასავლეთ გერმანიის უსაფრთხო და სტაბილურ განვითარებას შეუწყო ხელი, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ გაერთიანებულ გერმანიას გაცილებით ძლიერი და მყარი ხმა აქვს ალიანსში.

ასევე, საინტერესოა ბალტიის ქვეყნების მაგალითი. 2004 წელს ნატოში გაწევრდნენ ბალტიის ქვეყნები, რომელთაც საზღვრების დემარკაციის/დელიმიტაციის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული რუსეთთან, ამ უკანასკნელის მხრიდან პროცესის გაჭიანურების გამო. მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბალტიის ქვეყნები ნატოში მიეწვიათ არსებული პირობებით და შემდგომ, მოლაპარაკებების გზით, მათ მოეგვარებინათ არსებული ტერიტორიული საკითხები მეზობელთან. ამ გადაწყვეტილებამ ბალტიის ქვეყნების სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება განაპირობა.

ეს მაგალითები ადასტურებს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია წევრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მისი უსაფრთხო განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

5. მითი, რომ ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებსა და რეგულაციებს და შესაბამისად, გართულდება ევროკავშირში ექსპორტის განხორციელება და ქართველი მეწარმეები საქართველოს შიდა ბაზარზეც ვერ გაუწევენ კონკურენციას ევროპულ კომპანიებს – მცდარია

ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, ევროკავშირში წარმოებული პროდუქცია დაუბრკოლებლად შემოდიოდა ქართულ ბაზარზე, მისი მაღალი ხარისხიდან და სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე.

ასოცირების შეთანხმება ქართველ მეწარმეებს ეხმარება ევროკავშირის სტანდარტებზე ეტაპობრივად გადასვლაში, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია იქნება მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი არა მხოლოდ ქართულ ბაზარზე, არამედ ევროპულ და სხვა საერთაშორისო ბაზრებზეც (აშშ, ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული სტანდარტის მისაღწევად, ქართველ მეწარმეებს ეძლევათ გარკვეული პერიოდი და ევროკავშირი გამოყოფს საქართველოსთვის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტებს, რათა ეს ცვლილებები მოხდეს ეტაპობრივად და მაქსიმალურად უმტკივნეულოდ.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შედეგად (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, 2015 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 6%-ით გაიზარდა. 2012 წელთან შედარებით კი, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი 83%-ით არის გაზრდილი, რაც ძირითადად, 2013 წელს დაფიქსირებული 72%-იანი ზრდით არის განპირობებული. ასევე, გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში: ამ მაჩვენებელმა 2012 წელს 15%, 2014 წელს 22%, ხოლო 2015 წელს 29% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ვაჭრობა საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 32% შეადგენს, 2015 წელს, ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტმა 646 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ქართული კივი, თხილი და ლურჯი მოცვი ევროპულ ბაზარზე იყიდება. ნათელია, რომ ქართველ მწარმოებლებს აქვთ უნარი გაზარდონ სტანდარტები და განახორციელონ ექსპორტი მსოფლიოს უმდიდრეს ბაზარზე, რომელიც ამავდროულად, სანდო და სტაბილურია.

გზამკვლევი ევროკავშირის / შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის

2017 წლის 8 მარტს, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას.

ევროკავშირის/შენგენის რომელ ქვეყნებში არის შესაძლებელი უვიზოდ მოგზაურობა?

უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან:

ევროკავშირის წევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: **ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.**

ევროკავშირის არაწევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: **ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;**

ევროკავშირის წევრი შენგენის კანდიდატი ქვეყნები: **ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;**

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: **დიდი ბრიტანეთი** და **ირლანდია** – ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს.

უვიზოდ მოგზაურობის ხანგრძლივობა

- ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე შეუძლიათ გაემგზავრონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.
- უვიზო მიმოსვლის რეჟიმი არ ეხება გრძელვადიან ვიზიტებს, მაგალითად, უმაღლესი განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით!
- მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.
- 180 დღიდან 90 დაშვებული დღის გამოყენება შეიძლება გადაბმულად ან დღეების გადანაწილებით, მაგალითად, შემდეგნაირად:

90 დღე გადაბმულად

ან გადანაწილებით

- 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ საჭიროა, დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში.

უვიზო მიმოსვლის ვირეგეგით გათვალისწინებული 90 დღის განმავლობაში მოქმედებადიანი ვიზიტის მიზანი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა:

- ტურისტული მოგზაურობა;
- ოჯახის წევრების / ნათესავების / ახლობლების მონახულება;
- საქმიანი შეხვედრების, მოლაპარაკებების გამართვა;
- საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა თუ გამოფენებში მონაწილეობა;
- მოკლევადიან სასწავლო კურსებსა და ტრენინგებში, გაცვლით სასწავლო/სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა;
- კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სამედიცინო სერვისებით სარგებლობა – მოკლევადიანი სამკურნალო კურსი/ოპერაცია.

რა საგუთეგია საჭირო უვიზოდ მგზავრობისათვის:

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაცემული საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს **მინიმუმ, 3 თვის მოქმედების ვადა** ევროკავშირის/შენგენის ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლის დაგეგმილი დღისთვის.

რა მოგეთხოვებათ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას სასაზღვრო კონტროლის დროს:

- ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისას, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებული ხართ დაასაბუთოთ მგზავრობის კონკრეტული მიზანი (მაგ.: საქმიანი ვიზიტი, ტურისტული მოგზაურობა, ახლობლების ან ნათესავების მონახულება, სასწავლო კურსი 90 დღემდე ვადით).

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს შემდეგი საბუთები:

- დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს მოქმედი ჯავშანი ან ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მასპინძლის მისამართი, სამოგზაურო დაზღვევა, მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება (მაგ.: ნაღდი ფული ან მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათი – სასტუმროს ხარჯის გარდა, ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა, როგორც წესი, არ აღემატება დღეში 50 ევროს.)

გაითვალისწინეთ!

- ევროკავშირის / შენგენის წევრ ქვეყნებში ყოფნის 90 დღის (180 დღის განმავლობაში) ვადის გასვლამდე საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ზონა! ამ ქვეყნებში 90 დღე გადაბმულად ყოფნის შემთხვევაში, ხელახლა გამგზავრება შესაძლებელი იქნება შენგენის ზონის დატოვებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.
- უვიზო მიმოსვლა არ ნიშნავს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობის/ხანგრძლივი სწავლის უფლებას!
- საქართველოს მოქალაქეს უარი ეთქმება ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში შესვლაზე თუკი:

- ვერ შეძლებს მგზავრობის მიზნობრიობის ან ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურებას;
- საფრთხეს უქმნის ევროკავშირის/შენგენის რომელიმე წევრი ქვეყნის საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას ან შიდა უსაფრთხოებას;
- ნასამართლევია ევროკავშირის/შენგენის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით;
- არსებობს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები;
- აკრძალული აქვს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლა ან არსებობს გადაწყვეტილება მისი გაძევების შესახებ.

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლისა და ყოფნის წესები, აგრეთვე, იმ ქვეყანაში მოქმედი სხვა კანონმდებლობა:

- 90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის / შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით. ამასთან, შესაძლოა, დაეკისროს ჯარიმა 3 000 ევრომდე ოდენობით.
- ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რის შემდეგაც გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის / შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით;
- ევროკავშირის / შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობა სამუშაო ნებართვის გარეშე ითვლება არალეგალურად, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს ქვეყნიდან გაძევება და ქვეყანაში შესვლის აკრძალვა.

ბიბლიოგრაფია

1. http://ec.europa.eu/eurostat
2. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/accession-criteria_en
3. გაბრიჩიძე, გ., ევროკავშირის სამართალი, თბილისი, 2012.
4. Chiva, C. & Phinnemore, D. (2012, eds.). The European Union's 2007 Enlargement. London: Routledge.
5. Dedman, M. (2009). The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration. London: Routledge.
6. Dinan, D. (2004). Europe Recast: A History of European Union. Basingstoke: Palgrave Macmillan.
7. Dinan, D. (2014, ed.). Origin and Evolution of the European Union.2nd edition. Oxford: Oxford University Press.
8. Dinan, D. (2010). Ever Closer Union: An Introduction to European Integration. 4th edition. Boulder: Lynne Rienner Publishers.
9. Kaiser, W. & Varsori, A. (2010). European Union History: Themes and Debates. Basingstoke: Malgrave Macmillan.

10. Maldini, P. & Paukovic, D. (2016, eds.). Croatia and the European Union: Changes and Development. London: Routledge.
11. McCormick, J. (2017). Understanding the European Union: A Concise Introduction. 7th edition. Basingstoke: Palgrave Macmillan.
12. Meunier, S. & McNamara, K. R. (2007). The State of the European Union: Making History. Oxford: Oxford University Press.
13. Sajdik, M. & Schwarzinger, M. (2009).European Union Enlargement: Background, Developments, Facts. London: Transaction Publishers.
14. გზა ევროკავშირისკენ. ადვოკატირების გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისათვის: ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ადვოკატირება, ღია საზოგადოება „საქართველო“, 2013 წელი.
15. აკობია, ე., „ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“.
16. კაპანაძე, ს., „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, 2006, მე-9 თავი „ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“, გვ. 67, ვებგვერდი: http://old.ucss.ge/publication/001%20Evrokavshiris%20Politika.pdf
17. კაპანაძე ს., „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, 2006, მე-9 თავი, „ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“, გვ. 68.
18. კაპანაძე ს., „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, 2006, მე-9 თავი „ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“ , გვ. 72.
19. „Foreign and Security Policy”, official site of European Union, web: http://europa.eu/pol/cfsp/ index_en.htm
20. “The EU Engagement in the Central African Republic” , official site of European Union, web: http://eeas.europa.eu/statements-eeas/2014/141216_01_en.htm
21. “Central African Republic: EU Military Advisory mission gets green light”, web: http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2015/03/16-central-african-republic-eu-military-advisory-mission-gets-green-light/

22. „Foreign and Security Policy”, official site of European Union, web: http://europa.eu/pol/cfsp/ index_en.htm
23. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/eu_georgia/tech_financial_cooperation/instruments/european_neightbourhood/index_ka.htm
24. http://ec.europa.eu/eurostat
25. www.geostat.ge
26. გოცაძე, ე., მედულაშვილი, თ., „NATO და ევროკავშირი – საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“ – 2015 წ. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.
27. https://eeas.europa.eu/node/7587_ka
28. http://www.europarl.europa.eu/elections2014-results/en/election-results-2014.html

გამოცემაში გამოყენებულია ფოტომასალა ინტერნეტის ღია წყაროებიდან.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
საინფორმაციო ცენტრი

შ. დადიანის ქ. 2/1, თავისუფლების მოედანი,

0105, თბილისი, საქართველო

ტელ: 2158 100